ილია ანთელავა

დავითისა და თამარის სახელოვნებო



თბილისი

63.3 (2 Г)
ა 657

წიგნში აღწერილია დავით IV აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის საქართველოს სახელმწიფო წყობილება. წარმოჩენილია საქართველოს მეფის პრეროგატივები, სასახლის მმართველობა და სტრუქტურა, მმართველობის აღგილობრივი აპარატი.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

0503020906
ა ———————
M 607 (06) - 91

© ი. ანთელავა, 1991

ISBN 5-520-00728-4

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს სახელმწიფოებრიობის თითქმის სამიათასწლოვან ისტორიაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ერთიანი ფეოდალური მონარქიის პერიოდს. XI-XIII საუკუნეების ეპოქამ განსხვავებული სიძლიერით შეკრა სისხლისმიერად და კულტურულად აღრეც ერთიანი ქართველური სამყარო და მძლავრი იმპულსი მისცა ამ ერთიანობას დღევანდღემდე.

წინამდებარე წიგნს პირობითად ეწოდება "დავითისა და თამარის სახელმწიფო". არსებითად, ამ სახელმწიფოს აშენებდნენ ბევრად უფრო აღრე-აიეტი, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) და ქართველთა (ტაო-კლარჯეთი) მეფეები, სხვა ჩვენი დიდი მოღვაწენი. საქართველოს მყარ პოლიტიკურ ერთიანობას საფუძველი დაუდო ბაგრატ III-მ, მისმა მემკვიდრეებმა - გიორგი I-მა, ბაგრატ IV-მ, გიორგი II-მ.

დავით IV აღმაშენებელი და თამარი მაინც გამორჩეული სახელებია დიდი და ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლთა ნუსხაში.

დავით IV-მ ძლევამოსილად დაასრულა საქართველოს სამეფოს მშენებლობა, დიდმა თამარმა შეინარჩუნა და გაავრცელა ეს სახელმწიფო. სწორედ ამიტომ, ამ ორ პიროვნებას საგანგებო ადგილი ეკუთვნის შუასაუკუნეების ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

როგორც არ უნდა შევაფასოთ ცალკეულ დიდ პიროვნებათა გამორჩეული როლი, ერთი რამ აშკარაა - მხოლოდ საამისოდ მომწიფებულ საზოგადოებას ძალუძს შექმნას ისტორიული ღირებულებანი. დავითი და თამარი ერთიანობისათვის, პროგრესისათვის მზადმყოფ საქართველოს ეყრდნობოდნენ თავიანთ მოღვაწეობაში. სწორედ ამან განაპირობა, ბუნებრივ დიდ ნიჭიერებასთან ერთად, მათი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წარმატებანი.

ქართველმა ერმა ხანგრძლივი გზა განვლო და დღეს დედამიწაზე მცხოვრებ ხალხთა შორის ერთ-ერთმა პირველმა შექმნა სახელმწიფოებრივი გაერთიანებები, შემდეგ კი ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო.

XI-XIII საუკუნეები ქართული სახელმწიფოებრიობის აღმავლობის, წინსვლის პერიოდი იყო. თვალსაჩინოა ამ ხანის კულტურული მონაპოვრები. ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად, მისი კულტურის შინაარსია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებიც.

წინამდებარე წიგნში მკითხველი ვერ შეხვდება დიდ მეფეთა და მათ თანამებრძოლთა ბიოგრაფიებს, საქართველოსათვის თავგანწირული

ბრძოლების პერიპეტიებს. მასში აღწერილია ქართული სახელმწიფოს მმართველობა, მეფის ხელისუფლება და მისი პრეროგატივები, სამეფო კარი და საოსნაღო ცერემონიალი, სასახლის სტრუქტურა, სამოხელეო აპარატი.

ყოველივე ეს, შეძლებისდაგვარად პოპულარულად გადმოცემული, უეჭველობთ საინტერესო იქნება ათონისა და პეტრიწონის, გელათისა და იყალთოს კულტურული კერების შემქმნელი საზოგადოების უფრო ახლოს გასაცნობად და დასახასიათებლად.

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ე ფ ე

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სამეფო ხელისუფლების პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხთან.

ერთიანი საქართველოს მეფის ხელისუფლება დაკავშირებულია "აფხაზთა მეფეების" (დასავლეთ საქართველო) ხელისუფლებასთან, რომელთა ეგიდითაც განხორციელდა ქვეყნის გაერთიანება. "აფხაზთა მეფეების" მიერ ქვეყნის გაერთიანებას თავისი საფუძვლები და სპეციფიკური მიზეზები გააჩნდა, არსებითი მოვლენებით იყო შეპირობებული. ამ სპეციფიკურ მიზეზებს, ჩვენი აზრით, სამართლიანად ხედავენ დასავლეთ საქართველოში სოციალურად ნაკლებდიფერენცირებული ძაღების სიჭარბეში, რაც ამ პოლიტიკური ერთეულის მონოლითურობასა და ძაღას განაპირობებდა. "აფხაზთა სამეფოს" პოლიტიკური ჰეგემონია, ტაო-კლარჯეთის, ანუ "ქართველთა სამეფოს" კულტურულ ჰეგემონიასთან ერთად საფუძვლად დაედო ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ერთიანი საქართველოს მეფეების სტატუსი ერთგვარი არ ყოფილა. იგი იცვლებოდა ქვეყნის გაერთიანების პროცესის განვითარების კვალობაზე და სათანადო ცვლილებები აისახებოდა მათ ტიტულატურაში. ნიშანდობლივია, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფეები, ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II ბიზანტიის საიმპერატორო კარის ტიტულებსაც ატარებდნენ (კურაპალატი, ნოველისიმოსი, სევასტოსი, კესაროსი). ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე, რომელიც ატარებდა ბიზანტიურ ტიტულებს, დავით IV აღმაშენებელი იყო, რომელიც 1085 წელს მოიხსენიება სევასტოსად, ხოლო შემდეგ პანიპერსევასტოსად. ქვეყნის გაერთიანების დასრულებისა და ძლიერი სამეფო ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგ, დავით IV აღმაშენებელმა ხელი აიღო ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებზე. ეს აქტი მოასწავებდა უცხო სახელწიფოს თუნდაც ფორმალური დამოკიდებულებიდან გამოსვლას და ისეთი სამეფო ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომელიც მხოლოდ "ღმრთის ნებას" ემორჩილებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დავით IV აღმაშენებელმა იურიდიულად გაუთანასწორა თავი ბიზანტიის იმპერატორს. საქართველოს მეფე ფორმალურად დამოკიდებული მონარქიდან გადაიქცა "თვით მფლობელ",

"თვით მპყრობელი" მონარქად, "კეისაროზა" და "დაუმონებელი თავისუფლება" მოიპოვა, რაც ფაქტობრივად საქართველოს მეფის "ღვთისსწორ იმპერატორად" გამოცხადებას ნიშნავდა. ნიშანდობლივია, რომ ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის ღეგენდა ქვეყნის გაერთიანებამდეც იყო ცნობილი, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში ეს ვერსია თავს იჩენს დაცით IV აღმაშენებლის შემდეგ, განსაკუთრებით თამარის დროს. ერთიანი მონარქიის ზრდისა და მონარქის ხელისუფლებაზე გარკვეული დოქტრინის ჩამოყალიბებასთან ერთად ყალიბდებოდა საქართველოს მეფის ტიტული. დავით აღმაშენებელი იყო: "მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა" შემდგომში ქართველ მეფეთა ტიტულატურას ემატება "შარვანშასა" და "შაპანშას" ტიტულები.

აუცილებლად მიგვაჩნია შევჩერდეთ ერთიანი საქართველოს მეფეების "თვითმპყრობელად" წოდებაზე, ვინაიდან ეს "თვითმპყრობელი" ბოგჯერ "აბსოლუტიზმის" მნიშვნელობით არის გაგებული. ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ "თვითმპყრობელობის" (აბსოლუტიზმის) იდეები ჩნდება ლიტერატურაში X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისისათვის. "აბსოლუტიზმად" არის გაგებული დავითის ისტორიკოსის შემდეგი ცნობა: "ესრეთ რა თვითმპყრობელობით დაიპყრნა ჰერეთი და კახეთი, და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მოჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვდრთა ქვეყნისათა" ასევე რუის-ურბნისის საეკლესიო კრების "ძეგლისწერის" ავტორი: "დავით ღვთისმსახურისა და ღმრთივ დაცულისა მეფისა ჩვენისა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თვითმპყრობელისა მრავალმცა არიან წელნი" ჩვენი აზრით, ქართული ტერმინი "თვითმპყრობელი" შინაარსობრივად სავსებით უდრის ბიზანტიურ "ავტოკრატორს" და ქართულ სინამდვილეში იგი უნდა უკავშირდებოდეს ბრძოლას "დაუმონებელი თავისუფლებისათვის", დამოკიდებულების ყოველგვარი ნიშნების მოსპობისათვის, რის შედეგადაც სწორედ დავითის დროს ქართველი მეფე, ბიზანტიის იმპერატორის მსგავსად, "ღვთისსწორად" და "თვითმპყრობელად" იქცა.

ის ფაქტი, რომ ქართველი მეფე "თვითმპყრობელია" და ფორმალურად შეუზღუდველი, მას მიემართება "ღვთისსწორის" ეპითეტი, არ იძლევა საფუძველს ჩავთვალოთ იგი აბსოლუტურ მონარქად, "აბსოლუტიზმის" იმ გაგებით, რომელიც დასავლეთ ევროპის მიმართაა ჩამოყალიბებული. მითუმეტეს ეს ითქმის "განათლებულ აბსოლუტიზმზე", რაც წმინდა დასავლეთევროპული მოვლენაა XVII-XVIII საუკუნეებში.

ერთიანობის ხანის ქართველ მეფეთა უფლებების დახასიათებისა და ასევე მონარქიის პოლიტიკური წყობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის სწორად გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ე.წ. "ერთნებობისა და თანადგომის" და "მეფობის თანაზიარობის" საკითხებს. "ერთნებობა-თანადგომისა" და "თანაზიარობის" თითქოს თამარის მეფობის დასაწყისში შემოღებას დიდი მნიშვნელობის, გარკვეული გარდატეხის მანიშნებელ ფაქტად მიიჩნევენ. "ერთნებობასა და თანადგომას" გარკვეული ადგილი

უჭირაეს ი. ჯავახიშვილის კონცეფციაში ყუთღუ-არსღანის შესახებ. მისი აზრით, ხსენებული ფორმულა დამკვიდრდა ყუთღუ-არსღანის დასის დამარცხების შემდეგ და იგი ერთგვარ კომპრომისს წარმოადგენდა. "ერთნებობასა და თანადგომას" დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნ. ბერძენიშვილი და ეს ფორმულა მასაც თამარის დროს შემოღებულად და დიდგვარიანთა მიერ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვად მიაჩნდა. ამავე ფორმულას დაუკავშირდა ე.წ. "თანაზიარობის" საკითხი, რომელიც გაგებული იქნა, როგორც "ერთნებობისა და თანადგომის" შედეგად დიდებულთა მეფის ხელისუფლების "თანაზიარად" აღიარება.

თავის ნაშრომში თამარის ხანის საქართველოს სამოხელეო წყობის შესახებ, შ. მესხიამ საგანგებოდ შეისწავლა "ერთნებობა-თანადგომისა" და "თანაზიარობის" საკითხი და სათანადო მასალაზე დაფუძნებით დაადგინა, რომ თამარის მეფობაში "ერთნებობა-თანადგომის" პრინციპი არ შემოღებულა. არსებითად, წინამავალ მკვლევართა მოსაზრებანი "ერთნებობა-თანადგომის" შესახებ დაემყარა თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობას, სადაც აღნიშნულია: "თანადგომითა და ერთნებობითა ზრძანა დამტკიცებად ჭყონდიდად და მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი". ეს ცნობა უშუალოდ მოსდევს ყუთღუ-არსღანის დასის გამოსვლას და ამიტომაც მიიჩნევენ, რომ ეს ფორმულა ახალშემოღებული იყო. მეორე საბუთს "ერთნებობისა და თანადგომის" თითქოს თამარის დროს შემოღების დამადასტურებელს, წარმოადგენდა გუნია-ყაღის წარწერა. შ. მესხიამ აღნიშნა, რომ გუნია-ყაღის წარწერა არ გამოდგება "ერთნებობა-თანადგომის" თამარის დროის ინსტიტუტად მისაჩნევად, რადგან მსგავსი ფორმულა მოიპოვება 1184 წლის აღარწინის წარწერაში, რომელშიც გიორგი III მოიხსენიება. შ. მესხიამ მიუთითა, რომ "ერთნებობა-თანადგომის" ფორმულას , რომელიც თითქოს თამარის დროს შემოიღეს, საერთოდ არ იცნობს თამარის მეორე ისტორიკოსი, ხოლო პირველ ისტორიკოსს ეს ფორმულა ნახმარი აქვს ორჯერ, ამასთან ერთხელ ანტონ გლონისთავისძის ვაზირად დანიშვნის დროს და ერთხელაც გიორგი III-ის მეფობის აღწერისას. კერძოდ, "ისტორიანში და აჰმანში" აღნიშნულია: "განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა შეფე ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, დიდებულთა იმერთა და ამიერთა...". აშკარაა, რომ გიორგი III-ის მიერ "თანადგომით" თამარის მეფედ (თანამოსაყდრედ) დასმა არ შეიძლება ჩაითვალოს მეფის ხელისუფლების შეზღუდვად. ამასთან, ციტირებული ცნობის "თანადგომასა" და თამარის გამეფების შემდეგ ნახსენებ "ერთნებობასა და თანადგომას" შორის არავითარი განსხვავება არ არის. ხსენებული საკითხის შესწავლამ შ. მესხია მიიყვანა დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ არავითარი ახალი პრინციპის შემოღება თამარის მმართველობის პირველ წელს არ მომხდარა. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა "თანაზიარობის" საკითხზეც. როგორც აღნიშნა, "ერთნებობასა და თანად-

გომასთან" ერთად, "თანაზიარობაც" მიჩნეული იყო თამარის დროს შემოღებულად და ავრცელებდნენ მას საერთოდ დიდებულებზე, სამეფოს დიდგვარიანებზე. ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ "თანაზიარობა" ეხება არა საერთოდ დიდებულებს, არამედ კონკრეტულ პირებს: ვარდან დადიანს, გუზან ტაოელს, ბოცო სამცხის სპასალარს. შ. მესხიამ მიიჩნია, რომ მათ "თანაზიარად" მოხსენებით "ისტორიათა და აზმათა" ავტორს სურდა ხაზი გაესვა ხსენებული პირების მაღალი მდგომარეობისათვის. ჩვენი მხრით გვინდა დავუმატოთ, რომ თამარის ისტორიკოსს ქონდა საფუძველი ხსენებული პირები მიეჩნია "მეფობის თანაზიარად" მოვიტანოთ ცნობა: "პირველად მიერთო (აქანყებას. ი.ა.) გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა. აქით ბოცო, სამცხისა სპასალარი და სისრულისაცა აღმატებით შეწყალებული... ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, ღიხთაქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ღიხთიქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებისა". სწორედ ამ პირებს შეეხება იგივე ისტორიკოსის ცნობა: "რომელნი თანაზიარ მეფობისა მათისა და უხუად და უგუღსავსედ წყალობითა იყვნეს, მათცა ქნეს საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთაგან უბოროტესი". ცხადია, რომ დასახელებული პირების ჩათვლა ჩვეულებრივ დიდებულებად და ამ საფუძველზე "თანაზიარობის" საერთოდ დიდებულებზე გავრცელება არ შეიძლება. საქმე ეხება ტაოელ მეფეთა ადგილზე მჯდომ გუზანს, დასავლეთ საქართველოს "პატრონს" ვარდანს და "სისრულისაცა აღმატებით შეწყალებულ" ბოცო სამცხის სპასალარს. დასახელებული პირები, როგორც მეფეთა ადგილზე მსხდომნი (გუზანი და ვარდანი მაინც), შეიძლებოდა ცხადია, ჩათვლიდიყვნენ "თანაზიარ მეფობისა"

შეეხოთ წყაროთა ზოგიერთ ცნობას, რომელიც მიჩნეულია "ერთნებობისა და თანადგომის" პრინციპების არაპირდაპირ მოწმობად. ი. ჯავახიშვილს ასეთად მიაჩნდა "ისტორიათა და აზმათა" ცნობა, სადაც საუბარია შამქორის ომის შესახებ: "შეკრბეს თამარის წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი და თვთ შარვანშა, დამასკუნელთა მიმართებისათა უყოვნელ ყვეს ღონე" ვფიქრობთ, რომ აქ რაიმე ახალი არ შეიძლება ვიგულისხმოთ. ის ფაქტი, რომ თამარმა დიდებულებთან ერთად ითათბირა და დაშქრობა "დაასკვნეს". საეჭვოა გამოდგეს საკუთრივ თამარის ხანის ცვლილებების დასახასიათებლად. ამგვარი თათბირები, თამარზე გაცილებით ადრე იყო ცნობილი. გიორგი II-ის მეფობის აღწერისას დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: "მაშინ ჰყო (გიორგი II, ი.ა.) განზრახვა დიდებულთა თვსთა თანა, და დაამტკიცეს წასლვა მაღალსა სულტანსა მაღიქშას წინაშე" ცხადია, რომ როგორც გიორგი II, ისე თამარი დიდებულებს ეთათბირებიან და რაიმე უჩვეულო, მხოლოდ თამარის მეფობისათვის დამახასიათებელი აქ არაფერი არ არის. იგივე შეიძლება ითქვას თამარის მეორე ისტორიკოსის შემდეგ ცნობაზე: "ძმანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაკლისაგან საშინელისა... თქუენ ყოველნი თვთ მოწამე ხართ, რამეთუ თავისი ჩემისა თანა მაქუნდა

სიყუარული თქუენი, და სარგებელსა და სათნოსა თქუენსა არა დაეაკლე თითოეულისაებრ არძანგისა" თამარის მეორე ისტორიკოსს' მოუყავს აქ მომაკვდავი თამარის მიმართვა თავისი წარჩინებულებისადმი. ნ. ზერქენიშვილი აღნიშნულ ცნობას შემდეგ ინტერპრეტაციას ჴძღევს: "სწორედ ამაში ჩანს ერთნებობა-თანადგომის და თანაზიარობის ვითარება: მეფე მოვალეა არა დააკლოს დიდებულთა და წარჩინებულთა სარგებელსა და სათნოსა "თითოეულისაებრ არძანგისა" მხოლოდ ასეთი პირობით, იგულისხმება, შეუძლია მეფეს იმედი ჰქონდეს დიდებულთა ერთგულებისა" ცნობაში არაფერი ჩანს ისეთი, რაც მოულოდნელი იქნებოდა თამარის მეფობამდე. ის ფაქტი, რომ მეფე მოვალეა არა დააკლოს დიდებულთა "სარგებელი", არ გამოდგება საკუთრივ თამარის ხანის დასახასიათებლად, რადგან ეს მეფის ერთ-ერთი ფუნქციაა. მისი ბუნებრივი მოვალეობაა, როგორც სამეფოს წარჩინებულთა მეთაურისა. ცნობიდან არ ჩანს, რომ ამგვარი "ერთნებობა-თანადგომა" და "თანაზიარობა" თამარის ხანაში იყოს შექმნილი და რაიმე უცნაურობას წარმოადგენდეს წინა ხანასთან შედარებით. ნიშანდობლივია, რომ თვით დავით IV აღმაშენებლის ისტორიკოსს მეფის ფუნქციად. მის მოვალეობად "მსახურებულთა ნიჭ-მრავლობა" მიაჩნია. თავის 1125 წლის ანდერძშიც დავით აღმაშენებელი გუღისნადებს "უბრძანებს და მოახსენებს" სამეფოს მაგნატებს: "გიბრძანებს და მოგახსენებს მეუღთა-მეუღ დავით, ღღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსვლისა მისისათა, ჩემ მიერ-უნდოისა და უღირსისა მღოცველისა მათისა ბერისა პირითა, თქუენ, ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოჲსა მისისათა: კათოღიკოსთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა"

"ერთნებობა და თანადგომა", როგორც ჩანს, საერთო წესი იყო სახელმწიფოს მართვისა, ხოლო "მეფობის თანაზიარობა" სავსებით კონკრეტულ პიროვნებებს მიემართება. სხვათა შორის, "ერთნებობა და თანადგომა" სრულებით არ არის მხოლოდ საქართველოსათვის (მითუმეტეს თამარის ხანისათვის) დამახასიათებელი მოვლენა. დასავლეთ ევროპაშიც სამეფო ხელისუფლება დადგენილებებს იღებდა სამეფოს მაგნატებთან თათბირის შემდეგ.

თამარის მეფობის დასაწყისში "ერთნებობისა და თანადგომის" და "მეფობის თანაზიარობის" შემოღებას უკავშირებენ ასევე მეფის კურთხევის საკითხსაც. რომელმაც თითქოს თამარის მეფობის დასაწყისში რაღაც ცვლილება განიცადა. ი.ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ქართველ მეფეებს თავიანთი მემკვიდრეები იმისათვის აპყავდათ "თანამსაყდრის" პატივში, რომ აეცილებინათ მათთვის ხელისუფლების გადაცემა დიდგვაროვან აზნაურთაგან. ამ თეზისმა შემდგომ ფართო გავრცელება მოიპოვა და შორსმიმავალი დასკვნების საფუძველი გახდა. მიუთითებენ, რომ გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ. "1184 წელსვე თამარი დიდი ზეიმით საქართველოს მეფედ დასვეს, მაგრამ მეფის კურთხევის ცერემონია ისეთი წესით შეასრულეს, რომ ძველი დიდგვაროვანი სახლების განსაკუთრებული

მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებით აღჭურვის საქმეში საგანგებოდ იყო ხაზგასმული" (საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 196). ამგვარ აზრს ეაწყდებით თითქმის ყველა ნაშრომში, რომელიც კი თამარის ხელმეორედ მეფედ კურთხევას ეძღვნება. წყაროს ტექსტიდან არ ჩანს, რომ თამარის მეორედ კურთხევა რაიმე არაჩვეულებრივი წესით შესრულდა და დიდგვაროვნებმა ამ აქტში ისეთი როლი შეასრულეს, რაც აღრე არ პქონდათ. "ისტორიანი და აზმანი" აღნიშნავს: "ამყვანელთა საყდართა და საჯდომთა მამაპაპეულთა აღსუეს (დიდებულებმა თამარი, ი.ა.) მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა... მოიღეს გვრგვნი... ვინაითგან ღიხთიმერეთითგან იყო წესი დადგმად გვრგვნისა თავსა სამეუფოსა, აწვეს მონაზონი ღირსი და მადღმემოსიღი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირის-ძე, მიღებად გვრგვნისა და ცაღისკერძისა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულყვეს მოუღეთა სვანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა, და ამანელის-ძეთა მოღება და დადება ჯრმელისა". როგორც ჩანს, "თანამოსაყდრის" შემდეგ ხელახალი კურთხევა წესად უნდა ყოფილიყო. ბიზანტიაში, მაგალითად, იმპერატორის (ბასილევსის) თანამოსაყდრედ კურთხეული, მართალია, ატარებდა "ბასილევსის" ტიტულს, მაგრამ არ ითვლებოდა ავტოკრატორად. იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ თანამოსაყდრე ხელმეორედ ეკურთხებოდა და ავტოკრატორი ხდებოდა. ასეთივე წესი ჩანს საქართველოშიც. ამიტომაც, თამარის ხელმეორედ კურთხევაში არ შეიძლება დიდაზნაურთა როლის ხაზგასმა დავინახოთ. გიორგი III-ის სიცოცხლეში თამარი თანამოსაყდრე იყო და არა სრულუფლებიანი მეფეთა მეფე. მამის გარდაცვალების შემდეგ კი იგი, ჩვეულებისამებრ, ხელმეორედ აკურთხეს, როგორც "თუით მპყრობელი". ეს რომ ასეა, კარგად ჩანს ღატაღის მაცხოვრისშის ეკლესიის ფრესკიდან და მისი წარწერიდან. ფრესკა წარმოადგენს დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენას. წარწერაში აღნიშნულია: "დემეტრე მეფესა ჯრმაღსა აბმენ დავითისას ერისთავნი" დემეტრე I, რომელიც დავით IV აღმაშენებელმა სიცოცხლეშივე დასვა მოსაყდრედ, მამის გარდაცვალების შემდეგ ხელმეორედ კურთხეულა და მისთვის ხმაღი ერისთავებს შეუბამთ, ასე, რომ თამარის კურთხევა არ უნდა ყოფილიყო რაღაც გამონაკლისი.

ამასთან, ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თამარის არც პირველი და არც მეორე ისტორიკოსი არაფერს ამბობენ თამარის მეორედ კურთხევისას დიდებულთა რაიმე უჩვეულო მოთხოვნების შესახებ, რაც არსებული წესის დარღვევასთან იქნებოდა დაკავშირებული. პირიქით, "ისტორიათა და აზმათა"-ს ცნობით, დიდებულები აღნიშნავდნენ, რომ თამარს მამის მიერ პქონდა რწმუნებული "საყდარი დავითისა" და "ბეჭედი სოღომონისა" მეორე ისტორიკოსის ცნობით კი დიდებულებმა "აწვეს თამარს ჯრმაღი მამული თანა საყდრითურთ მამისა მინიჭებული"

"თანამოსაყდრეობა", როგორც ჩანს, იყო სპეციფიკური წესი. შემოღებული ტახტის მემკვიდრეობის იმ არსებული პრაქტიკის

საწინააღმდეგოდ, რომელიც ტრადიციით დაკავშირებული იყო "აფხაზთა" სამეფოსთან და კიდევ უფრო აღრე, ეგრისის სამეფოსთან. სწორედ ამ წესის მიხედვით მოხდა თავარის მეორე კურთხევა.

"ერთნებობისა და თანადგომის" პრინციპების შესახებ შემუშავებული მოსაზრების დარღვევამ და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გამორკვევამ ბუნებრივად გამოიწვია ე.წ. "სახელმწიფო დარბაზისა" და ყუთღუ-არსღანის დასის შესახებ არსებულ კონცეფციათა გადასინჯვაც.

რა ეკონომიკური და სოციალური ბაზისი ჰქონდა ერთიანი საქართველოს მეფეთა სიძლიერეს, რა ძაღებს ეყრდნობოდა სამეფო ხელისუფლება?

ერთიანი საქართველოს მეფეთა სიძლიერის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა სამეფო სახლის მამულები (დომენი), სახელმწიფო მიწები (საერისთავო) და მათგან შემოსული გადასახადები. ასევე ბაჟები და რეგალიები, საგარეო აღაფის მეხუთედი ("ფანჯიაქი") და სხვ.

სახელმწიფო მიწა, რომელსაც ერისთავები მართავდნენ, იხდიდა სახელმწიფო გადასახადებს და იურიდიულად სამეფო ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული.

სახელმწიფო მიწებს მეფე განაგებდა სახელმწიფო უზენაესობის უფლებით და ჰქონდა ამ მიწების კერძო პირებისათვის ბოძების უფლება, რაც პრაქტიკაში მოასწავებდა მასზე მცხოვრები მოსახლეობის კერძო იურისდიქციაში გადასვლას. სახელმწიფო მიწების ფართო მასშტაბი კარგად ჩანს, როგორც ერთიანი სამეფოს მეფეთა ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერიდან, ისე საერისთავოების არსებობიდან.

სამეფო ხელისუფლების სიძლიერე ემყარებოდა ასევე სამეფო სახლის დომენს. დომენი სამეფო სახლის მამულები იყო. იგი თავისი შინაარსით მოგვაგონებს ფეოდალური "სახლების" მამულებს. მსგავსება შეინიშნება სტრუქტურაშიც. ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის, სამეფო დომენში საგულისხმებელია პირადად მეფის კუთვნილი დომენის გარდა "საუფლისწულო" მოგვიანო ხანის ანალოგიით თუ ვიმსჯელებთ, მოსალოდნელია, სამეფო დომენში "სადედოფლო" ყოფილიყო. მასალების უკიდურესი სიმცირე არ იძლევა საშუალებას უფრო დაწვრილებით გაირკვეს ეს მეტისმეტად საინტერესო საკითხი, მაგრამ შემორჩენილი წყაროები გვაფიქრებინებენ, რომ სამეფო დომენი სამეფო სახლის საერთო მფლობელობას წარმოადგენდა ისევე, როგორც ფეოდალური "სახლების" მამულები.

ეკონომიკურ დასაყრდენთან ერთად, სახელმწიფო მიწების იურიდიულად თავისუფალი მოსახლეობა სამეფო ხელისუფლების სოციალური და სამხედრო დასაყრდენი იყო. ქვეყნის ფეოდალიზაციის მზარდმა ტემპმა, სახელმწიფო მიწების გადასვლამ ფეოდალთა ხელში, ერთი მხრივ მოშალა სამეფო ხელისუფლების ეკონომიკური სიძლიერე და მეორე მხრივ დაასუსტა იგი სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. სახელმწიფო მიწის

გადასვლამ ფეოდალის ხელში და მის მიერ იმუნიტეტის მოპოვებამ გამოიწვია სამეფო ხაზინის შემოსავლის შემცირება, რადგან "საპატრონოდ" გაცემული ტერიტორიიდან გადასახადებს ფეოდალი იღებდა. ამ პროცესის გაღრმავება ბუნებრივად იწვევდა სამეფო ხელისუფლების როლის შესუსტებას. სახელმწიფო გადასახადების რენტად გარდაქმნა სამეფო ხაზინას შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს აცლიდა. ასე რომ, სამეფო ხელისუფლების ეკონომიკური დასუსტება არ შეიძლება ცალმხრივად მიეწეროს მხოლოდ საგარეო აგრესორებს. სახელმწიფო წყობილების ფეოდალიზაცია, პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია სენიორიებში და იმუნიტეტის განვითარება იწვევდა იმას, რომ მრავალრიცხოვანი გადასახადები და ვალდებულებანი ცენტრალური სახელმწიფო აპარატის კონტროლის სფეროდან გამოდიოდა.

სახელმწიფო მიწების ფონდის შემცირება, მისი გადასვლა ფეოდალთა ხელში, რაც მოასწავებდა ქვეყნის სრულ ფეოდალიზაციას, ბუნებრივად იწვევდა სამეფო დომენის როლის ზრდას სამეფო ხელისუფლებისათვის. ამით აიხსნება მეფის სახასო მამულების გამგებლის, მოურაეის ინსტიტუტის წინ წამოწევა, სახლთუხუცესის ხელისუფლების შემოღება. სენიორიების ფართო გავრცელებისა და საერისთავოს გაქრობის შემდეგ სახელმწიფო საკუთრება ძირითადად სახასოს იდენტურია.

ერთიანობის ხანის სამეფო ხელისუფლების ხასიათზე მკაფიო წარმოდგენას ქმნის ადგილობრივი საქმეების განგების ის წესი, რომელზედაც ხშირად საუბრობენ ეპოქის წყაროები. მეფე გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ადგილობრივ განაგებდა "მანდაურ საქმეებს" ამასთან, მეფის შენახვის ხარჯი ნატურალური სახით უნდა გაეღო ადგილობრივ მოსახლეობას. ამგვარი მოგზაურობა მეფის და მისი ამალისა, თავისთავად მიგვანიშნებს "ჩადგომის", "შედგომის", "შიგ დგომის" ინსტიტუტზე. "ჩადგომა" გულისხმობს "სამასპინძლოსაც"

მეფე იდგა მთელი ადმინისტრაციული სისტემის სათავეში, იყო უმაღლესი მთავარსარდალი, ნორმალურ ვითარებაში ნიშნავდა და გადააყენებდა ცენტრალური და ადგილობრივი აპარატის მოხელეებს; როგორც სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი, ხელმძღვანელობდა სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოებს-სასახლეს (ცენტრალურ მმართველობას) და ადგილობრივ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს, საერისთავოებს; სამართლის კერძო საწყისის საფუძველზე ფლობდა და განაგებდა სამეფო სახლის დომენს; უმაღლესი სუვერენიტეტის და სახელმწიფო უზენაესობის უფლებებით ხელი მიუწვდებოდა სხვადასხვა იერარქიული რეჟიმის მიწა-მამულზე.

მეფეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, შეეძლო მოეთხოვა და დაევალებინა მოსახლეობისათვის გზების, ხიდების, საცხოვრებლების შრომის აუნაზღაურებლად. მას ეკუთვნოდა ძღვენის, გადასახადებისა და სამსახურების სამეფო პრივილეგიები, რომლებიც თავისი ბუნებით ახლო დგანან სათანადო დასავლეთევროპულ პრივილეგიებთან.

უაღრესად საინტერესოა იმდროინდელი თვალსაზრისი სამეფო ხელისუფლების პრეროგატივებისა და ფუნქციების შესახებ, რაც ყველაზე სრულად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს ჩამოყალიბებული. იგი აღნიშნავს: "ვინ აღრაცხნეს რაოდენი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ღაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მშენდართა განწესებანი, საერონი შიშნი, საშეღოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემოხუევანი და პასუხნი, მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი. შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებულთა ნიჭმრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი" ისტორიკოსი სამეფო განსაგებელს ამოუწურავ "უფსკრულად" მიიჩნევდა.

საქართველოს მეფე ოფიციალური დოკუმენტებით "ღვთისსწორად" იწოდებოდა. ერთიანი საქართველოს მეფეების "ღვთისსწორობის" ფორმულა სამართლიანადაა დაკავშირებული ბიზანტიურ იზოთეოსთან. ჩვენი აზრით, სათანადო ბიზანტიური ფორმულის გადმოღებაა მიმართება ქართველი მეფისადმი-"წმინდამან მეფობამან თქუენმან" ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიის იმპერატორები (ვასილევსები) იწოდებოდნენ წმინდად, ღვთაებრივად, მზედ, ღვთისშვილად. ამ ტიტულებთან და ეპითეტებთან პირდაპირ კავშირშია სათანადო ქართული ფორმულები: "მზე იგი მზეთაჲ", "სამებისაგან ოთხად თანააღმზევებული", "ავღუსტიანი" და სხვ. ხსენებული ტიტულებისა და ეპითეტების გადმოღება ბიზანტიური სინამდვილიდან არ იყო ბრმა, და მექანიკური სესხება. იგი მჭიდროდ უკავშირდებოდა დიდი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ქართველი მეფის უფლებების ტრანსფორმაციას ასე თუ ისე დამოკიდებული მმართველიდან "თუით მპყრობელი", "კეისარობის" უფლებებით აღჭურვილი მონარქისაკენ.

ბიზანტიის იმპერატორის "ღვთისსწორობა" გამოიხატებოდა "თაყვანებაში" და "შესხმაში" "თაყვანება" და "შესხმა" იმპერატორს ეკუთვნოდა მისი აღიარების შემდეგ. ამ ცერემონიალთან მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს ქართული ფორმულა "თაყვანება-დაღეცვა-დიდება" ახალგამეფებული თამარი ღაშქარმა (სპამ) "თაყუანისცეს, ღაღეცეს და ადიდეს". იგივე ცერემონიალი ჩანს "მეფის კურთხევის წესში" ამ ცერემონიალს იმეორებდნენ საზეიმო შემთხვევებში.

ვფიქრობთ, "თაყვანება-დაღეცვა-დიდება", შესაბამისი ბიზანტიური ცერემონიალის ზუსტ შესატყვისს წარმოადგენს. მეფისადმი "თაყვანება-დაღეცვა" მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს იმ ცერემონიალისაგან, როდესაც მეფე "ითაყვანებდა" და "დაღეცვდა" "დარბაზების ყმებს" (ამის შესახებ საუბარია სასახლის პერსონალის შესახებ მონაკვეთში).

მეფისადმი მიმართვის ფორმას წარმოადგენდა "კადრება", "აჯა" ნებისმიერ პირს, რა რანგისა და მდგომარეობისაც არ უნდა ყოფილიყო

იგი, მეფისათვის უნდა "ეკადრებინა," სათხოვარი, "დაეკებოდა" მას. მეფის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ენის მოკვეთა იყო დაწესებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამას „კადნიერად კადრებას" უწოდებდნენ და იგი, როგორც ჩანს, საშინელი შედეგების გამომწვევი იყო "კადნიერად მკადრებლისათვის" ამგვარ მოქმედებას "აკდება" მოსდევდა. "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით "კადნიერად კადრებისათვის" ვეზირ სოგრატს "აკდება" ემუქრებოდა. როგორც ჩანს, "კადნიერად კადრება", ანუ მეფის შეურაცხყოფა, თავისი ბუნებით ახლო დგას დასავლეთევროპულ "უდიდებულესობის შეურაცხყოფასთან"

"აკდება" მეფის პრეროგატივას შეადგენდა და იგი მას იყენებდა არა მხოლოდ "კადნიერად მკადრებელთა" მიმართ. მეფისადმი დანაშაულს, როგორც ჩანს, ყოველთვის "აკდება" მოსდევდა. როდესაც დამნაშავეს "შეასმენდნენ" მეფის წინაშე, ამას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა სათანადო სანქციები. "ვეფხისტყაოსნიდან" ჩანს, რომ "შესმენას" შეეძლო "სახლის გარდაგვა" გამოეწვია. ამიტომაცაა, რომ მოგვიანო სასისხლო სიგელებში უდანაშაულოდ "შესმენისათვის" დიდი ფულადი ჯარიმაა დაწესებული. მოგვიანო მასალიდან ისიც ჩანს, რომ "აკდება", ანუ "დარბევა" მეფის მოხელეების შემოსავლის წყაროსაც შეადგენდა, მათ გარკვეული წილი ეკუთვნოდათ "აკდებულის" ქონებიდან.

"შესმენისა" და შესაბამისად "აკდების" მაგალითებია ზასიღი მწიგნობართუხუცესის და მესტუმრე ჯიქურის ბედი, რომლებიც "შესმენის" საფუძველზე, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, სიკვდილით დასაჯეს. აქედან ჩანს, რომ მეფეს ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერი პიროვნების სიცოცხლეზე (ცხადია, ნორმალურ ვითარებაში).

მეფის ეს უფლება ყოველთვის როდი ხორციელდებოდა. იგი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო კონკრეტულ სიტუაციაზე, მისი მოწინააღმდეგისა თუ დამნაშავე პირის რეალურ შესაძლებლობებზე.

მეფე სახელმწიფოს მართავდა სასახლის უწყებების, მისი მოხელეებისა და ადგილობრივი საჯარო და კერძო სამოხელეო აპარატის მეშვეობით. მას პრაქტიკულად არ შეეძლო ყველა საქმის ხელმძღვანელობა, მაგრამ ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლება ცდილობდა მართვის ყველა ძაფი ხელთ ჰქონოდა. "თვნიერ მეფისა საურავი" მეფის პრეროგატივების ხელყოფად, მის მეურაცხყოფად, მძიმე დანაშაულად იყო მიჩნეული და ამგვარი რამ სიკვდილით ისჯებოდა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, საერისთავოებს ერისთავები განაგებდნენ მეფისაგან ღეღეგირებული უფლებით, მაგრამ სამეფო ხელისუფლება ხშირად მიდიოდა ადგილებზე "მანდაურ საქმეთა" განსახილველად. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ადგილობრივი ხელისუფლება მეფის ხელში გადაღიოდა და იგი უშუალოდ ახორციელებდა ხელისუფლებას იმ რეგიონში, სადაც იმყოფებოდა ყოველ კონკრეტულ მომენტში თავის "სასახლესთან" ერთად.

მეფის გადაადგილება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. სამეფო პრივილეგიას შეადგენდა მეფეთა "ბარით", "ნობათით" მსვლელობა. სამეფო

კორტეჟს წინ მიუძღოდნენ მესაკრავეები, შემდეგ დიდი დროშა, ასევე "ძველი ცხოვრებისა". მეფესაც ერთად გადაადგილებდნენ ცენტრალური მმართველობის უწყებები.

მეფის, როგორც აღმინისტრაციული სისტემის სათაურში მდგომის, სახელმწიფოს მეთაურის და უმაღლესი სიუზერენის პრივილეგიები და რეგალიები გამოხატული იყო საგანგებო სამეფო ტანისამოსით, სამკაულებით, სამეფო ხელისუფლების სიმბოლური ატრიბუტებით.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ს ა ს ა ხ ლ ე

I სასახლე-ცენტრალური მმართველობის ორგანო "დარბაზის ერი"

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის აპარატი, ამ აპარატის ცალკეული უწყებები თავმოყრილი იყო მეფის სასახლეში. სასახლე იყო მონარქიული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მთავარი მმართველობითი ორგანო, რომელიც სასახლის (ცენტრალური მმართველობის) სამოხელეო აპარატის მეშვეობით მკვრთავდა სამეფო სახლის დომენს, სახელმწიფოს და თვით სასახლეს.

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეთაურს არაერთი სასახლე ჰქონდა. ბუნებრივია. ცენტრალური მმართველობის აპარატი თითოეულ მათგანში არ იყო თავმოყრილი. ცენტრალური მმართველობის აპარატის უწყებები მეფის მთავარ რეზიდენციაში ფუნქციონირებდნენ.

სათანადო წყაროების მოშველიებით გარკვეულია, რომ მეფის მთავარ რეზიდენციას "სამეუფო ან სამეფო ქალაქი", "სახლი სამეუფო", "საკდომი" ეწოდებოდა. მეფის მთავარი რეზიდენცია, ანუ "სახლი სამეუფო" თბილისის აღებამდე ქუთაისში იყო. ამიტომ ქუთაისი წარმოადგენდა "სახლსა სამკვიდრებელსა" დავით აღმაშენებელმა კი თბილისი აქცია "საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ". ამდენად, დედაქალაქი იყო "სახლი სამკვიდრებელი", ხოლო მთავარ ქალაქში მდებარე სასახლე მეფისა-მონარქიის მართვის ცენტრი, სასახლის უწყებების მუდმივი ადგილსამყოფელი. თავის "სამკვიდრო სახლში", ქუთაისში შეკრიბა ბაგრატ IV-მ საგანგებო სასამართლო ოპიზართა და მიკნაძორელთა სამამულე დავის გამო. ეს სასამართლო შეიკრიბა ბაგრატ IV-ის "დარბაზის კარზე", ე.ი. სასახლის კარზე. როგორც ვხედავთ, ბაგრატ IV-ის მთავარი სასახლე "სამკვიდრებელ სახლში", ქუთაისში მდებარეობდა. "სამკვიდრებელ სახლად" თბილისის გადაქცევის შემდეგ. მთავარ სასახლედ იქცა "საკდომი ციხე ისანი", რომელიც იწოდებოდა ასევე "სრად" და "ტაძრად სამეუფოდ" გარდა ისანისა, თბილისში იყო ასევე "სრა დიდუბისა"

ცენტრალური მმართველობის აპარატი, სრულიად ბუნებრივია, ფუნქციონირებდა იქ, სადაც მეფის "სახლი სამკვიდრებელი" და მისივე

მთავარი რეზიდენცია იყო. მიუხედავად ასეთი დასკვნის ბუნებრიობისა, მას არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობა მიეცეს, რადგან "დედაქალაქის", "მთავარი რეზიდენციისა" და ცენტრალური მმართველობის ცნებები ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში დიდად განსხვავდებოდნენ მათი დღევანდელი გაგებისაგან. მართალია, მეფეს დედაქალაქიც ("სახლი სამკვიდრებელი") და მთავარი "საჯდომი" სასახლეც გააჩნდა, მაგრამ ცენტრალური მმართველობის აპარატი დაკავშირებული იყო მეფის პერსონასთან და არა დედაქალაქთან და მთავარ რეზიდენციასთან. მეფის დედაქალაქში არყოფნის დროს, ცენტრალური აპარატი ფუნქციონირებდა არა დედაქალაქსა და მთავარ ("საჯდომ") სასახლეში, არამედ იქ, სადაც მეფე იმყოფებოდა. ამდენად, ცენტრალური მმართველობა ხორციელდებოდა იქიდან, სადაც ყოველ კონკრეტულ მომენტში მონარქი იმყოფებოდა. ცენტრალური მმართველობის აპარატი მთავარ რეზიდენციასთან დაკავშირებული იყო იმდენად, რამდენადაც თვით მეფე ყველაზე უფრო ხანგრძლივად იქ იმყოფებოდა. უკვე აქედან ჩანს, რომ სამეფოს დიდი მოხელეები იყვნენ მეფის კარის და არა სახელმწიფოს მოხელეები. უკეთ, ისინი იმდენად იყვნენ სახელმწიფო მოხელეები, რამდენადაც მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ.

ამდენად "სასახლე" და სასახლის აპარატი (ცენტრალური მმართველობა) მოძრავი იყო და გადაადგილდებოდა მეფესთან ერთად. ეს საკითხი უფრო კონკრეტულად წარმოჩინდება ქვემოთ, სასახლის უწყებებზე საუბრისას.

"სასახლის", როგორც მონარქის რეზიდენციისა და მმართველობის ცენტრალური აპარატის აღგილსამყოფელის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ქართულ წყაროებში საკმაოდ მრავალრიცხოვანია. V X საუკუნეთა ძეგლებში მას ეწოდებოდა "ტაძარი", "პალატი" X საუკუნიდან გვხვდება "დარბაზი", "სრა" ეს ტერმინები თანაარსებობდნენ თითქმის მთელი შუასაუკუნეების მანძილზე. მათ ერთიმეორის გაქრობა არ გამოუწვევიათ.

ტერმინი "ტაძარი" მომდინარეობს ძველი სპარსული ტერმინიდან და "სასახლეს" ნიშნავს. ქართულენოვან წყაროებში იგი "სასახლის", "სახლი სამეუფოს" და ეკლესიის მნიშვნელობით იხმარება. მართალია, ეს ტერმინი X საუკუნის შემდეგ ნაკლებად იხმარებოდა "სასახლის" მნიშვნელობით, მაგრამ იგი ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც გვაქვს დამოწმებული. "ისტორიათა და აზმათა" ავტორი აღნიშნავს: "სისხლერეულითა ცრემლითა შევიდეს ტაძარსა სამეუფოსა" "სამეუფო ტაძრად" ციტირებულ აღგილას მიჩნეულია ისნის ციხე-სასახლე. ამ ტერმინს "სასახლის" მნიშვნელობით იცნობს სულხან-საბა ორბელიანი: "სახლი საუფლო. სახლი საღოცველი, გინა მეფეთა".

მთელი შუასაუკუნეების მანძილზე "სასახლის" აღმნიშვნელად უაღრესად გავრცელებული იყო ტერმინი "პალატი" თავისი მნიშვნელობით ეს ტერმინი სავსებით ედრება დასავლეთევროპულ palatium-ს. Palatium, ანუ palatia regia ერთდროულად წარმოადგენდა სასახლეს, კარს და

მმართველობის ცენტრს. მეფის სასახლის განგების გარდა palatium-ში თავმოყრილი იყო მთელი ადმინისტრაციული მუშაობა სახელმწიფოს სამართავად. Palatium იგივეა რაც aula, aula palatini, domus regia (კარი, პალატის კარი, მეფის სახლი).

"ტაძრისა" და "პალატის" სინონიმად გარკვეული პერიოდიდან იხმარებოდა ასევე ტერმინი "დარბაზი", რომელსაც ი. ჯავახიშვილი მიიჩნევდა სპარსულ "დარვაზეჰ"-იდან წარმოშობილად, რაც სასახლის კარს ან აღაყაფის კარს ნიშნავს. ტერმინი "დარბაზი" უაღრესად გავრცელებული იყო X საუკუნიდან მოყოლებული. იგი "სასახლის" მნიშვნელობით იხმარებოდა ძაღზე ხშირად და სულ სხვადასხვა ხასიათის წყაროებში, მაგრამ მან მაინც ვერ განდევნა "სასახლის" აღმნიშვნელი სხვა ტერმინები და განსაკუთრებით კი "პალატი"

ზემოაღნიშნული ტერმინები ჩვენ გვაინტერესებს არა როგორც გარკვეულ ნაგებობათა, არამედ როგორც გარკვეული დაწესებულების აღმნიშვნელები. სასახლეები, როგორც აღვნიშნეთ კიდეც, საქართველოს მეფეებს ბევრი ჰქონდათ, მაგრამ "სასახლე" (ტაძარი, დარბაზი, პალატი), როგორც დაწესებულება, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ერთი ჰქონდა და ეს "სასახლე" მასთან ერთად გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ერთი სასახლიდან მეორე სასახლეში.

ამდენად, "სასახლე" (ტაძარი, დარბაზი, პალატი) ერთიან მონარქიაში იყო მხოლოდ ერთი. ეს "სასახლე" იყო მეფის უახლოესი გარემოცვა, სახელმწიფოს მართვის ცენტრალური აპარატი. ამ გარემოცვის, მმართველობის ცენტრალურ უწყებათა ერთობლიობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია საკმაოდ კარგადაა მოწეული წყაროებით.

"სასახლე", როგორც დაწესებულება, აღნიშნებოდა ტერმინებით: "ტაძარი", "პალატი", "დარბაზი" ამავე ტერმინებიდანაა ნაწარმოები "სასახლის" პერსონალის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია: "სახლეული", "ტაძრეული", "პალატის ერი" და "დარბაზის ერი". ეს ტერმინები, ისევე როგორც მათი ფუძეები (სახლი, ტაძარი, პალატი, დარბაზი), სინონიმებია. საინტერესოა თვით ამ ტერმინებით აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის განვითარების დინამიკა, მისი სხვადასხვა დონე განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

უძველესი, ზემოაღნიშნულ ტერმინთა შორის, არის "სახლეული". ტერმინი "სახლეული" აღნიშნავდა კატეგორიას, რომელიც "სახლის" კუთვნილი იყო, ხოლო "სახლი", როგორც თავის დროზე აღნიშნა ი. ჯავახიშვილმა, იგივე იყო, რაც "გვარი" ი. ჯავახიშვილის ეს დასკვნა ადრეულ ეტაპს შეეხება. ძველი ქართული "სახლეულის" ექვივალენტი იყო ტერმინი "მონა". "სახლეულისა" და "მონის" ცნების აღმნიშვნელად მიჩნეულია აგრეთვე "შინაური" და "მსახური"

"სახლეულის", "მონის" საკითხს ძაღზე დიდი მნიშვნელობა აქვს XI-XIII საუკუნეთა საქართველოს ცენტრალური მმართველობის, სასახლის

პერსონაღის პრობღემის გასარკვევად, ვინაიდან სწორედ "მონა-სახღეუღი" წარმოადგენდა ჩვენთვის საინტერესო ხანის დასახეღებუღი ინსტიტუტის წინამორბედს.

თვით ტერმინი "მონა", ქართუღი "სახღეუღის" შესატყვისი, მიჩნეუღია ძვეღი სპარსუღი ტერმინიდან წარმოშობიღად.

"სახღეუღი", თავისი განვითარების აღრეუღ ეტაპზე პატრიარქაღური საოჯახო მონობა იყო. მისი მომდევნო საფეხური მეფის "სახღეუღის" მნიშვნეღობის ზრდაა, რაც თვით "სახღეუღის", "მონების" მდგომარეობაში უნდა ასახუღიყო და აისახა კიდეც.

სამეფო სახღის "სახღეუღი-მონები" უეჭვუღია აღრიდანვე ბევრად უფრო პრივიეგირებუღი იყვნენ, ვიდრე სხვა, ნაკეღებ წარჩინებუღი სახღისა. მას შემდეგ, რაც მეფის სახღი "სასახღედ" იქცა, სამეფო სახღის "სახღეუღი-მონები" იქცეუიან "სასახღისეუღად", რისი ზუსტი გამოხატვაცაა ტერმინი "ტაძრეუღი". "ტაძრეუღი", ნ. ბერძენიშვიღის აზრით, იგივე "მსახურია", ოღონდ "სასახღის" მსახური და ამით იგი რანგით მაღღა დგას სხვა მსახურებზე.

"ტაძრეუღის" გენეზისი, თუ ვიმსჯეღებთ სათანადო ტერმინოღოგიის მიხეღვით, უეჭვეღად "მონა-სახღეუღებთან" უნდა იყოს დაკავშირებუღი. "ტაძრეუღი" იგივე "სახღეუღია", მათ შორის განსხვავება "ტაძრისა" და "სახღის" "უფაღს" შორის განსხვავებაა და არა სემანტიკური. ცხადია, საზოგადოების საერთო ევოღუციის კვაღობაზე იცვღებოდა "ტაძრეუღი-მონის" შინაარსი და სოციაღური სტატუსიც. "ტაძრის" "უფაღი" მეფე იყო და მისი "სახღეუღი" ("ტაძრეუღი") ბუნებრივია, დიდ უფღებებს იძენდა სახეღმწიფოში. უეჭვეღია, მათ ფაქტობრივ პრივიეგირებუღ მდგომარეობას უნდა გამოეწვა სოციაღური წარჩინებაც.

ამ პრივიეგიებისა და წარჩინების საფუძვეღი მეფის პერსონასთან და სამეფო სახღთან სიახღოვე იყო.

ნიშანდობღივია, რომ დასავეთ ევროპაში სასახღის თანამდებობათა უდიდესი უმრავეღსობა, განვითარების აღრეულ ეტაპზე, სწორედ მეფის "სახღეუღს" ეჭირა და მათი სოციაღური წარჩინებაც მოგვიანებით მოხდა. სენეშაღები, კამერარიუსები, მარშღები მეროვინგების კარზე მონები იყუნენ წარმოშობით. მეროვინგების დროსვე მოხდა მათი წარჩინება. ყოფიღი მთავარი (უფროსი) მონა, მაიორდომი უდიდეს მოხეღეღ გადაიქცა, ხოღო მონა-მსახურები ცაღკეული უწყებების მეთაურებად. ამგვარი მეტამორფოზი თვით მეფის ხეღისუფღების და მის პროპორციუღად სასახღის მნიშვნეღობის ზრდით იყო შეპირობებუღი. თუ მეროვინგების დროს სასახღის შტატის შენახვა სასახღის ხარჯზე ხდებოდა, კაროღინგებმა მათ ბენეფიციუმები დაურიგეს. ამიერიდან "მსახური" ღენის მფღობეღად იქცეოდა და მას და მეფეს შორის სენიორაღურ-ვასაღური ურთიერთობა მყარდებოდა. საკუთარი მსახურებისა და ანტრუსტიონების ვასაღებად ქცეუით კაროღინგები ცდიღობდნენ დასაყრდენი შეექმნათ დიდებუღების წინააღმდეგ.

დაახლოებით ამგვარივე შინაარსისად მიგვაჩნია არჩილ "მეფის" რეფორმა "ტაძრეულებისათვის" კახეთის ზოძების შესახებ. ჯუანშერის ცნობით, "მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყენა იგინი"

რას ნიშნავს "ტაძრეულთა აზნაურ ყოფა?!"

ტერმინი "აზნაური" უახლესი გამოკვლევით მომდინარეობს ძველი სპარსული ტერმინიდან, რაც "ცნობილს, განთქმულს" ნიშნავდა. შესაძლებლად ითვლება ამ ტერმინის დაკავშირება ზანა-სთან (გვარი, ტომი, მოდგმა). აქედან ტერმინი "აზნაური", როგორც ჩანს, აღნიშნავდა "დიდგვაროვანს", "გვარის შვილს" და უპირისპირდებოდა "უაზნოს", რომელიც შესაბამისად უნდა აღნიშნავდეს "არა გვარის შვილს", "უგვაროს"

ვინაიდან ტერმინი "გვარი" იგივეა რაც "სახლი" (ი. ჯავახიშვილი) "აზნაური", ცხადია, "სახლის შვილს" აღნიშნავდა, საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. მისი წარჩინება თავისი "სახლის" სიძლიერეზე იყო დამოკიდებული და არა მეფის "წყალობაზე"

"ტაძრეულთა აზნაურ ყოფა" სწორედ წყალობაზე დამყარებული არისტოკრატიის შექმნის ცდას უნდა წარმოადგენდეს, საგვარეულო არისტოკრატიის საპირისპიროდ. ეს არისტოკრატია მეფის (ერისმთავრის) "სახლეულია" და, ამდენად, არ წარმოადგენს თვითონ "სახლის, გვარის შვილს" მას არ გააჩნია დასაყრდენი საკუთარი ძლიერი "სახლის", "გვარის" სახით. "ტაძრეული" მეფის შინაურია, მისი მონაა, რომელიც ხსენებული "ზოძებით" მის "ტაძრეულ აზნაურად" იქცევა, ე. ი. დომენის ვასალად.

ცხადია, "ტაძრეულები" მათი "აზნაურ ყოფის" შემდეგ სოციალურად ამაღლდნენ და თუმცა ტერმინი "ტაძრეული" შემდგომ ხანაშიც გვაქვს, ისევე, როგორც მისი სინონიმები (ერი პაიატისა, დარბაზის ერი), მაგრამ ეს ტერმინები უკვე არა "მონა-მშვევად" "ტაძრეულს", არამედ დომენის ვასალს, დომენის მსხვილსა და წვრილ ფეოდალებს, ასევე მსახურებს აღნიშნავს. გარკვეული დროიდან კი საერთოდ სასახლეში მყოფთა ერთობლიობას..

არჩილ "მეფის" ხანა (VIII ს.) სერიოზული მეტამორფოზის პერიოდად გვესახება სასახლის ორგანიზაციის მხრივ. ცხადია, აღნიშნული არ შეეხება დასავლეთ საქართველოს, რომლის შესახებ ჩვენ მასალები არ გაგვაჩნია.

ამდენად, არჩილის რეფორმა ძირითადად კაროლინგური ღონისძიებების მსგავსად გვეჩვენება, მაგრამ საქართველოს მნიშვნელოვანი თავისებურებებიც გააჩნდა. საქართველოში სამეფო ხელისუფლებამ ვერ შეძლო მოესპო საგვარეულო მამულები და საკმაო წარმატებით ვერ დაუპირისპირა მას "ნაწყალობევი" ამიტომაც, ძირძველი საგვარეულო არისტოკრატია საბოლოოდ არასოდეს გატეხილა და მათთვის "ტაძრეულთა" დაპირისპირებაც რადიკალური ეფექტის მომტანი არ გამხდარა. ძველ

საქართველოში, ისევე როგორ სომხეთში და ზოგ სხვა საზოგადოებაში, ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისში ცენტრალურ ხელისუფლებას არ ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა და არისტოკრატიული ზედაფენა ყალიბდებოდა არა ცენტრალური აპარატიდან, მსახურეული პირების მიერ მემკვიდრეობითი უფლებების მითვისების გზით, არამედ პირიქით, ეს სამხედრო-მსახურეული არისტოკრატია გამოდიოდა ძლიერი "სახლებიდან".

ამგვარმა ამოსავალმა ვითარებამ სერიოზული გავლენა მოახდინა ერთიანი ფეოდალური საქართველოს სასახლის კარის ორგანიზაციაზეც. XI-XIII საუკუნეების "ტაძრეული" მხოლოდ მეფის დომენის ვასალებსა და მსახურებს როდი მოიცავს, არამედ საერთოდ კარზე მყოფთა ერთობლიობას. ძველი ტერმინოლოგია იმ დიდგვაროვნებასაც ასახავს, რომლებიც არ უნდა ეკუთვნოდნენ სამეფო დომენს, მაგრამ იმყოფებიან კარზე. საკუთრივ დომენის "ტაძრეულები" კი უნდა იყვნენ ხასები, ხასაგიანები (ხასი, სახასო).

თუმცა ტერმინი "ტაძრეული" ერთიანობის ხანაშიც ფუნქციონირებს, მაგრამ მისი შინაარსი მნიშვნელოვნად შეცვლილია. თუ არჩილის რეფორმამდე "ტაძრეული" მეფის "მონა-სახლეულია" (რომელსაც არ გააჩნია მიწა და "აზნაურება"), ამ ხანიდან მოყოლებული იგი მეფის დომენის ვასალია და მსახური. XI-XIII საუკუნეში იგი უფრო ფართო მნიშვნელობასაც იძენს და საერთოდ სასახლის შტატის აღმნიშვნელად იხმარება "პაიატის ერისა" და "დარბაზის ერის" გვერდით.

უეჭველია, ამგვარსავე სერიოზულ შინაარსობრივ მეტამორფოზს განიცდიან XI-XIII საუკუნეებში დამოწმებული, ძველიდანვე მომდინარე ტერმინები "მონა, "შინაური" ამ მეტამორფოზის ბუნება კარგად ჩანს ტერმინიდან "შინაური დარბაზის ერი" "დარბაზის ერი" და "ტაძრეული" ერთიმეორის შემცველი ტერმინებია. განვითარების აღრეულ ეტაპზე, ცხადია, ტერმინი "შინაური დარბაზის ერი" უაზრობა უნდა ყოფილიყო, რადგან მეფის "ტაძრეული" (დარბაზის ერი), საერთოდ ყველა "შინაური", "მონა", მიწა-აზნაურებას მოკლებული ჩანს. ტერმინი "შინაური დარბაზის ერი" შეიქმნა, უეჭველია, მას შემდეგ, რაც დარბაზის ერი საერთოდ სასახლის კარზე მყოფთა ერთობლიობის და არა მხოლოდ მეფის დომენის ვასალებისა და მსახურების აღმნიშვნელი გახდა. ამ პერიოდიდან. ჩვენი აზრით, "შინაური დარბაზის ერი" აღნიშნავს იმასვე, რასაც აღრე "ტაძრეული" (ვიწრო მნიშვნელობით) ეწოდებოდა, ე. ი. სამეფო სახლის დომენიდან გამოსულ პერსონაზს სასახლეში. იგივე ცნების გამოსახატავად იხმარება ტერმინი "მონა" XI-XIII საუკუნეებში ამიტომაცაა რომ "შინაური დარბაზის ერი", "მონა" მეფისათვის ყველაზე უფრო სანდო, ერთგულ კონტინგენტად განიხილება. ყველაზე უფრო ახლოა მეფის პერსონასთან. დიფერენციაცია "შინაურებს" შორისაც არის. "შინაურთა" დიფერენციაცია სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. სამეფო სახლის დომენიდან კარზე უეჭველია დიდებულებიც იყვნენ ("ხასაგიანნი"), აზნაურებიც, მსახურებიც და გლეხებიც. მიუხედავად იმისა, რომ ყველა

ისინი "შინაური დარბაზის ერნი" იყვნენ, მათ შორის განსხვავება თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ დაბალი რანგის "შინაურები" იყვნენ სწორედ მეფის ფარეშები და სასახლის ნაკლებ საპატიო მოვალეობათა აღმსრულებლები.

XI-XIII საუკუნეების სასახლის პერსონალის, შტატის ზოგადი საერთო სახელწოდება, განურჩევლად მათ მიერ დაკავებული სამეფისკარო თანამდებობისა, სოციალური სტატუსისა და სხვა მაჩვენებლებისა არის "დარბაზის ერი", "პალატის ერი", "ტაძრეული". ამ მხრივ საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს სასახლის ტერმინოლოგია ზედმიწევნით ედგება დასავლეთევროპულს.

სასახლის მაღალი რანგის "ერის", თანამდებობის პირების აღსანიშნავად იხმარებოდა ზოგადი ტერმინები "უელისუფალნი", "მოუელენი დიდებულნი და სვანნი", "უელისუფალნი და განმგებელნი საქმისანი". XIII საუკუნეში ამ კატეგორიის აღმნიშვნელად გვხვდება "ვეზირნი და მოურავნი".

სასახლის მოხელეთა ერთ ნაწილს "უელოსანი" ეწოდებოდა. "უელისუფალთა და უელოსანთა" ზოგადი აღმნიშვნელი ტერმინი "ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით იყო "სასახლის დიდებულნი".

სასახლის შტატში შედიოდნენ და "დარბაზის ერის" კატეგორიას შეადგენდნენ მეფის მერემლები, მეჯორეები, მანდატურები და მესაწოლეები. სწორედ დასახელებული "უელოსნები" იყვნენ "მცირე საქმისმოქმედები"

სასახლის "ხელისუფალ-საქმისმოქმედთა" და "ხელოსანთა" გარდა, "დარბაზის ერში" შედიოდა "უელოთა დარბაზის ერთა" კატეგორია. "მეფის კურთხევის წესში" აღნიშნულია: "პირველად დედოფალმან თაყვანი სცეს (ახალკურთხეულ მეფეს, ი. ა.), მერმე-ღა კათალიკოზმან... და შემდგომად უელოსანთა და უელოთა დარბაზისერთა სრულიადთა". "უელოსნებს" ზევით ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი იხსენიებიან "თაყვანისმცემლებად". მათ ქვემოთ დაწესებულებს, აქედან გამომდინარე, "უელოსნები" ეწოდებათ ციტირებული დოკუმენტის მიხედვით. ვინ არიან "უელონი დარბაზის ერნი"?!

ესაა "დარბაზის ერის" ის კატეგორია, რომელიც წყაროებში "ღაშქარისა" და "სპის" სახელწოდებით იჩენს თავს. ეს შესანიშნავად ჩანს თვით "მეფის კურთხევის წესიდან": "ჯვარისმტვრეველი შემოსილი, ძელი ცხორებისა ეტვრთოს, მარჯუენით მეფისა დგეს ტახტსა წინათ, ვიდრე ღაშქართა თაყუანისცემამდე" ამ ფრაზას მოკუეცება ზემოციტირებული აღგილი სახელდებით ჩამოთვლილი დედოფლის, კათალიკოსისა და დიდი მოხელეების, შემდეგ კი "უელოთა დარბაზის ერთა" თაყვანების შესახებ. ციტირებული აღგილიდან ჩანს, რომ "თაყვანება და ძღუნისა შეწირვა" უკანასკნელ რიგში "უელოთა" მართებთ. მათი თაყვანების შემდეგვე. "ვითარ სრულქმნან ძღნობა, შთამოვიდეს ჯუარისმტვრეველი" აშკარაა,

რომ "დაშქარობა" და "უკეღოთა დარბაზის ერთა" თაყვანება ერთი და იგივეა. ამდენად, "უკეღონი", არიან "დაშქარნი"

მეფის კურთხევისას "დაშქართა" აქტიურობა ჩანს თამარის გამეფებისას: "თაყუანისცეს, დაღოცეს და ადიდეს სპათა შვდთავე სამეფოისათა" "სპა-დაშქარი" ფიგურირებს "ვეფხვისტყაოსანში": "დაღოცეს და მეუღედ დასვეს მეფემან და მისთა სპათა" "დაშქარი უაღრესად აქტიური და დიდმნიშვნელოვანი ძაღაა. "დაშქარმა" გიორგი III პრეტენზია წაუყენა: "უღონო იქმნეს დაშქარნი... მკაღრებელნი იტყოდეს ესრეთ: "არა არს ღონე დარჩომისა თჳნიერ დაშქრობისა და რბევისა". გიორგი III იძუღებული იყო, "წარსცნა ბაენი და ფიცნი" და გაიღაშქრა.

ი. ჯავახიშვილი წყაროებში დამოწმებულ "სპა-დაშქარს" სავსებით სამართღიანად თვღიდა რაინდული წრის, "მოყმეთა" აღმნიშვნელად. "მოყმეები", იგივე "ჭაბუკები". სამეფო კარზე "ჭაბუკობათა შინა" იზრდებოდნენ და მეფის "გაზრდიღთა" ინსტიტუტს შეადგენდნენ.

სწორედ ეს "მოყმე"-"დარბაზის ყმები", ხასაგიანებთან და დომენის წვრიღ აზნაურ-მსახურებთან ერთად შეადგენდნენ "დაშქარს"-"უკეღო დარბაზის ერს" იგივე კონტინგენტი "ტაძრეულის" სახეღწოდებითაც იხსენიება.

"დარბაზის ყმა" ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში პირველად "მატიანე ქართღისაში" იხსენიება: "წარემართა (ბაგრატ IV, ი. ა.) ტფიღისიდან და მოეგებნეს ქაღაქის ბერნი, დარბაზის ყმანი ცხენოსანნი დიღმისა ველსა". "დარბაზის ყმანი" ამირას სასახღის კარისკაცებად მოსჩანან.

თამარის გამეფების პირველსავე წღეს ამირსპასაღარად დაინიშნა სარგის მხარგრძელი. ამავე დროს "...წყაღობა ყო ძისაცა მისისა ბაქარიას დაღოცვითა და ითაყუანა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე".

"თაყვანება", როგორც ირკვევა, პირველი საფეხური იყო სამეფო კარზე გამოჩენისა და მიღებისა, ხოღო შემდგომა საფეხური "დაღოცვა" ყოფილა: მესამე საფეხურს კიდეც "შეწყაღება" წარმოადგენდა, რომელიც "დაღოცვასთან" ან კიდევ "ბოძებასთან" ერთად შეიძღებოდა მომხდარიყო". "დარბაზის ყმად" "თაყვანება", ისევე როგორც "დაღოცვა", ჯერ როდი გუღისხმობდა თანამდებობის ბოძებას. იგი გარკვეული, პირველი საფეხური იყო.

რას წარმოადგენდა "დაუღოცველი", მაგრამ "დარბაზის ყმად" თაყვანებული პირი?! ეს კატეგორია, ჩვენი აზრით, იგივე იყო, რაც პაუები, სამეფო სასახღის ახაღგაზრდული დასი. სწორედ ეს "დარბაზის ყმები" შეადგენდნენ დიდ სამეფისკარო თანამდებობათა რეზერვს. ნ. ბერძენიშვიღმა სავსებით მართებულად დაუკავშირა ეს ინსტიტუტი "გაზრდას", "გაზრდიღობას" იგი შენიშნავდა: "ავთანდიღი იყო ამირსპასაღარის შვილი და თვითონაც იყო სპასპეტი, ე.ი. ჴელი მემკვიდრეობით აქვს მიღებული. ამავე დროს ის უეჭველია დარბაზის ყმად

იყო. ვიდრე სპასპეტი გახდებოდა, აქ იყო მისი გაზრდა (აი ისევე, როგორც ივანე მხარგრძელი ითაყვანა თამარმა".

"დარბაზის" კარზე "ყმად თაყვანებული" "მოყმეები", საპატიო სამსახურისათვის ემზადებოდნენ და "საჭაბუკოთა საქმეთა შინა" აღიზრდებოდნენ. თავის დროზე, ნ. მარმა გაარკვია, რომ "მოყმე"-"ჭაბუკი" რაინდს ნიშნავს. სწორედ "სარაინდო" ზნე-ჩვეულებებს ეუფლებოდნენ ისინი სასახლეში. ამ "აღზრდაში" უეჭველია, უპირველესი ადგილი "ღამჭრობას" ეჭირა. "სარაინდო"-"საჭაბუკო" საქმიანობაში დამსახურების შემდეგ, "უკეღო" "დარბაზის ყმა-მოყმეები" სათანადოდ ჯილდოვდებოდნენ და სასახლეში წინაურდებოდნენ-"უკესა" და ამ "უკეღის" შესაფერ "წყაღობას" იღებდნენ. საამისოდ უაღრესად მკაფიოა თვით "დარბაზის ყმად თაყვანებული" ივანე მხარგრძელის კარიერა. "უკეღო დარბაზის ერის" წარმომადგენლებს რომ "ღამჭრობა" ევალებოდათ, კარგად ჩანს თამარის ისტორიკოსის ცნობიდან: "ამისდა შემდგომად წარვიდეს მუარგრძელნი, ძენი სარგისისნი და ვარამისნი, მოყმენი პირწაღმართნი, უხუცესნი ზაქარია და ზაქარია დაღოცვილნი, ივანე და სარგის დაუღოცველნი და იღამჭრეს ქუეყანასა დვინისასა". სათანადო დამსახურების და თავის გამოჩენის შემდეგ ივანე მხარგრძელმა "დაღოცვა" და "უკეღიც" მიიღო.

"დარბაზის ყმის" მსგავსი ინსტიტუტი დამახასიათებელი იყო დასავლეთ ევროპისათვისაც. წარჩინებული ახაღგაზრდა ადრევე იწყებდა სამეფისკარო ცხოვრებას (ცხადია, მეფის ნებართვით). მას გარკვეული სკოღა უნდა გაეღო, რომ რანგში ამაღლებულიყო. ეს სკოღა იყო "სასახლის სამსახური". ამის შემდგომ მას უფრო მაღაღ პატივში. აიყვანდნენ და იგი "სასახლის დიდებულების" რანგში გადადიოდა.

გარკვეული საფეხურები იყო დაწესებული კარზე დაწინაურებისათვის აღმოსავლეთშიც.

ვფიქრობთ, კონკრეტული მასალა საკმაოდ კარგად წარმოგვიჩენს "დარბაზის ერის" ზოგად კატეგორიაში შემავალი, "უკეღო დარბაზის ერის" შემადგენელი "დარბაზის ყმების" როლსა და ფუნქციებს.

"დარბაზის ერი", "ერი პაღატისა", "ტაძრეული" მეფის უახღოესი გარემოცვა იყო. აღნიშნულ კატეგორიაში შემავალი პირები შეადგენდნენ მეფის "სასახლეს", "დარბაზს" და უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართული ფეოდაღური სახელმწიფოს ცხოვრებაში.

"დარბაზის ერი", როგორც წყაროების ანაღიზი გვარწმუნებს, სოციაღურად ჭრეღი კატეგორია იყო. მასში შედიოდნენ როგორც წარჩინებული დიდგვაროვანები, ისე წვრილი აზნაურები და მსახურები. ტერმინი "დარბაზის ერი" ("პაღატის ერი", "ტაძრეული") აღნიშნავდა სასახლის შტატს მთლიანად, დიფერენცირების გარეშე. "დარბაზის ერის" დიფერენცირება ხდებოდა არა სოციაღური ნიშნით, არამედ "უკეღის" ქონებით, სასახლის კარის მოხეღეობასთან დამოკიდებულებით. ცხადია, პრაქტიკაში სოციაღურ მდგომარეობას წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს არაა ასახული

სასახლის შტატის ამსახველი ტერმინოლოგიაში. ჩანს, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ სამეფო კარის დიდი თანამდებობები დიდგვარიანებს დაეჭირათ, ხოლო მცირე, "საკელოსნო" ფუნქციები კი წვრილ აზნაურებსა და მსახურებს შეესრულებინათ.

ამდენად, "დარბაზის ერი" არის სასახლის მოხელეთა, "კელოსანთა" და "უკელოთა" ერთობლიობა და არა "სახელმწიფო დარბაზის ნამდვილი წევრები", "სახელმწიფო საბჭო"

2. სასახლის დაწესებულებები

XI-XIII საუკუნეების საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის სასახლე ("დარბაზი", "პალატი"), რომელიც სახელმწიფოს მთავარი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაწესებულება იყო, თავის მხრივ წარმოადგენდა დაწესებულებათა (უწყებათა) კომპლექსს. ეს უწყებები იყო საწოლი-საღარო, ზარდახანა, სააჯო კარი, საჯინიბო, საგანმგეო, საღვინე და სხვ. სასახლის ამ უწყებებიდან ხდებოდა სახელმწიფოს, დომენისა და თვით სასახლის მართვა. მმართველობის ამ სამი სხვადასხვა სფეროს ხელმძღვანელობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სასახლეში იყო თავმოყრილი, მათი ფუნქციებიც ხშირად ერთმანეთში იყოშერეული. ამგვარი ვითარება არავითარ უცნაურობას არ წარმოადგენს. მოხელეთა ფუნქციების შერევა დამახასიათებელი იყო როგორც დასავლეთ ევროპის, ისე ბიზანტიისათვისაც. ამ მხრივ, შედარებით განსხვავებულია საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური აღმოსავლეთის ქვეყნები, სადაც სასახლისა და სამოქალაქო მმართველობა უფრო მკვეთრად იყო გამიჯნული და ცალკე ორგანიზებული.

ს ა წ ო ლ ი - ს ა ღ ა რ ო

"საწოლი-საღარო" სასახლის ძირითადი პოლიტიკური უწყება იყო, საიდანაც ხდებოდა მართვა, სადაც იკრიბებოდა სამეფო თათბირი ("ვეზირობა"). აქედან გამომდინარე, სწორედ "საწოლი" იყო წამყვანი სასახლის უწყებრივ სტრუქტურაში. "საწოლი" მეფის კაბინეტი იყო და იგივეს წარმოადგენდა რასაც ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოებში "კამერა".

"კამერა" ეწოდებოდა მეფის აპარტამენტებს, სადაც ის ცხოვრობდა, ჰქონდა სასადილო ოთახი და ხაზინა. ცხადია, აქვე იყო საკუთრივ საწოლი ოთახი.

მეფის "კამერაში" ინახებოდა ოქრო ზოდებში, ფული, ძვირფასი ნივთები, ოფიციალური დოკუმენტები, საგადასახადო რეესტრები, შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, სამეფო ბრძანებულებათა პირები. მას ემსახურებოდა დაცვის საგანგებო შტატი.

სასახლის მრავალრიცხოვანი უწყებებიდან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ხელმწიფოს, დომენისა და თვით სასახლის მართვა. "საწოლი" იყო სასახლის ის უწყება, საიდანაც სახელმწიფოს მართვა ხორციელდებოდა.

ერთადერთი წყარო, საიდანაც ასეთი დასკვნა გამომდინარეობს, "ხელმწიფის კარის გარიგებაა". ამიტომაც, საჭიროდ მიგვაჩნია დაწვრილებით შევეხოთ ამ ძეგლის ყველა ცნობას "საწოლისა" და "საღარის" შესახებ.

"ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობით: "მსახურთუხუცესი ვეზირია და მისი ჴელისა არის: საღარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოღარეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხიეთუხუცესი".

ესაა საწოლისა და საღარის დაცვისა და მომსახურების შტატი. მესაწოლეთუხუცესს ექვემდებარებოდა შვიდასი სახლი მესაწოლე, რომელთაგან ჴელხი (მსახური) იყო რვა სახლი, ხოლო დანარჩენი აზნაური. მესაწოლეების ერთი ნაწილი შეადგენდა მეფის "წინამწოლს"

"მესაწოლეები" და "წინამწოლები" მეფის სხეულის და ამავე დროს "საწოლის" დაცვაა. მესაწოლეთუხუცესი კი მეფის სხეულის მცველთა მეთაურია და არა "საწოლის" გამგებელი მოხელე.

"საწოლს" ემსახურებოდა ასევე "საწოლის მეკრე" და "კარის დარაჯა" "საწოლის მეკრე" და "კარის დარაჯა", როგორც შეგვიძლია დავასკვნათ გარედან იცავდნენ "საწოლს", მაშინ, როდესაც "მესაწოლეები" და "წინამწოლი-მესაწოლეები" საწოლს შიგნით უნდა იმყოფებოდნენ. "საწოლის მეკრე" დადასტურებულია "ვეფხისტყაოსანშიც" აქ იგი ტარიელის "საწოლის" მეკრეა და სავსებით მართებულია ი. სურგულაძის დასკვნა, რომ "საწოლის მეკარე" მეფის გარდა სხვებსაც ჰყავდათ.

სასახლეში, ცხადია, დაცვის სხვა კონტინგენტებიც იყო, ხოლო მეფის "საწოლისა" და სხეულის მცველობა საგანგებოდ მესაწოლეთუხუცესის სახელოდ ჩანს, რომელსაც მესაწოლე-წინამწოლები, საწოლის მეკრე და კარის დარაჯა ექვემდებარებოდნენ. ეს პირები ყოველთვის საწოლთან ჩანან დაკავშირებულნი. დიდი დარბაზობის დროს, "საწოლის მეკრე... ქვე ვერ დაჯდების: ითვალვენ და საწოლსა წავა; და წინამწოლსაცა მიუვა სათვალავი და მუნ სჭამენ" რით აიხსნება ასეთი წეს-ის არსებობა? ვფიქრობთ, იმით რომ სამეფო დარბაზობის დროს მეფის "საწოლი" დაცვის გარეშე არ დარჩენილიყო, მუდმივი ყურადღების ქვეშ ყოფილიყო. დიდი დარბაზობის დროს სამეფო სუფრას მეჯინიბეებიც უსხდნენ და, ცხადია, საწოლის მეკრის იქ არდაშვება საწოლის დაცვის დიდი მნიშვნელობითა და მუდმივი აუცილებლობით უნდა აიხსნას.

მოღარეთუხუცესს, როგორც აღნიშნავს ი. ჯავახიშვილი, "მოღარეები" და "საღარო" ექვემდებარებოდა. მისი აზრით, მოღარეთუხუცესი "საღაროთ" უფროსი იყო, ესე იგი მას ყველა საღაროები ექვემდებარებოდნენ"

ეფიქრობთ ვითარება სხვაგვარი იყო. როგორც "ხელმწიფის კარის გარიგებიდან" ჩანს, სამეფო კარზე იყვნენ "ზარდახნის" მოღარე და

საღვინის მოღარეც. ისინი, ცხადია, არა მოღარეთუხუცესს, ჯრამელ ზარდახნისა და საღვინის ხელისუფლებს ექვემდებარებოდნენ. ვინაიდან დამოწმებული გვაქვს ზარდახნისა და საღვინის (ცალკე უწყებების) მოღარეები, ვფიქრობთ, რომ "საღაროს მოღარეები", მოღარეთუხუცესის ხელქვეითნი, იგივე "საწღიის მოღარეები" უნდა ყოფილიყვნენ. საამისო დასკვნის საფუძველს "ვეფხისტყაოსანი" იძლევა. თინათინი მამის "საწღიის" კარს მივიდა და მოღარეს ჰკითხა, ძინავს თუ არა როსტევანს. ასევე, საწღეში "შემომდგარ" საწღიის მეკარეს მოღარე გაჰყავს წერილის გადასაცემად. ეს მოღარე "შინაური მოღარეა" აქედან ცხადი ხდება, რომ მოღარე "საწღეთანაა" დაკავშირებული. ჩვენი აზრით, "საწღი" და "საღარო" ერთი უწყება იყო და მოღარეთუხუცესი მეთაურობდა იმ მოღარეებს, რომლებიც "საწღესა" და "საღაროს" ემსახურებოდნენ.

რას წარმოადგენდა თვით "საღარო"?!

ი. ჯავახიშვილის აზრით, საღაროში ინახებოდა ისეთი განძეულობა, რაც "საჸმარებლად სანიადაგოდ" არ იყო საჭირო და შეკრული იდო. "საჯურჭელში" კი პირიქით, "საჸმარებელად სანიადაგოდ" საჭირო განძეულობა იყო შენახული" საჯურჭელ სანიადაგო სახმარებელი და სახარჯავი ხაზინა ყოფილა, საღარო კი ერთგვარი ხელუხლებელი, "შეკრული". "სათავნის მსგავსად განკუთვნილი ხაზინა არის". ამ "სათავნო" ხაზინის გამგებლად მიაჩნდა განსვენებულ მკვლევარს მოღარეთუხუცესი და შენიშნავდა: "განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ საღარო მეჯურჭლეთუხუცესს არ ექვემდებარებოდა, არამედ მარტო საჯურჭელ" "ხელმწიფის კარის გარიგებიდან" (საიდანაც სარგებლობს ი. ჯავახიშვილი) სავსებით მკაფიოდ ჩანს, რომ "საღაროში" დაცული "სათავნო ხაზინის", "შეკრული" განძეულობის გამგებელი მოღარეთუხუცესი კი არ იყო, არამედ სწორედ მეჯურჭლეთუხუცესი. "კარის გარიგებაში" აღნიშნულია: "დიდი არის მეჯურჭლეთუხუცესი... და მისისა ჴელის არის ძველნი ქაღაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო... რაც საღაროს ოქროს ჭურჭელი, ანუ ვერცხლისა, სახმარებლად სანიადაგოდ არ უნდა და შეკრული ძეს; სხვაჲ ღარი და ჭურჭელი, ჩინური და ქაშანური... ყოველი საჯურჭლესა ძეს და დგას" ამ ცნობიდან სავსებით არაორაზროვნად გამომდინარეობს, რომ "საღაროში" დადებული ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც "შეკრულია", ისევეა მეჯურჭლეთუხუცესის ჴელისა, როგორც ქაღაქნი, ვაჭარნი და "სხვაჲ ღარი და ჭურჭელი", რომელიც საკუთრივ საჯურჭელში ინახება.

ამდენად, "საღაროში" დაცული განძეულობა არ იყო მოღარეთუხუცესის ჴელისა. იგი მეჯურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა.

მაშ რა იყო "საღაროში" მეჯურჭლეთუხუცესის მოსაკითხი და "საჴელო"?! ასეთს წარმოადგენდა დიდი სასიგელე სახელმწიფო ბეჭედი:

"ხელმწიფის კარის გარიგების" იმ მონაკვეთში, სადაც მოღარეთუხუცესზეა საუბარი, ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი განძეულობაზე (საღაროში დაცულ განძეულობაზე საუბარია მეჯურჭლეთუხუცესისადმი

მიძღვნიც მონაკვეთში), სამაგიეროდ კი "კარის გარიგების" ავტორი ვრცლად მსჯელობს დიდ სასიგელე ბეჭედზე. დადგენილია, რომ დიდი სახელმწიფო სასიგელე ბეჭედი ინახებოდა საღაროში და სიგელი დასაბეჭდად იქ მიჰქონდათ. მოღარეთუხუცესს ეძლეოდა "საგასახსნითე ბეჭედი", რომლითაც დაბეჭდილი იყო დიდი სასიგელე ბეჭედი. გამზადებული სიგელი მწიგნობარს საღაროში მიჰქონდა, "საგასახსნითე ბეჭდით" დაბეჭდილ "დიდ სასიგელე ბეჭედს" მოღარეთუხუცესი გახსნიდა, სიგელს დაბეჭდავდნენ და დიდ სასიგელე ბეჭედსაც კვლავ დაბეჭდავდნენ მომავალ ხმარებამდის. ამ პროცედურაში საღაროს მოღარე და მეგობრე მონაწილეობდნენ. ნიშანდობლივია, რომ ზარადხანასა და საღვინესთან დაკავშირებით იხსენიება საანგარიშო გოდორი, სიგელის დაბეჭდვის დროს კი მეგობრე. საანგარიშო გოდრებში ზარადხანისა და საღვინის უწყებათა აღწერის, ანგარიშის ნუსხები ინახებოდა. საფიქრებელია, რომ მეგობრე, რომელიც მონაწილეობდა სიგელის დაბეჭდვის პროცედურაში, ინახავდა ამ სიგელის დაბეჭდილ პირს სამეფო არქივისათვის. შეუძლებელია გაცემული სიგელის პირი სასახლეში არ ყოფილიყო დაცული. ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ "აფხაზეთის მეფეთა დივანი", რომელიც დაცული იყო "საჭურჭლეში". XIII საუკუნის ერთი ცნობით, სასახლეში დაცული იყო საგადასახადო რეესტრები.

ვინაიდან "საღარის" განძეულობა, რომელიც "საჭურჭლისაგან" განსხვავებით, "შეკრული" იყო, ექვემდებარებოდა მეჭურჭლეთუხუცესს, ვფიქრობთ, რომ სამეფო სიგელთა პირები, საგადასახადო და საანგარიშო რეესტრებიც საღაროში ინახებოდა და "საჭურჭლის" "საღაროში" დაცულ ნაწილს წარმოადგენდა.

შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოღარეთუხუცესი იყო დიდი სახელმწიფო ბეჭდის მცველი და მას საღაროში დაცულ განძეულობაზე ხელი არ მიუწვდებოდა. ეს უკანასკნელი მეჭურჭლეთუხუცესის სახელო იყო.

ამრიგად, მესაწოღეთუხუცესს და მის ხელქვეითებს ევალებოდათ მეფის "სხეულის" და "საწოღის", ხოლო მოღარეთუხუცესს-დიდი სახელმწიფო სასიგელე ბეჭდის დაცვა. მოღარეები ფუნქციონირებდნენ საწოღშიც და ასრულებდნენ მომხსენებლის, ამბის მიმტან-მომტანის ფუნქციასაც.

გარდა მესაწოღეთუხუცესისა და მოღარეთუხუცესისა, მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა საწოღის საფარეშო სამსახური-ფარეშთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხიელეთუხუცესი და მათი შტატი. მოკლედ შევეხოთ აღნიშნულ სამსახურს.

ფარეშთუხუცესს ევალებოდა საწოღის მოწყობილობის მოვლა-პატრონობა. ეს იყო "ჯელის ნოხნი, სანთელი, ფანარი, მაშხალა" ფარეშთუხუცესს უნდა გაეწმინდა მეფის საწოღი ტახტი და ნოხი, ხოლო "სხვათა ნოხთა" ფარეშები წმენდნენ. ფარეშთუხუცესს ევალებოდა სამეფო კარვის, ხარგისა და ჩადრის (საჩრდილობელის) გაწყობა და "კაზმა"

ი. ჯავახიშვილს შენიშნული აქვს, რომ "ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, იმ ოთახს, სადაც "ვაზირობა" უნდა

ჩატარებულიყო, ფარეშთუხუცესი "კაზმავდა". ჩვენი აზრით, ეს იმიტომ, რომ "ვაზირობა" საწოლში მიმდინარეობდა.

ციცხვთუხუცესს და მის ხელქვეით ციცხვებს ევალებოდათ "აბანოს თბობა", "სახლის გვა", "შეშის კოდა", "ცეცხლის ნთება" და სხვა.

მეხიდეთუხუცესი "მეხიდეების" უფროსი იყო და "მას ებარა ხიდის საქმე და ჭურჭელ-იარაღი"

"ხელმწიფის კარის გარიგების" სათანადო ადგილებიდან, რომლებსაც ზევით გავეცანით, აშკარად ჩანს, რომ მსახურთუხუცესსა და მის სახელოს ევალებოდა მეფისა და სახელმწიფო ბეჭდის დაცვა, მეფის მომსახურება საწოლში. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად დავასკვნათ, რომ მსახურთუხუცესი იყო საწოლისა და საბაროს, როგორც უწყების გამგებელი. საწოლისა და საბაროს კომპლექსში უალრესად მნიშვნელოვანი ფუნქციები ეპყრა მეჭურჭლეთუხუცესს, რომელიც ზემოაღნიშნულებისამებრ, განაგებდა საბაროში დაცულ განძეულობას. უალრესად დიდ როლს ასრულებდა საწოლში ასევე საწოლის მწიგნობარი.

საწოლის მწიგნობარი, რომელიც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოს ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, უალრესად დიდი პრეროგატივებით იყო აღჭურვილი. "კარის გარიგების" ცნობით: "გელათისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიო დასნი არიან - ყველა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საშეღოსა" მართალია, ამ ცნობაში სისრულით როდია მოცემული ჭყონდიდლისა და საწოლის მწიგნობრის ფუნქციები, მაგრამ საინტერესო სხვა რამაა. საწოლის მწიგნობარი ჭყონდიდელთან ერთად გამოდის "საეკლესიო დასის" ხელისუფლად, რაც მის უალრეს მნიშვნელობაზე მიუთითებს. საწოლის მწიგნობარს, "კარის გარიგების" მიხედვით, მართებდა "ზედამდგომელი მეჭურჭლე" იგი იყო საწოლის, როგორც მეფის კაბინეტის გამგებელი და მეფის პირადი მდივანი. ნიშანდობლივია, რომ საწოლის მწიგნობრობა დოკუმენტების მიხედვით, ხშირად გაერთიანებული იყო საჭურჭლის მწიგნობრობასთან: თამარის გელათისადმი ბოძებული სიგელი დაწერილია საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარ არსენ სამძივარის მიერ; ასევე საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარ ნიკოლოზის მიერაა დაწერილი დავით ნარინის გელათისადმი ბოძებული სიგელი. ის ფაქტი, რომ ცალკე საბაროს მწიგნობარი არ ჩანს წყაროებში, უნდა ამაგრებდეს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საწოლი და საბარო ერთი უწყება იყო. ჩვენი აზრით არც ცალკე საჭურჭლის მწიგნობარი არსებობდა და მის ფუნქციებს საწოლის მწიგნობარი ასრულებდა.

საწოლის მწიგნობრის კონკრეტული ფუნქციების ზოგადობის შესახებ ჩვენ მასალები უეჭველად გვაკლია, მაგრამ მისი ადგილი მნიშვნელოვანი როლი კამათს არ უნდა იწვევდეს. ნიშანდობლივია, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის პირველი თანაშემწე სწორედ საწოლის მწიგნობარი იყო. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საწოლის, როგორც

სასახლის უწყების, წამყვან მნიშვნელობას. ამაზეც მიგვითითებს ზოგიერთი შემორჩენილი ცნობა საწოლის მწიგნობართა სოციალური ვინაობის შესახებ. იერუსალიმის ერთი ხელნაწერის მინაწერში აღნიშნულია: "შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი დიდისა მონასტრისა ზერსა მოძღვართმოძღვარსა ანტონი გოდობრელსა. ესე წიგნი მარგალიტი საწოლის მწიგნობროზასა მისსა შინა დაეწერინა". მინაწერის მიხედვით, ანტონი გოდობრელი ჯერ საწოლის მწიგნობარი ყოფილა, შემდეგ კი გელათის მოძღვართმოძღვარი. ეს ანტონი გოდობრელი არის ერისთავთერისთავთა სახლის შვილი, კერძოდ კი, შვილიშვილი სავანის 1046 წლის წარწერაში მოხსენიებული გიორგი ერისთავთერისთავისა. თავის მხრივ ანტონი გოდობრელი, გოლიათის ძე იხსენიება დარკვეთის წარწერებში. თუ ქრონოლოგიის მიხედვით ვიმსჯელებთ, ანტონი გოდობრელი დავით IV აღმაშენებლის საწოლის მწიგნობარი უნდა ყოფილიყო.

წარჩინებული სახლის შვილია თამარის გელათისადმი ხოძებული სიგელის დამწერი, საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარი არსენ სამძივარი.

საინტერესოა, რომ არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის წყალობის დაწერილს მგელა აბუღახტარისძისადმი სხვებთან ერთად ამოწმებს "იშხნელ ყოფილი და აწ საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარი ანტონი". ეს პიროვნება მწიგნობართუხუცესის დაწერილს ამოწმებს ძაღზე მაღალი რანგის პირებთან და სულაც არ მოჩანს დამცროზილად. ჩანს, საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობრობა თუ მეტი არ იყო, ყოველ შემთხვევაში იშხნელობას ულრიდა. იშხნელის მაღალ იერარქიულ პატივზე სიტყვის გაგრძელება კი აღარ მიგვაჩნია საჭიროდ.

ეს მასალა მოვიტანეთ საწოლის მწიგნობრების მაღალი სოციალური წარმოშობის საილუსტრაციოდ, რაც, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. თავის მხრივ კი აღნიშნული პირების სოციალური წარმოშობა გარკვეულ შტრიხებს მატებს საწოლის მწიგნობრის, როგორც თანამდებობის პირის, წარმოჩინებასა და გაგებასაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომ საწოლი და საღარო, როგორც სასახლის უმთავრესი უწყება, ღღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, კოლექტიური მმართველობის ქვეშ იყო და იგი არ წარმოადგენდა მხოლოდ მსახურთუხუცესის სახელოს.

"საწოლი-საღაროს", როგორც მეფის პირადი აპარტამენტების (საძინებელი, სასადილო), კაბინეტის, სახელმწიფო ზეჯდის საცავისა და განძეულის (ასევე არქივის) საცავის კომპლექსის მართვაში მონაწილეობდა სასახლის რამდენიმე "უხუცესი" თავისი შტატის მეშვეობით.

1. საწოლს, როგორც სახელმწიფოებრივ უწყებას, მეფის კაბინეტსა და კანცელარიას განაგებდა საწოლის მწიგნობარი (მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელო).

2. საღაროს, როგორც განძეულის საცავს, განაგებდა მეჭურჭლეთუხუცესი.

3. საწოლისა და საღაროს, როგორც მეფის ადგილსამყოფელისა და

სახელმწიფო ბეჭდის საცავის დაცვას ახორციელებდნენ მესაწოღეთუხუცესი და მოღარეთუხუცესი (მსახურთუხუცესის სახელო).

4. საწოღისა და საღარის მომსახურებას უბრუნველყოფდა ფარეშთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, და მეხიღეთუხუცესი (მსახურთუხუცესის სახელო). საწოღის მომსახურებაში მონაწიღეობდა ასევე "საღვინის" უწყება და "სამზარეულო", რომლებიც ცაღკე იყვნენ კარზე ორგანიზებულნი.

აღნიშნული საკითხების განხიღვის შემდეგ, ჩვენ შეგვიძღია განვიხიღოთ "ვეზირობა" და ვაჩვენოთ, რომ საწოღიდან ხდებოდა სახელმწიფოს მართვა.

საამისოდ მოვიტანოთ "ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობა "ვეზირობის" შესახებ: "და თუ ვეზირობა იყოს, მათ მოაკსენონ ჭყონდიდელსა და ათაბაგსა, ამირსპასაღარსა, მეჯურჭეთუხუცესსა, მსახურთუხუცესსა და ამიღახორსა. დაფინოს ორხოვა ფარეშთუხუცესმა მომცრო და ზედ სასთაული დადვას. დაჯდეს მეფე მას ზედა... მსახურთუხუცესმან "ბრძანეთ" თქვას. ჯაღაბი გაიყაროს"

ყურაღღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ "ვეზირობის" დასაწყისში მსახურთუხუცესი "იურვის", მან უნდა თქვას "ბრძანეთ", რის შემდეგაც ჯაღაბი "გაიყრება" საფიქრებელია, რომ "კარის გარიგების" ციტირებულ ადგილას "ჯაღაბი" არა მეფისა და კარისკაცთა ოჯახებს, არამედ სასახლის ხელშინაურთ აღნიშნავს. ციტირებულ ტექსტშივე აღნიშნულია, რომ ოთახი "სავაზიროდ" ფარეშთუხუცესს უნდა გაემზადებინა. ცხადია, მას ფარეშებიც ეხმარებოდნენ და სწორედ ეს უნდა იყოს "ჯაღაბი" (შდრ. "მოჯაღაბე"). ამას ისიც ამტკიცებს, რომ "ჯაღაბის გაყრის" ნიშანი მსახურთუხუცესს უნდა მიეცა, რომლის ხელქვეითებსაც სწორედ ეს "ჯაღაბი", ფარეშები შეადგენდნენ.

ტერმინი "ჯაღაბი" იხსენიება "ვეფხისტყაოსანშიც" და იქაც სრულიად გარკვეულად "საწოღთანაა" დაკავშირებული.

"ვეზირობის" დაწყების წინ "ჯაღაბის გაყრა" და მსახურთუხუცესის მიერ სათანადო განკარგულების გაცემა მიგვანიშნებს, რომ "ვეზირობა" საწოღში მიმდინარეობდა. ამაზეც მიგვითითებს ზოგი სხვა გარემოებაც. "ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობით, "ვეზირობის" დროს "საწოღის მეკრე კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით, ან გამოუხმავს, ჴელთა არგანი აქვს, ქვე ზის და ვისცა უბრძანებენ, შემოიყვანს" "საწოღის მეკრე" როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, საწოღის დაცვის შტატს წარმოადგენდა და მესაწოღეთუხუცესის სახელო იყო. ცხადია, რომ ის კარი, რომლის გარეთაც იდგა საწოღის მეკრე და ზურგი ჰქონდა შემოქცეული, საწოღის კარი იყო. მასვე ევალებოდა "ვისცა უბრძანებდნენ, შემოიყვანს" ეს ფუნქციაც საწოღის მეკრისა საწოღზე მიგვითითებს. ყველა ცნობაში, სადაც კი საწოღის მეკრე იხსენიება, იგი საწოღთანაა დაკავშირებული. ამაზე მიგვითითებს ამ მოხელის სახელწოდებაც. საწოღის მეკრეს "ვეზირობაზე" გამოძახებული პირები "საწოღში" შეჰყავდა.

სამეფო თათბირი, სახელმწიფო საბჭო უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა საწოლში, სადაც ეს თათბირი მიმდინარეობდა.

ამდენად, საწოლი წარმოადგენდა იმ უწყებას, სადაც სახელმწიფო საბჭო, სასახლის უმაღლესი მოხელეები მეფის ხელმძღვანელობით იღებდნენ სახელმწიფოებრივ აქტებსა და გადაწყვეტილებებს.

არსებობდა მოძრავი საღარო და საწოლი.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ სამეფო სასახლე, როგორც დაწესებულება, მოძრავი იყო და მეფესთან ერთად გადაადგილდებოდა. ეს ეხებოდა სასახლის ყველა უწყებას, მაგრამ ვინაიდან აქ საწოლსა და საღაროზე ვსაუბრობთ, შევეხოთ პირველ რიგში ამ უწყებას.

კარის გარიგების ცნობით: "სიკისტროსანი ჯორი ესრე მოკაზმული: კეხი კეკლუცად მოკაზმული, მოჭედილი... და სახურავი ხავედისა... და შვდასი სახელი მესაწოლე არის. და შვდასი შუბოსანი ამა სიკისტრონსა ჯორისასა მისდევენ, რა მეფე აიყაროს, და საღაროს წინათ იარების სიკისტრონი და ერთი ყათარი სხვა ჯორი სასაგებელი..."

ცნობიდან ჩანს, რომ სამეფო კორტეჟში მგზავრობის დროს ცალკე იყო გამოყოფილი საწოლი და საღარო, რომლებიც ჯორზე იყო აკიდებული და შვიდასი შუბოსანი მესაწოლე იცავდა. ამას ერქვა "ბარგი" და გადაზიდვას "ბარგისუხუცესი" ხელმძღვანელობდა.

რას ნიშნავს "სიკისტროსანი ჯორი"?

"სიკისტრონი" ანუ "სიკისტროსანი" დამახინჯებული "სიკრიტონია" ტექსტში "სიკრიტნოსანი" ჯორი, "სიკრიტონი" უნდა გვქონოდა. ქართული "სიკრიტოსანის" "ჩიკისტრონად", "სიკისტროსანად" დამახინჯება არაა ძნელი. ამგვარად, ჯორს მეფის "სიკრიტონი" უნდა ჰქონოდა აკიდებული და ამიტომაც იწოდებოდა "სიკრიტნოსან ჯორად"

"სიკრიტონი" ბერძნული ტერმინია, რაც ბიზანტიაში სამდივნოს, უწყებას ნიშნავდა. შინაარსით ის უდრიდა დასინურ secretum-ს, რომელიც ასევე საწოლის, ხაზინის მნიშვნელობით იხმარებოდა.

"სიკრიტნოსან ჯორს" მეფის "სიკრიტონი" ჰქონდა აკიდებული, რაც სამეფო "ვეზირობის" მოწყობილობა იყო. "კარის გარიგების" ცნობით, "სიკრიტნოსან ჯორს" აკიდებული ჰქონია: "დიდი მაფრაში, რომელსა შიგან იდვას ერთი მომცრო უკეთესი ორხოვა, ერთი ღაიბი, ერთი სუნდუზი და ერთი სასთაული, ეს ერთს თხელს ღარის ბუდესა შიგან და ეგეთი მაფრაშასა შიგან იდვას". სწორედ აღნიშნული ნივთები იყო "სიკრიტნოსან ჯორზე" ყოველივე ეს მეფის ღოგინს კი არა წარმოადგენდა, როგორც შეიძლება ვიფიქროთ, არამედ "ვეზირობის" დროს მეფის საჯდომ მოწყობილობას. მოვიტანოთ ცნობა "ვეზირობის" აღწერიდან: "დაფინოს ორხოვა ფარეშუხუცესმან მომცრო და ზედ სასთაული დადვას. დაჯდეს მას ზედა მეფე. მოიღონ სუფრის ნოხი და მომრგვალებით დაფინონ პირისპირ". როგორც ვხედავთ, ორივე ცნობაში საუბარია მომცრო ორხოვაზე, სასთაულზე, სუფრის ნოხზე. "სუნდუზი", რომელიც იხსენიება "სიკრიტნოსანი" ჯორის აღწერაში, მელქისედეკ კათალიკოსის XI ს.

"დაწერილში" დადასტურებული "სუნდუსი" უნდა იყოს. "სუნდუსი" ძვირფასი ქსოვილი ყოფილა, რომელიც ოქსინოსა და სკარამანგთან ერთად იხსენიება. სწორედ ეს "სუნდუნი-სუნდუსი" უნდა იყოს ის "სუფრის ნოხი", რომელსაც "მოპრეპარატებით ფუნქციის "ვეზირობის" დროს. ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის მეფეთა საბჭოს სხდომაც "საწოლში" მიმდინარეობდა და იქაც იატაკი ძვირფასი ქსოვილებით იყო გაწყობილი.

რა პქონდა აკიდებული მოძრავ საღარის?! საღარში, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ინახებოდა "შეკრული", "არა სანიადაგოდ სახმარი" განძეულობა და სახელმწიფო ბეჭედი. შეუძლებელია მეფეს გადაადგილების დროს "შეკრული", "არა სანიადაგო" განძი ეტარებინა და ამას არც ეყოფოდა ერთი ჯორი. მითუმეტეს, რომ მხოლოდ ღოგინი ("საგებელი") მთელ ქარავანს მიპქონდა. ამიტომაც გამომდინარეობს ღოგიკური დასკვნა, რომ მოძრავი საღარო იყო დიდი სახელმწიფო სასიგელე ბეჭედი.

სამეფო კორტეჟის მგზარობისას და გადაადგილებისას, თან დაპქონდათ მეფის "სიკრიტონი"-მისი მოწყობილობა "ვეზირობის" დროს და დიდი სახელმწიფო ბეჭედი (მოძრავი "საღარო"). მეფის ღოგინთან ერთად მათ იცავდნენ მესაწოლე უბოსნები.

მეფე ხელისუფლებას ახორციელებდა, "ვეზირობას" იწვევდა და სახელმწიფოებრივ აქტებს იღებდა ყველგან, სადაც იმყოფებოდა და ბუნებრივია, რომ "სიკრიტონიც" და სახელმწიფო ბეჭედიც მუდმივ თან უნდა პქონოდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ "ხელმწიფის კარის გარიგების" ცერემონიალი ერთნაირი ჩანს როგორც მეფის ძირითად სასახლეში ყოფნის, ისე გადაადგილების დროსაც. სამგზავრო საწოლი, ანუ "კარავი" (კაბინეტი-სიკრიტონი, საძინებელი, სასადილო) ასევე განლაგდებოდა საღაროს (სახელმწიფო ბეჭდის) გვერდით. იქვე უნდა ყოფილიყო. უეჭველია "ეკლესია კარვისა" და "ძელი ცხოვრებისა", რომელიც "ველსა კარვით დგას და კარავი განაღამცა სეფე იყო".

ამდენად, სასახლის მთავარი უწყება "საწოლი-საღარო", როგორც სახელმწიფოებრივი მართვის უწყება, სახელმწიფო საბჭოს ("ვეზირობის") სხდომის ადგილი და სახელმწიფო ბეჭდის საცავი, თავის ფუნქციებს ასრულებდა ყველგან, სადაც მეფე და მისი "სასახლე", ყოველ კონკრეტულ მომენტში იმყოფებოდა.

ს ა ჭ უ რ ჭ ე

სასახლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უწყებას "საჭურჭლე" წარმოადგენდა. ი. ჯავახიშვილის განმარტებით, "საჭურჭლე" სახელმწიფო ხაზინა იყო. საფიქრებელია, რომ სამეფო კარზე მეფის ხაზინა და სახელმწიფო ხაზინა ცალ-ცალკე არ ყოფილა ორგანიზებული.. "საჭურჭლე" ერთი იყო და იგი სამეფო ხაზინას წარმოადგენდა, რომელიც იმავე დროს

სახელმწიფო ხაზინაც იყო. ასე ჩანს ეს ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით.

"საჭურჭლე" და მისი გამგებელი დამოწმებულია ჯერ კიდევ გიორგი მერჩულესთან. აშოტ კურაპალატს ჰყოლია "სასახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქაღი და ყოველი მონაგები ჩუენი ჴელთა მისთა იყო".

"საჭურჭლე" ქუთაისის სასახლეში დამოწმებულია ბაგრატ III დროისათვისაც.

XI-XIII საუკუნეების "საჭურჭლე" რთული ორგანიზაციაა და თუ აშოტ კურაპალატის სახლის "მონაგები" ერთ მეჭურჭლე ქაღს ებარა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ეს უწყება ფრიად გაზრდილია.

"საჭურჭლე", როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, "ჭურჭლის" საწყობს ნიშნავდა. "ჭურჭელში" კი განძი, საგანძური, სიმდიდრე იგულისხმებოდა. "საჭურჭლე" მოჩანს გიორგი II-ის .კარზე. როცა თურქებმა იგი გააქციეს: "საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი... აიხუნეს იავარად". ნიანია ერისთავმა "წარიღო ქუთათისისა საჭურჭლე"

"საჭურჭლე" XI-XIII საუკუნეთა წყაროებში უაღრესად ხშირად იხსენიება. ჩვენ მათი აქ მოტანა არ მიგვაჩნია საჭიროდ. ვინაიდან "საჭურჭლის", როგორც დაწესებულების, სტრუქტურა ყველაზე კარგად ჩანს "ხელმწიფის კარის გარიგებაში", გავეცნოთ ამ ძეგლის მონაცემებს.

სასახლის "საჭურჭლე", როგორც ცალკე ორგანიზებული უწყება, "ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობით ასევე ცალკე, კომპაქტურად როდი იყო განლაგებული. ამ უწყებისადმი კუთვნილი ნივთეულობა ინახებოდა როგორც საკუთრივ "საჭურჭლეში", ისე სხვა უწყებებში. სხვა უწყებებში შენახული და დაცული ნივთეულობა "საჭურჭლეს" ეკუთვნოდა და მეჭურჭლეთუხუცესის სახელო იყო.

ზემოთ, საღარზე საუბრისას, ჩვენ დავინახეთ, რომ "რაც საღარის ოქროს ჭურჭელი, ანუ ვერცხლისა, საშმარებელად სანიადაგოდ არ უნდა და შეკრული საღარისა ძეს", ეკუთვნოდა არა მოღარეთუხუცესის სახელოს და "საწოლისა და საღარის" უწყებას, არამედ მეჭურჭლეთუხუცესის სახელოსა და საჭურჭლის" უწყებას. იგივე დასკვნა გამომდინარეობს სასახლის სამეფო არქივის თაობაზე, რომელიც ეკუთვნოდა "საჭურჭლეს" და ვფიქრობთ, დაცული იყო საღაროში.

ანალოგიურ მდგომარეობას ვაწყდებით "საჭურჭლისა" და "საღვინის" უწყების დამოკიდებულებაშიც. "კარის გარიგების" ცნობით, საკუთრივ "საჭურჭლეში" დაცული ყოფილა: "სხეაჲ ღარი და ჭურჭელი (ე. ი. ის რაც საღაროში არ იყო შენახული, ი. ა.), ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური, უსაღვინო, ყოველი საჭურჭლეში ძეს და დგას"

ციტირებული ცნობიდან ორი რამ ირკვევა. პირველი ის, რომ საკუთრივ საჭურჭლეში "სანიადაგოდ საშმარებელი" ღარი და ჭურჭელი ყოფილა შენახული, მეორე კი ის, რომ აქ ინახებოდა ყოველგვარი სახმარი ძვირფასი ჭურჭელი "საღვინე" ჭურჭლის გარდა ("უსაღვინო").

სად იყო დაცული საჭურჭლის უწყებისადმი კუთვნილი საღვინე ჭურჭელი?! "ხელმწიფის კარის გარიგების" · ის მონაკვეთი, სადაც "საღვინეზე" და "მეღვინეთუხუცესზეა" საუბარი, სავსებით შუქს ფენს ამ საკითხს. "სხვაჲ საღვინე ჭურჭელი, სანიადაგო, უმეჯიშო, საღვინეში დგას და მეჯიშისანი კიდეგან დგანან. და ზეჭედი მეჭურჭლეთუხუცესისა"

საკუთრივ საჭურჭლეში დაცული იყო "სხვაჲ" ღარი და ჭურჭელი", საღვინე ჭურჭლის გარდა ("უსაღვინო"). სავსებით ნათელია, რომ "სანიადაგო", უმეჯიშო" საღვინე ჭურჭელი ეკუთვნოდა საღვინის უწყებას, ხოლო საღვინეშივე "კიდეგან" მდგარი "მეჯიშის" ძვირფასი ჭურჭელი მეჭურჭლეთუხუცესის სახელო იყო და საჭურჭლის უწყებას მიეწერებოდა. "მეჯიშის" ძვირფასი საღვინე ჭურჭელი საღვინეშივე იყო დაცული, მაგრამ იგი ცალკე ("კიდეგან") იყო გამოყოფილი საღვინის უწყების "სანიადაგო, უმეჯიშო" ჭურჭლისაგან და მეჭურჭლეთუხუცესის ზეჭედით იყო დაბეჭდილი.

საჭურჭლის უწყებას უნდა კუთვნებოდა ზოგიერთი სახის სამეურნეო საქონელიც. "კარის გარიგების" ცნობით, საწიდის ფარეშებს მაშხაღის ასანთებ აღყის ქონს და სელის ზეთს "მეტყავენი და მეჭურჭლენი" აძღევდნენ. ჩვენს ყურადღებას "მეჭურჭლენი" იპყრობენ. საინტერესოა, რომ ფარეშებს ქონს "სასაპოვნეთაცა" აძღევდნენ და სელის ზეთს "ქაღაქით აიღებდნენ". საფიქრებელია, რომ ქონი და სელის ზეთი ("სამაშხაღე" და "სასაპოვნე") საჭურჭლის უწყებას ეკუთვნოდა და მათი გაცემაც ხსენებული უწყების "ჴელოსნების" მიერ ხდებოდა. ცხადია, რომ ქონი და სელის ზეთი არ იყო დაცული არც საკუთრივ საჭურჭლეში, არც საღარესა და საღვინეში. ეს საქონელი ჩვენი აზრით "საგანმგეოს" უწყებაში უნდა ყოფილიყო დაცული.

ამრიგად, საჭურჭლის ერთიანი უწყებისადმი კუთვნილი ნივთეულობა დაცული იყო რამდენიმე სხვადასხვა უწყებაში, მაგრამ იქაც ეს ნივთეულობა საჭურჭლის უწყებისადმი მიწერილი და მეჭურჭლეთუხუცესის განსაგებელი რჩებოდა.

როგორც სათანადო მასალებზე დაყრდნობით ი. ჯავახიშვილმა გაარკვია, საკუთრივ საჭურჭლეში დაცული იყო ფული.

საჭურჭლის, როგორც სასახლის უწყების სტრუქტურა შემდეგნაირად გვესახება:

1. საკუთრივ საჭურჭლე, სადაც დაცული იყო ოქროს და ვერცხლის "სანიადაგოდ სახმარი" ჭურჭელი; ღარი და ფული.

2. "შეკრული" განძეულობა საჭურჭლისა და არქივი, რომელიც ინახებოდა საღაროში.

3. ძვირფასი საღვინე ჭურჭელი, რომელიც დაცული იყო "საღვინეში" და მეჭურჭლეთუხუცესის ზეჭედით დაბეჭდილი.

4. სამეურნეო საქონელი-ქონი, სელის ზეთი და სხვ., რომელიც დაცული უნდა ყოფილიყო "საგანმგეო" უწყებაში.

სასახლის საჭურჭლეს, როგორც უწყებას, ეკუთვნოდა ასევე სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილას შენახული და დაცული საჭურჭლეები. ასეთად ჩანს, მაგალითად, დავით აღმაშენებლის ანდერძში მოხსენიებული "ატენისა საჭურჭლე", გიორგი III-ის მიერ უჯარმაში შექმნილი საჭურჭლე და სხვ. ეს საჭურჭლეები სასახლის საჭურჭლის, როგორც დაწესებულების შემადგენელი ნაწილები იყო.

საჭურჭლე, როგორც უწყება, ამდენად გარკვეულ კომპლექსს წარმოადგენდა. მას სათავეში მეჭურჭლეთუხუცესი ედგა, რომელიც მკვლევართა აზრით XIII საუკუნის დაახლოებით პირველი მეოთხედიდან ვაზირის რანგში იქნა აყვანილი. საფიქრებელია, ის უფრო ადრეც იყო ვაზირი.

მეჭურჭლეთუხუცესი არ ყოფილა "სახელმწიფოს ფინანსთა მინისტრი (ი. ჯავახიშვილი), რადგან ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში არ არსებობდა ცალკე სახელმწიფო ხაზინა. იგი მეფის მოხელე, მეფის ფინანსთა მინისტრი იყო და ამდენადვე სახელმწიფო ხელისუფალიც.

ცენტრალური მმართველობის აპარატის მოხელეებიდან და ხელოსნებიდან მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ მეჭურჭლეთუხუცესის ანუ საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი და სასახლის მეჭურჭლეები ("დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი"). ადგილობრივი ხელისუფლების აპარატიდან მის განსაგებელს შეადგენდა "ქაღაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქაღაქისანი:" და "ძველნი ქაღაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო, რაც მეფისა სადაც წავა ანუ მოვა". მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ მეჩურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ არა საერთოდ ვაჭრები და სავაჭრო, არამედ ის, რაც მეფისა იყო. ასევე, მისი სახელო იყო არა ყველა ქაღაქი, არამედ "ძველი ქაღაქნი", რაც სამეფო ქაღაქებს ნიშნავდა. "ქაღაქის ამირანი" შესაბამისად, სამეფო ქაღაქების ამირები იყვნენ.

მეჭურჭლეთუხუცესის უახლოესი თანაშემწე მისი "ნაცვალი" იყო. "ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით მას ეწოდება "საჭურჭლის ნაცვალი", ხოლო "ისტორიათა და აზმათა" ცნობით, "ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცესისა"

ჩვენი აზრით, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი იგივე საჭურჭლის ნაცვალია. აქ მცირეოდენ ტერმინოლოგიურ სხვაობასთან გვაქვს საქმე.

საჭურჭლის ნაცვლის კონკრეტული ფუნქციების შესახებ ჩვენ მასალები გვაკლია, მაგრამ, საფიქრალია, რომ იგი, როგორც მეჭურჭლეთუხუცესის შემდეგ პირველი ხელისუფალი საჭურჭლის უწყებაში, ფართო უფლებებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. მეჭურჭლეთუხუცესის კარზე არყოფნის დრო, ჩანს, იგი ასრულებდა მის ფუნქციებს, რაზეც ტერმინი "ნაცვალიც" მიუთითებს.

"ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, თავისი ძირითადი ფუნქციისა და პელის, მეჭურჭლეთუხუცესის მოადგილეობის გარდა, საჭურჭლის ნაცვალი ასრულებდა "პირის მწდის" მოვალეობას სამეფო

დარბაზობაზე. მეფის პირის მწდის საპატიო პრივიღეგია საჭურჭღის ნაცვაღსა და მეღვინეთუხუცესს (უწყების მეთაურს) ჰქონდათ ბოძებული. დარბაზობის დროს პირის მწდის მოვაღეობის ამსრუღებეღი საჭურჭღის ნაცვაღი ამირეჯიბთან და განმგეთუხუცესთან ერთად ჯდებოდა სუფრაზე. ეს მის საკმაოდ დიდ პატივსა და პრივიღეგიებზე მიუთითებს.

"კარის გარიგების" მონაცემებით, მეჯურჭღეთუხუცესის სახეღო იყო "მუქიფი". ეს "მუქიფი" უნდა იყოს საჭურჭღის მუქიფი, ვინაიდან კარზე იყვნენ ასევე საღვინის მუქიფი და საგანმგეთს მუქიფიც.

მუქიფი არის "ძღვენთ მნე" და როგორც დადგენიღია, გვიან შუასაუკუნეებში მას ფეშქაშნივისი ეწოდებოდა.

მუქიფის საქმიანობის გასარკვევად "ხეღმწიფის კარის გარიგებაში" ძაღზე მწირი ცნობებია შემონახუღი, მაგრამ მისი დადგენიღი მნიშვნეღობა, "ძღვენთ მნეობა" (მოგვიანოდ ფეშქაშნივისობა) საშუაღებას გვაძღევს ზოგადად მაინც წარმოვიდგინოთ ამ მოხეღის ფუნქციები. "დასტურდამაღის" მიხედვით, არსებობდა ფეშქაშნივისის "ქარხანა" მის მოვაღეობას შეადგენდა "ქარხანაში" შემოსუღი ფეშქაშის ანგარიშის წარმოება. ფეშქაშნივისს ეძღეოდა სათანადო გასამრჯეღო და ფეშქაშის წღიური ჯამის მეთერმეტედი.

XVIII საუკუნის დასაწყისის ქართღის სამეფოს კარის ორგანიზაციუღი სტრუქტუარ, ბუნებრივია, საგრძნობღად განსხვავდება XI-XIII საუკუნეთა სამეფო კარისაგან, მაგრამ ცაღკეუღ მოხეღეთა ფუნქციები (ოღონდ განსხვავებუღ ორგანიზაციუღ აღნაგობაში) საკმაოდ ახღოს დგანან ერთმანეთთან.

როდესაც ვადარებთ ერთმანეთს მუქიფსა და ფეშქაშნივისს, მხედვეღობაში გვაქვს მათი ფუნქციური სიახღოვე. ამავე დროს, გათვაღისწინებუღი გვაქვს ისიც, რომ "ხეღმწიფის კარის გარიგების" მიხედვით დადასტურებუღია საჭურჭღის, საგანმგეოსა და საღვინის მუქიფები, რომღებიც სათანადო უწყებების ხეღმძღვანეღობას ემორჩიღებოდნენ. ფეშქაშნივისი კი ორი იყო, ერთი ქართღისა და ერთი კახეთისა. თუ მუქიფთა დანაწიღება უწყებრივია, ფეშქაშნივისთა მხოღოდ გეოგრაფიუღია.

ვინაიდან მუქიფის ფუნქცია ძღვენის აღნუსხვა და სათანადო ანგარიშის წარმოება იყო, შესაძღებეღია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ "ხეღმწიფის კარის გარიგების" სამი სხვადასხვა მუქიფის სამოღვაწეო ასპარეზი.

"საჭურჭღის მუქიფის" სახეღოს, უეჭვეღია, შეადგენდა, ისეთი ძღვენისა და შემოსავღის აღნუსხვა, რაც საჭურჭღეში შედიოდა. ასეთი კი შეიძღებოდა ყოფიღიყო ძვირფასეუღობა, თვაღ-მარგაღიტი, ღარი და სხვ. ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა "ვეფხისტყაოსანის" ზოგიერთი რეაღია. მეფის ვაჭართუხუცესი უსენი თავის სფეროში საკმაოდ დიდი ძაღაუფღებით იყო აღჭურვიღი, როგორც მეფის მოხეღე-"არიფი" მისი ნებართვის გარეშე უცხოეღი ვაჭრები საქონეღს ვერ გახსნიდნენ

გასაყიდად, ხოლო "უტურფესთა სეფედ დასხმენ". ე. ი. "უტურფესი" საქონელი სასეფედ, მეფისათვის საძღვნოდ უნდა გადადებულიყო. ვფიქრობთ, ამგვარი წესი შორს არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს რეალური ცხოვრებისაგან. საფიქრებელია, რომ საჭურჭლის მუქიფის ფუნქცია ამგვარი ძღვენის აღნუსხვა უნდა ყოფილიყო. მუქიფისაგე სახელო უნდა ყოფილიყო როგორც უცხო სახელმწიფოთაგან შემოსული, ისე მეფის მოხელეებისა და ვასალებისაგან შემოსული ძღვენიც. ცხადია, ისეთი ძღვენი, რომელიც საჭურჭლის უწყებას განეკუთვნებოდა. საჭურჭლის მუქიფის აღსანუსხი უნდა ყოფილიყო ასევე მეფის მიერ გაცემული ძღვენიც. ნიშანდობლივია, რომ ფეშქაშნიეისსაც არა მხოლოდ შემოსული ძღვენი, არამედ გასაცემი ძღვენიც ეხებოდა. დავიო აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, მეფის ერთ-ერთ ფუნქციას "მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი" შეადგენდა. საჭურჭლის მუქიფს, უეჭველია, შეეხებოდა მეფის მიერ ისეთი "მისაგებელის" გაცემა, რაც საჭურჭლესთან იყო დაკავშირებული.

საჭურჭლის უწყებიდან და მეჭურჭლეთუხუცესის სახელოდან კარზე იმყოფებოდა და ცენტრალური მმართველობის აპარატის მოხელე იყო მუშრიბი. "კარის გარიგების" ცნობით: "მუშრიბი, რაც ქაღაქთა საჭურჭლე შევა და ნავაჭრი რაც შევა სანელებელი, მასტაკი და სამარხო წამალი, საშმარი თუთუბო-ესეცა მუშრიბმან იცის და უხუცესთა მიათვლის". მუშრიბის სახელო აღმოსავლეთში იყო ცნობილი და ეს ტერმინი ნასესხებია. აღმოსავლური მასაღის საფუძველზე ვ. ბარტოლდი ასკვნის, რომ მუშრიბის ფუნქციას შეადგენდა სასახლის ხარჯების კონტროლი. სამანიდების სახელმწიფოში დამოწმებულია მუშრიბების დივანი. მუშრიბის ინსტიტუტი დამოწმებულია რუმის სასულტნოშიც. "ხელმწიფის კარის გარიგებაში" დამოწმებული მუშრიბის ფუნქციას შეადგენდა ქაღაქში შესული საჭურჭლისა და ნავაჭრის აღნუსხვა. გარდა "საჭურჭლისა" და "ნავაჭრისა", მუშრიბს მოეკითხებოდა სხვადასხვა სანელებლებიც ("ესეცა მუშრიბმან იცის"). როგორც ჩანს, მუშრიბი იყო სასახლის ცენტრალური აპარატისა და ქაღაქის ადგილობრივი აპარატის დამაკავშირებელი მოხელე. სხვადასხვა სახის შემოსავალი მისი მეშვეობით შედიოდა სასახლის უწყებებში. ბაჟისა და ძღვენის სახით, ვაჭრებისაგან, როგორც ჩანს, იღებდნენ სულ სხვადასხვა სახის საქონელს. ყოველივე ამას მუშრიბი "უხუცესთა მიათვლიდა". საფიქრებელია, რომ მუშრიბი ქაღაქის შემოსავალს მიათვლიდა თავისზე უხუცესებს, კერძოდ კი სხვადასხვა უწყების მუქიფებს, რომელთაც სწორედ ამგვარი შემოსავლის შენახვა-აღნუსხვა ევალებოდათ. ქაღაქში შესული "საჭურჭლე", უეჭველია, მიეთვლებოდა საჭურჭლის მუქიფს. სხვადასხვა სახის სამზარეულო საქონელი კი ჩვენი აზრით საგანმგეოს მუქიფს უნდა ჩაბარებოდა, რომელიც საგანმგეოს უწყებას მიეკუთვნებოდა. შეუძლებელია "სანელებელი, მასტაკი" და სხვ. საჭურჭლეში ან საღარეში ყოფილიყო შენახული.

ამდენად, მუშრიბის ფუნქციას ქაღაქის ადგილობრივი მმართველობის აპარატის მიერ შეკრებილი შემოსავლის სასახლის აპარატისათვის "მითვლა" და სათანადო ანგარიშიანობა შეადგენდა.

სასახლის ცენტრალური მმართველობის აპარატის უწყების, "საჭურჭლის" "უელოსნები" იყვნენ "დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი". მათი კონკრეტული ფუნქციების გარკვევა სათანადო მასალის უქონლობის გამო ძალზე ჭირს. საფიქრებელია, რომ ისინი წვრილმანი შემოსავალ-გასავლის ანგარიშს აწარმოებდნენ და მიმდინარე დავალებათა აღმასრულებელნი იყვნენ.

"საწოლისა" და "საღარის" უწყებაზე საუბრისას შევეხეთ მწიგნობრის სახელის და აღვნიშნეთ, რომ საწოლის მწიგნობარი ასევე საჭურჭლის მწიგნობარიც. უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას უნდა ამაგრებდეს ის ფაქტი, რომ "კარის გარიგების" ცნობით, საწოლის მწიგნობარს ზედამხედველი მეჭურჭლე ჰყავდა. "ზარდახნის" მწიგნობრის ანალოგიით უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ საწოლის (და საჭურჭლის) მწიგნობარი საჭურჭლის ყოველწლიურ რევიზიას ახდენდა და ამ შემოწმების შედეგები, ისევე როგორც "ზარდახნის" აღწერისა, "საანგარიშო გოდორში" ინახებოდა.

ს ა ჯ ი ნ ი ბ ო - ზ ა რ ა დ ხ ა ნ ა

სასახლის უწყებრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა "საჯინიბოსა" და "ზარადხანის" უწყებას, რომელიც ამირახორის სახელო იყო და მისი მეშვეობით სამეფოს ამირსპასალარისა. "ხელმწიფის კარის გარიგების" სათანადო ადგილიდან კარგად ჩანს საჯინიბო-ზარადხანის შიდასაუწყებო და სამოხელეო ორგანიზაცია. მოვიტანოთ ეს ცნობა: "ამილახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა და ამის უელის მეაბჯრეთუხუცესიცა. მეაბჯრეთუხუცესი და მეაბჯრენი და მესარტყლენი და საჯინიბოს შემავალი ყოველნივე ამილახორის უელისანი არიან".

ამ ცნობიდან დგინდება, რომ ამირსპასალარის ვეზირის (მოადგილის, მრჩევლის, "ნაცვლის"), ამირახორის უშუალო განსაგებელი იყო საჯინიბო და აბჯარი. ვინაიდან აბჯარი უშუალოდ ცხენოსან ჯართან იყო დაკავშირებული, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს სამეფო კარზე საჯინიბოს და ზარადხანის "მოურნეობა" გაერთიანებული იყო და ამილახორს ექვემდებარებოდა.

ტერმინი ამირახორი ზუსტი შესატყვისია "მეჯინიბეთუხუცესისა" ამირახორი დამოწმებულია დიდ სელჩუკთა კარზე და მის განსაგებელს სულთანისა და სასახლის ცხენების ზედამხედველობა შეადგენდა. დიდ სელჩუკთა კარზე ცალკე იყო ორგანიზებული სულტნის იარაღის საცავი ზარად-ხანე, ბირჭ-ხანე, რომელსაც სიღაჭარი ედგა სათავეში.

საქართველოში, როგორც "კარის გარიგებიდან" ჩანს, საჯინიბოც და ზარადხანაც ამირახორის სახელო იყო. საკუთრივ საჭურვლის საცავს და

მის შტატს სათავეში ედგა მეაბჯრეთუხუცესი, რომელიც ამირახორის ხელქვეით მოხელეს წარმოადგენდა.

ამირახორის ანუ მეჯინიბეთუხუცესის სახელოს, როგორც "კარის გარიგების" ცნობიდან ჩანს, "ყოველი საჯინიბოს შემავალნი" ექვემდებარებოდნენ. ასეთები უნდა ყოფილიყვნენ მეჯინიბეები და მერემეები. მერემეებს თავისი უხუცესი ჰყავდათ, რომელსაც მერემეთუხუცესი ეწოდებოდა, მის თანაშემწეს კი სარემოს ნაცვალი.

ამირახორ-მეჯინიბეთუხუცესს ექვემდებარებოდა მეაბჯრეთუხუცესი, ხოლო მეაბჯრეთუხუცესს, თავის მხრივ, ზარადხანის უხუცესი.

ზარადხანაში დაცული იყო იარაღი, ცხენის აკაზმულობა, დიდი დროშა და სხვ. ზარადხანა და მისი მეაბჯრეები საკმაოდ დიდი სახელოს მფლობელ მეაბჯრეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. ზარადხანის უხუცესი კი, თუ ჩვენს ხელთ არსებული მასალით ვიმსჯელებთ, მაინცდამაინც დიდ მოხელედ არ ჩანს. XIII საუკუნის დოკუმენტებში დადასტურებულია მეაბჯრეთუხუცესი ივანე, რომელიც ქართლის ერისთავის, გრიგოლ სურამელის ძმა იყო და სურამელთა დიდი სახლის შვილი. ზარადხანის უხუცესი კი დამოწმებული გვყავს დავით ნარინისა და მისი ვაჟის ვახტანგის ერთ საბუთში, საიდანაც დგინდება, რომ ზარადხანის უხუცესი ვახტანგ თუღას ძე "მეთემე აზნაური" ყოფილა. მართალია ეს ორი მოხელე ერთდროულად არ მოღვაწეობდნენ და მათი მოქმედების გეოგრაფიული არეალიც განსხვავებულია, მაგრამ მეაბჯრეთუხუცესის სურამელის სახლის შვილობა ერთ შემთხვევაში და ზარადხანის უხუცესის "თემის აზნაურობა" მეორეში, საკმაოდ თვალნათლივ გვიჩვენებს სოციალურ განსხვავებასაც.

ამირახორისა და მეაბჯრეთუხუცესის "მუახლეებად" "ხელმწიფის კარის გარიგება" ასახელებს აჩუხჩს და ამირჩქარს.

ამირჩქარი სპეციალურ ლიტერატურაში განმარტებულია როგორც შიკრიკთა, მაღემსრბოლთა უფროსი. ამგვარი დასკვნა სავსებით მისაღები ჩანს. მას მხარს უჭერს ვახუშტის ცნობაც, რომ შიკრიკები ამირახორის ქვეშევრდომნი იყვნენ. "ხელმწიფის კარის გარიგების" ამირჩქარს ადარებენ მიქელ პანარეტოსის "ტრაპიზონის ქრონიკაში" მოხსენებულ ამირჩანტარიოსს (ამირცანტარიოსს), რომელიც თავის მხრივ სელჩუკთა ამირჩაუშს უნდა უკავშირდებოდეს.

უფრო რთულად დგას "აჩუხჩის" საკითხი. "ხელმწიფის კარის გარიგებაში" მოხსენებული "აჩუხჩი" და "ამერით აჩუხჩი" ზოგ მკვლევარს "ჩუხჩერახის" თანამდებობის აღმნიშვნელ ტერმინად მიაჩნია. ამ სიტყვების მსგავსება არ უნდა იძლეოდეს ამგვარი დასკვნის საფუძველს. "ჩუხჩარეხის" თანამდებობა უაღრესად საპატიო და მნიშვნელოვანი იყო. "ხელმწიფის კარის გარიგების" "აჩუხჩი" და "ამერით აჩუხჩი", რომელსაც კ. კეკელიძე "ამირჩუხჩად" აღადგენს, წვრილი მოხელე ჩანს. "აჩუხჩი" ამირჩქართან და მერემეთუხუცესთან ერთად იხსენიება, როგორც ამირახორისა და მეაბჯრეთუხუცესის "მუახლე", ე. ი. მათი ხელქვეითი. "ამერით აჩუხჩი" (ამირჩუხჩი?) "კარის გარიგების" სხვა ადგილას

ზარდხანის უხუცესთან და მის შემდეგ იხსენიება, რაც მის მაინცდამაინც დიდ თანამდებობაზე არ მიუთითებს.

XII-XV საუკუნეთა წყაროებში დასახელებული უაღრესად საპატიო და დიდ თანამდებობას, "ჩუხჩარეხობას" ჩვენ ვერ მივიჩნევთ "ხელმწიფის კარის გარიგების" "აჩუხჩად" და "ამერით აჩუხჩად", რომელიც ამირჩქარის, მერემეთუხუცესისა და ზარდხანის უხუცესის გარემოცვაში ჩანს და არ უნდა ეკუთვნოდეს სასახლის კარის მოხელეთა უმაღლეს ეშელონს.

ზარდხანის რევიზია და კონტროლი, როგორც "კარის გარიგებიდან" ჩანს, წელიწადში ერთხელ ხდებოდა და მასში ამირახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდხანის უხუცესი და მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის ხელქვეითი ზარდხანის მწიგნობარი მონაწილეობდნენ, ხოლო ანგარიში "საანგარიშო გოდორში" ინახებოდა.

საგანმგეო

სასახლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უწყებას, როგორც "ხელმწიფის კარის გარიგებიდან" და სხვა მასალებიდანაც ირკვევა, საგანმგეო წარმოადგენდა.

საგანმგეოს შეეხო ი. ჯავახიშვილი, რომელმაც ეს უწყება სავსებით მართებულად დაუკავშირა მანდატურთუხუცესის სახელოს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნა: "რა დაწესებულება იყო "საგანმგეო", ამაზე არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება".

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის წყაროებში გაბნეული ცნობების, მათი ადრინდელ თუ მოგვიანო ანალოგიებთან შედარებისა და ცალკეულ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინების საფუძველზე, დღეს შესაძლებელია საგანმგეო უწყების მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოდგენა.

საგანმგეო და მისი მმართველი განმგეთუხუცესი, როგორც უკვე შენიშნა ი. ჯავახიშვილმა, მანდატურთუხუცესის სახელოს მიეკუთვნებოდა- "მოკითხვის" წესის მიხედვით, "ხელმწიფის კარის გარიგებაში" საგანმგეოს შემდეგი სტრუქტურა ჩანს: "განმგეთა უხუცესი (მოსაკითხავია, ი.ა.) - საგანმგეოსა მუქიფისა: საგანმგეოს უხუცესი-მეჯამეთუხუცესისა; მეჯამეთუხუცესი-სარემოს ნაცვლისა".

ტექსტიდან ჩანს, რომ საგანმგეოს სათავეში მანდატურთუხუცესის სახელოსადმი მიკუთვნებული განმგეთუხუცესი იდგა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებულ XI-XIII სს. არც ერთ წყაროში, გარდა "ხელმწიფის კარის გარიგებისა", ამგვარი სახელწოდების მოხელე დადასტურებული არაა. სამაგიეროდ, ზოგ სხვა წყაროში თავს იჩენენ ტერმინები "საგანმგეო" და "განმგეი". "საგანმგეოისა ჩუენისა მოურავნი" დასახელებულია ლაშა გიორგის სიგელში შიომღვიმისადმი.

ამავე რიგისა უნდა იყოს კიდევ უფრო ადრე, დავით IV აღმაშენებლის ანდერძში დასახელებული "მგენი" ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია ამ ტერმინებს და ისინი მეფის სახასო მამულების მართვას, დომენს დაუკავშირა. თუ დავით IV აღმაშენებლის "მუხრანის მგენი" ადგილობრივი აპარატის მოხელეები არიან, ასეთებად ვერ მივიჩნევთ "საგანმგეოს მოურავებს". "მგეები", ანუ "განმგეები" ცენტრალურ მმართველობასაც ჰყავდა უეჭველია და ადგილობრივსაც. დომენის ადგილობრივი მმართველობის აპარატი, რომელსაც შეძლებისდაგვარად დაწვრილებით სათანადო ადგილას შევეხებით, ჩვენი აზრით, ექვემდებარებოდა ცენტრალური აპარატის, სასახლის საგანმგეოს მოურავებს. მოურავი აქ არა კონკრეტული მოხელის, არამედ ზოგადად "მოურნის", მზრუნველის, "საქმისმოქმედის" აღმნიშვნელია.

საგანმგეოს შინაარსისა და სტრუქტურის ჩვენება "განმგისა" და "განმგეთუხუცესის" მნიშვნელობის დადგენით უნდა დავიწყოთ.

"გამგე" სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, გამრიგებელია, გამრიგეა. აქედან გამომდინარე, განმგეთუხუცესი გამრიგებელთა, განმრიგეთა უხუცესს უნდა ნიშნავდეს. იმავე სულხან-საბას ცნობით, ქართული "გამრიგის" ბერძნული შესატყვისი იკონომოსია.

ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს, მხოლოდ "კარის გარიგებაში" მოხსენიებული განმგეთუხუცესის ფუნქციებს ჩავწვდეთ და მისი საქმიანობის ასპარეზი მეტ-ნაკლებად გავითვალისწინოთ.

პეტრიწონის ტიპიკონის მიხედვით "განმგეჲ" იგივეა რაც "ეპიტროპოსნი და იკონომოსნი, რომელ არიან აბარმადნი". თავის მხრივ აბარმადი განმარტებულია, როგორც ეპიტროპოსი, იკონომოსი. გიორგი მთაწმინდელის მიხედვით, ეპიტროპი განმგებელია.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით განმგეჲ იგივეა რაც ეპიტროპოსი, იკონომოსი, აბარმადი.

განმგეთ უხუცესი იგივეა, რაც ეპიტროპოსთა (იკონომოსთა, აბარმადთა, მოურნეთა, მოღუაწეთა) უხუცესი, მათი მეთაური. "ხელმწიფის კარის გარიგებაში" ტერმინ "განმგეთუხუცესით" გამოხატულია ეზოს მოძღვარის თანამდებობა. განმგეთუხუცესი მეფის ეკონომოსთა ხელმძღვანელი, ეზოსმოძღვარი უნდა იყოს.

ტერმინი "ეზოსმოძღუარი" დადასტურებულია უძველეს ტექსტებში, შეესაბამება ტერმინებს-მმართველი, განმგებელი, მეურვე; მეფის კარის, ეზოს განმგებელი.

ამდენად, თუ ამოვალთ სათანადო ტერმინების შინაარსიდან, განმგეთუხუცესის (ეზოსმოძღვრის) განსაგებელი მეფის სასახლისა და დომენის მეურნეობა უნდა იყოს. იგივე უნდა იყოს "საგანმგეო", რომელიც განმგეთუხუცეს-ეზოსმოძღვრის განსაგებელთა ერთობლიობას აღნიშნავდა.

ზემომოტანილი მასალიდან გარკვეული დასკვნების გამოტანისას, ცხადია, ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე შინაარსის ერთი და იგივე ტერმინები სხვადასხვა დროს

სხვადასხვა რანგის ხელისუფალს აღნიშნავდნენ. XI-XIII საუკუნეების უაღრესად მაღალორგანიზებულ ქართულ სამეფო კარზე ახალი სახელოები წარმოიშვა, ორგანიზაციული სტრუქტურა სხვაგვარად მოეწყო, ვიდრე ეს ადრეულ პერიოდებშია დადასტურებული. ამიტომაც ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ფუნქციურ და არა იერარქიულ-ორგანიზაციულ სიახლოვეზე და ტრადიციაზე. ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია ისიც, რომ დროთა განმავლობაში სხვადასხვა მოხელეთა შორის ფუნქციების გადანაწილებაც ხდებოდა. ამა თუ იმ მოხელეს ჩამოსცილდებოდა ან ემატებოდა ესა თუ ის განსაგებელი. ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში ამგვარი მეტამორფოზები ყოველთვის ნათლად როდია წარმოჩენილი. ამიტომაცაა, რომ მოგვიანო წყაროები, მაგალითად ვახუშტი, ერთსა და იმავე ფუნქციებს მიაწერს სხვადასხვა მოხელეებს. მიუხედავად ამისა, გარკვეული პოზიტიური მასალის ამოკრეზა ასეთ ვითარებაშიც შესაძლებელია.

"ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, განმგეთუხუცესს ექვემდებარებოდა საგანმგეოს მუქიფი და მეჯამეთუხუცესი.

საგანმგეოს მუქიფი, როგორც ჩანს, ასრულებდა ისეთსავე ფუნქციებს საგანმგეოში, როგორც მისი კოლეგა საჭურჭლის მუქიფი საჭურჭლეში. მისი განსაგებელი უნდა ყოფილიყო ნატურალური სახით შემოსული ძღვენი, სასახლის სურსათ-სანოვაგე, გვიანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ-"ქარხანა". ვფიქრობთ, აქვე შედიოდა მუშრიბის მიერ ქალაქში მოკრებილი სამარხო, მასტაკი, თუთუბო და სხვა. საგანმგეოს მუქიფზეა საუბარი "კარის გარიგების" ნაკლულ ადგილას: "...ცოცხალი მუქიფს ჴელთ მიაბარონ; და რა თავი მოკვეთონ საკლავსა...".

საგანმგეოს ეკუთვნოდა მეჯამეთუხუცესი, რომლის სახელო იყო: "ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუზარაფი, წვეღა, მეკირე, ჴმელი თევზი... ყოველი მეკამბეჩე დიასახლისი, კარავი სამზარეულოსა და უცერცხლო ჭურჭელი, სპილენძისა და შეშისა". როგორც ვხედავთ, საგანმგეოს მოხელეებს საკვები პროდუქტები, სურსათ-სანოვაგე ებარათ.

"კარის გარიგების" მიხედვით, მეჯამეთუხუცესის სახელო ყოფილა "კარავი სამზარეულოსა". სასახლის სამზარეულო, უეჭველია, იგივე მოხელეს ექვემდებარებოდა, რომელსაც "კარავი სამზარეულოსა", ე.ი. მეჯამეთუხუცესს, მისი მეშვეობით გამგეთუხუცესს და ამ უკანასკნელის სახით მანდატურთუხუცესს. ამაში სხვა მოძრავი უწყებების მაგალითიც გვარწმუნებს. მოძრავ "საწოლს" ("კარავს") იცავდნენ მეფის მესაწოლეთუხუცესი და მესაწოლეები, ე. ი. ისინი, ვინც ემსახურებოდნენ ამ უწყებას სასახლეში. იგივე შეიძლება ითქვას ფარეშთუხუცესზეც. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს "კარვის ეკლესიის" მიმართაც. ცხადია, არც სამზარეულო შეიძლება იყოს ამ მხრივ გამონაკლისი.

მეფის პერსონის დაცვას, ცხადია, მხოლოდ მსახურთუხუცესის სახელო მესაწოლეთუხუცესი როდი ახორციელებდა. დაცული უნდა ყოფილიყო მეფის სამზარეულოს უშიშროებაც და საფიქრებელია, რომ განმგეთუხუცეს-ებოსმოძღვრის ფუნქციას ესეც შეადგენდა. სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია

ცნობა, კის ექვემდებარებოდა ჭაშნაგირი, რომელიც სამეფო პურობა-დარბაზობაზე უშიშროების სამსახურს წარმოადგენდა, მაგრამ სავარაუდოა, რომ იგი მანდატურთუხუცესისა და განმგეთუხუცეს-ეზოსმოძღვრის სახელო იყო. სამეფო პურობა-დარბაზობის ცერემონიალი მიჰყავდა მანდატურთუხუცესს და მის სახელო ამირეჯიბს, ხოლო საგანმგეოს უწყება უზრუნველყოფდა სუფრას. ზუნებრივია, ამავე უწყებისა უნდა ყოფილიყო ჭაშნაგირიც.

მანდატურთუხუცესის სახელო და სასახლის უწყება "საგანმგეო", რომელსაც ეზარა მთელი სამეურნეო საქმიანობა საკუთრივ სასახლეში, როგორც ჩანს, განაგებდა ასევე სამეფო დომენსაც. "საგანმგეო მოურავებს", რომლებიც წარმოადგენდნენ ცენტრალური აპარატის მოხელეებს განმგეთუხუცეს-ეზოსმოძღვარის)და საბოლოო ჯამში მანდატურთუხუცესის) მეთაურობით, ემორჩილებოდა დომენის ადგილობრივი მმართველობა. ასევე სამუშაოების წარმოება სამეფო ზერებში და სხვ.

თუ "საწოლიდან" ხდებოდა სახელმწიფოს პოლიტიკური მართვა, "საგანმგეო" მართავდა დომენს. საბოლოო ჯამში, მანდატურთუხუცესის ხელში იყრიდა თავს ასევე სასახლის, როგორც დაწესებულების, მართვა და დისციპლინარული რეჟიმი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს სწორი მკვლევართა დასკვნა, თითქოს მსახურთუხუცესს ეზარა მეფის კერძო მეურნეობა, იგი იყო მეფის სახასო მამულების გამგებელი და "სასახლის მინისტრი". ასეთს მანდატურთუხუცესი წარმოადგენდა, რომელიც მეფის სახასო მამულებს, სასახლისა და დომენის მეურნეობას მართავდა ეზოსმოძღვარ-გამგეთუხუცესის და მისდამი დაქვემდებარებული "საგანმგეოს" მეშვეობით.

ამდენად, საგანმგეო წარმოადგენდა სასახლისა და დომენის მართვის უწყებას, სასახლის სამეურნეო დაწესებულებათა კომპლექსს, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცესის სახელო განმგეთუხუცესი-ეზოსმოძღვარი ედგა.

განმგეთუხუცეს-ეზოსმოძღვარისა და საგანმგეოს საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ აუცილებელია განვიხილოთ "ჩუხჩერახის" სახელო.

"ჩუხჩერახის" საკითხს შეეხო ი. ჯავახიშვილი, რომელმაც ეს სახელო საპატიოდ მიიჩნია, მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო, მას არსებითად არ შეხებია.

ტერმინები "ჩუხჩერახი", "ეზოთუხუცესი ჩუხჩერახი" და "ეზოს ჩუხჩერახი" დადასტურებულია XII-XIII სს. ნარატიული და დოკუმენტური მასალით.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ჩუხჩერახი იყო ის მოხელე, რომელსაც როსტომის დროს სუფრაჩი ეწოდა. ჩუხჩერახის ფუნქციების შესახებ იგი ასეთ ცნობას გვაწვდის: "ჩუხჩერახი, ამის ჴელისა იყო: მზარეულთუხუცესნი, მეტაბღენი, მზარეულნი, მეპურენი, მერწყულნი, ეგოსაანნი, მემწყობრენი, ბუკტაბღაკთა და სხუათა მცემელნი"

ჩუხჩარეხი ანუ "ეზოთუხუცესი ჩუხჩარეხი" ("ეზოს ჩუხჩარეხი") ჩვენ მიგვჩნია იგივე მოხელედ, რაც ეზოსმოძღვარი-განმგეთუხუცესია (ცხადია, ჩვენთვის საინტერესო, ერთიანობის ხასიათისათვის).

ტერმინი "ეზოთუხუცესი" სემანტიკურად სავსებით ფარავს "ეზოსმოძღვარს" (შდრ. მწიგნობართმოძღვარი-მწიგნობართუხუცესი), ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, იგივეა რაც განმგეთუხუცესი. თუ ამ უკანასკნელი ტერმინის რეკონსტრუქციას მოვახდენთ, უნდა მივიდეთ დასკვნამდე, რომ განმგეთუხუცესი კარის (ეზოს, სასახლის) განმგეების უხუცესია, ხოლო იგივეა ეზოსმოძღვარი-ეზოთუხუცესი.

სულხან-საბას და ვახუშტის ცნობებით, რომელებიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, ეზოსმოძღვარი "საგანგიოთა განმგებელია". სულხან-საბას ჩამოთვლილი აქვს კიდეც, რა "საგანგიოებია" ეს: "სახახაზო, სამზარეულო და მისთანანი". ვახუშტის მიხედვით ჩუხჩარეხს ექვემდებარება მზარეულები, მეპურენი და სხვ.

ეზოსმოძღვარ-ეზოთუხუცეს-განმგეთუხუცესის ფუნქციები ერთიანობის ხანის შემდეგ, ჩანს, დაიყო. ამიტომაცაა, რომ ეზოსმოძღვარის ქეციდან ქარხნის ნაზირის სახელო წარმოიშვა, ხოლო სუფრის მომსახურება ჩუხჩერახ-სუფრაჩს შერჩა. მიუხედავად ამისა, მათი ფუნქციები შემდეგაც ახლო იდგა ერთმანეთთან. ამგვარი ორგანიზაციული მეტამორფოზები, როგორც აღნიშნული გვქონდა, ხშირი იყო.

ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის კი ეს სახელო (ეზოთუხუცესი-ჩუხჩარეხი) ერთიანი ჩანს. ეს თანამდებობის პირი განაგებდა მეფის "საგანმგეოს" (საგანგიოს) და ამავე დროს, როგორც წყაროებიდან ჩანს, ასრულებდა მეფის პირადი მეაბჯრეთუხუცესის მოვალეობასაც.

ვახუშტის ცნობიდან ვიგებთ ასევე ჩუხჩარეხის უაღრესად საპატიო და მნიშვნელოვანი პრივილეგიის და ფუნქციის შესახებ: ის ყოფილა "ზუკ-ტაბლაკთა და სხუათა მცემელთა" ხელმძღვანელიც.

ტაბლაკი იგივე ნაღარაა, ანუ ნობა, ნობათი. ნობათით მსვლელობა მეფის პრივილეგიას წარმოადგენდა. სამეფო კორტეჟს წინ მიუძღოდა "ზარი მეფეთა" "ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობით: "დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ... მივა მეფე და მენობათენი აღარ სცემენ ნობათსა": ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის ხელმძღვანელობა ხაზს უსვამს ეზოთუხუცესს-ჩუხჩარეხის როლს.

ს ა ა ჯ ო კ ა რ ი

"ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით სასახლის დაწესებულებად ჩანს ე. წ. "სააჯო კარი". ძეგლში აღნიშნულია: "ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს. და ყოველი ...საწოლის

მწიგნობარი გვერდს უზის; და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისი პირით მოიკითხებს, რაც ვის რა ჭირს".

ამ ცნობიდან უეჭველად დგინდება, რომ "საეკლესიო კარის" ადგილმდებარეობა სასახლეში იყო, სადაც ცალკე უწყებად იყო გამოყოფილი ხსენებული "საეკლესიო", რომლის "მიგან" ჭყონდიდელი იჯდა ორშაბათობით.

ი. ჯავახიშვილმა საგანგებო დაწესებულების, "საეკლესიო კარის" ჩამოყალიბება დავით IV აღმაშენებლის სახელს დაუკავშირა. საამისოდ მან დაიმოწმა დავითის ისტორიკოსის შემდეგი ადგილი: "სულთა შინა თჳსთა სამეფოსათა სიმრავლითა და სიმაღლითა სულისათა ვერ აღვიღად მიემთხუეოდიან მოჩივარნი და გაჭირებულნი და მიმძღავრებულნი, განაღა ვიეღლამე რომელთა საჭიროდ უკმდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი, ნუუკუე და ვინმე აღვიდის ბორცუსა ზედა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე... ამისათჳს დაედგინნეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხვარნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა".

ამ ცნობიდან შეუძლებელია დადგინდეს "საეკლესიო კარის" დაარსება. "კაცნი მართლად მცნობელნი", რომლებიც დაუდგენია დავითს, არ შეიძლება მივიჩნიოთ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად და მის თანაშემწეებად. ციტირებული ცნობიდან გამომდინარეობს, რომ დავით IV აღმაშენებელს ადგილობრივ დაუდგენია "კაცნი მართლად მცნობელნი", რომ "შეჭირვებულებს" მიეღოთ "კურნება" ე.ი. მას ადგილობრივი სასამართლო სისტემის გარკვეული რეორგანიზაცია მოუხდენია. ამ ცნობაში ადგილობრივი "საშჯელო სამრებლოები" უნდა იგულისხმებოდეს. ჩვენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად, რომ დავითის ისტორიკოსს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა და მისი უახლოესი თანაშემწეებისათვის, უბრალოდ "კაცნი მართლად მცნობელნი" ეწოდებინა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აღნიშნული ცნობა თავისთავად უაღრესად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ადგილობრივი სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ ეს ცნობა არაფერს გვეუბნება "საეკლესიო კარის" შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ დავითის ისტორიკოსის აღნიშნული ცნობა ადგილობრივ სასამართლო სისტემას უნდა შეეხებოდეს და იგი არ გამოდგება "საეკლესიო კარის" შესასწავლად, ამ უკანასკნელის ორგანიზაციაში დავით აღმაშენებელს თავისი წვლილი აქვს შეტანილი. მის მიერ "საეკლესიო კარის" ორგანიზაციაში შეტანილი სიახლე უნდა იყოს იქ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დასმა და არა საერთოდ ამ უწყების ჩამოყალიბება.

"საეკლესიო კარი", როგორც სასახლის უწყება, უეჭველია არსებობდა დავით IV აღმაშენებლის მეფობამდე გაცილებით ადრე. სასახლე, როგორც სახელმწიფოებრივი დაწესებულება, მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანო იყო და სწორედ აქედან ახორციელებდა მეფე ამ თავის უმნიშვნელოვანეს პრეროგატივას. მკვლევართა აზრით, "საეკლესიო კარში" მწიგნობართუხუცეს-

ჭყონდიდელის დასმამდე. მეფე თვითონ არჩევდა სასახლის სასამართლოში შემოსულ ყველა საქმეს. ეს შეუძლებელია ასე ყოფილიყოს. უეჭველია, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის "სააჯო კარში" დასმამდეც მეფე თვითონ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საქმეებს არჩევდა. შეუძლებელია, თუნდაც დავით აღმაშენებლამდე სამეფო კარი ისე პრიმიტიულად ყოფილიყო ორგანიზებული, რომ ყველა საქმეები მეფეს ერჩია. საამისო მაგალითად არ გამოდგება ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელი ოპიზართა და მიჯნაძორელთა დავის შესახებ, რადგან ეს სადავო საქმე ორ სახელგანთქმულ მონასტერს შეეხებოდა და ამიტომაც მოიწვია მის გასარჩევად მეფემ საგანგებო სასამართლო.

დავითIV აღმაშენებელმა, ჩვენი აზრით, ჩაატარა ორი ღონისძიება. ერთი იყო ადგილობრივი სასამართლოს რეორგანიზაცია, რაზეც საუბრობს დავითის ისტორიკოსი "მართლად მცნობელნი კაცნი"-სთან დაკავშირებით, და მეორე-სამეფო სახლის "სააჯო კარზე" მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის და მისი ხელქვეითების დასმა, რომლებიც მეფისაგან დელეგირებული უფლებით კვირაში ერთ დღეს (ორშაბათს) განიკითხავდნენ "შეჭირვებულებს"

"სააჯო კარი" მიჩნეულია უმაღლეს სააპელაციო სასამართლოდ. სახელმწიფოს უზენაეს სასამართლო ორგანოდ. უეჭველია, რომ ეს ასეც იყო. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამგვარ დასკვნაში "სააჯო კარის" მნიშვნელობა და ფუნქციები დავიწროებული უნდა იყოს.

ტერმინი "აჯა". როგორც ი. ჯავახიშვილმა გაარკვია, უფროსისადმი წარდგენილ ვედრებასა და თხოვნას ნიშნავდა და ჩვეულებრივ იგი ეწოდებოდა მეფის სახელზე დაწერილ ვედრებას, საჩივრისა და მოხსენების წიგნებს. ბემოთ, სათანადო ადგილას, აღნიშნული გვქონდა, რომ "აჯა" მეფისადმი მიმართვის ფორმაც იყო. ტერმინ "აჯას" დადგენილი მნიშვნელობები (ვედრება, საჩივარი, მოხსენება), ნათელს ხდიან, რომ არ შეიძლება "სააჯო კარი" მხოლოდ აჯა-საჩივრების გასარჩევ უწყებად მივიჩნიოთ.

საფიქრებელია, რომ "სააჯო კარის", ანუ "საველრებელი კარის" მეშვეობით შედიოდა სასახლის ადმინისტრაციაში ყველა სახის აჯა-იქნებოდა ეს "შეჭირვებულთა" საჩივარი თუ რაიმე სხვა სახის აჯა-მოხსენება.

"სააჯო კარი", როგორც უმაღლესი სასამართლო და "შეჭირვებულთა" აჯა-საჩივრის განსაკითხავი ორგანო, ჩანს მოქმედებდა ორშაბათობით. ეს დღე იყო გამოყოფილი საჩივარი-აჯების განსახილველად. დანარჩენ დღეებში კი საფიქრებელია, რომ "სააჯო" უწყებაში სხვაგვარი "აჯების" განხილვა ხდებოდა.

ასეთი უნდა ყოფილიყო "აჯა-მოხსენებები" მამულისა თუ თანამდებობის ბოძების შესახებ.

გვიანდელი მასალიდან კარგად ჩანს "სააჯო კარის" ამგვარი მნიშვნელობა. "მოგვიდეგით კარსა და მამულის თხოვნასა გვიაჯენით და ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოუსენება თქუენი"; "ოდეს მოგუიდექით კარსა და

სათარხნოსა წყაღობისა წიგნსა გუეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი"

აჯა-მოხსენებები მამუღის თუ სხვა სახის ბოძების თაობაზე წერილობითი უნდა ყოფილიყო, რადგან მისი მირთმევის შემდეგ მეფე მოკითხავდა საქმის ვითარების და ისე გასცემდა სიგელს. ამიტომაცაა ჩვეულებრივი ფორმულა: "მოკითხული ექნით"

გვიანშუასაუკუნეების მასალებიდან ჩანს, რომ "აჯა-მოხსენების" მისართმევად "კარს მიდგომა" იყო საჭირო. საამისოდ კი არსებობდა სასახლის სპეციალური უწყება "სააჯო კარი" "აჯა", ანუ "ვედრება", თხოვნა, "სააჯო" უწყებიდან მიერთმეოდა მეფეს და მის უმაღლეს მოხელეებს.

აჯა-მოხსენება დადასტურებულია ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც. შიომღვიმისადმი სასეფო გლეხის ბოძების საკითხი ანტონ ჭყონდიდელმა თამარს "ეაჯა" და "მოაუსენა" მანაც ისმინა "ჰაჯაი და მოუსენებაი". ასევე "ჰკადრა და მოაუსენა" თამარს ჭიაბერმა შიომღვიმისადმი ვაჭრების ბოძების საკითხი. როგორც "აჯა", ისე "კადრება" მეფისადმი მიმართვის ფორმები იყო, ხოლო "მოუსენება" "აჯის" დასაბუთებას წარმოადგენდა. დაშა გიორგიმაც ისმინა "ჰაჯაი და მოუსენებაი... სუღა ქართლის ერისთავისაი"

სამწუხაროდ, ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან დაცული გვაქვს ცნობები მხოლოდ ისეთი პირების "აჯა-მოუსენებებზე" (ანტონ ჭყონდიდელი, ჭიაბერი და სხვ.), რომელთაც უშუალოდ მეფისათვის შეეძლოთ "აჯა" მიერთმიათ. ცხადია, ასეთი პრივილეგია ძალზე ვიწრო წრეს ჰქონდა, სხვადასხვა სახის "აჯა-მოხსენებები" კი უეჭველია ძალზე ბევრი იყო და მასთან სულ სხვადასხვა რანგის "მოაჯეებისაგან" ამგვარი "აჯები" საფიქრებელია, იხილებოდა კარის სხვადასხვა რანგის მოხელეების მიერ და მათი უმეტესი ნაწილი აღბათ, ვერ აღწევდა მეფემდე და კარის უმაღლეს მოხელეებამდე.

"აჯა", რომელიც საჩივარს, თხოვნას თუ მოხსენებას აღნიშნავდა, ამასთან მეფისადმი მიმართვის ფორმაც იყო. ამიტომ საფიქრებელია, რომ სამეფო ხელისუფლების ადგილობრივი აპარატის შეტყობინებები და მოხსენებები ასევე "აჯა-მოუსენებების" სახით შემოდიოდა კარზე. ადგილობრივი ხელისუფლება, ბუნებრივია, მუდმივ კავშირში უნდა ყოფილიყო ცენტრთან, სასახლესთან. მას ცენტრალური მართვის ორგანოსათვის პერიოდულად უნდა "მოეუსენებინა" თავისი განსაგებლის მდგომარეობა და "სასაურვო". "ვეფხისტყაოსნიდანაც" ჩანს, რომ ავთანდილის, როგორც ადგილობრივი ხელისუფლის (ისე ამავე დროს ცენტრალური მმართველობის მოხელეც იყო) მოვალეობას ცენტრში "წიგნის" გაგზავნა, თავისი განსაგებლის მდგომარეობის პერიოდული შეტყობინება შეადგენდა. სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ თვით მეფესთან პირად აუდენციაზე მყოფ პირს მეფე უშუალოდ არ მიმართავდა, არამედ ამირეჯიბის, საწოლის მწიგნობრის ან

ეჯიბის მეშვეობით. ცხადია, ასეთი ეტიკეტის დროს აღგილობრივი მმართვ ელობიდან გამოგზავნიღ "წიგნებს" "აჯა-მოხსენების". "კაღრების" ფორმა უნდა ჰქონოდათ. მის შინაარსს ჯერ შეღარებით დაბაღი რანგის მოხელეები გაეცნობოდნენ. შემდეგ ისინი თავიანთ უფროსებს მოახსენებდნენ და ამგვარი გზით აღწევდა ის მეფემდე. ეს რომ ასე უნდა ყოფილიყო, კარგად ჩანს "ხელმწიფის კარის გარიგების" ჩვენთვის საინტერესო აღგილიდან. "სააჯო კარში" მჯღომი ჭყონდიღელი პირადად როდი ნახულობდა "შეჭირვებულ" მთხოვნელებს. იგი საწოლის მწიგნობართან ერთად იჯდა და ზარაღხანის მწიგნობარს აგზავნიდა "აჯის" მოსასმენად. "მოაჯეები" ზარაღხანის მწიგნობარსმოახსენებდნენ თავიანთ სათხოვარს, ის კი თავის მხრივ ჭყონდიღელს მოახსენებდა. ცხადია, რომ "სააჯო კარში" მჯღომი ჭყონდიღელი უშუალოდ მისაწვდომი არ ყოფილა და "მოაჯეები" პირადად მას ვერ ახსენებდნენ თავიანთ აჯას, არამედ ზარაღხანის მწიგნობრის მეშვეობით. ბუნებრივია, თვით მეფე უფრო ძნელი მისაწვდომი იყო "მოაჯეებისათვის".

სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ყოველგვარი სახის აჯა-მოხსენებები ამგვარი სუბორდინაციით აღწევდა მეფემდე. სხვაგვარად ძნელი უნდა ყოფილიყო "ღვთისსწორ" მეფემდე მიღწევა, მითუმეტეს, რომ "ქრისტესსწორი" ჭყონდიღელიც უშუალოდ როდი მოიხსენიებდა "აჯას"

ამდენად, სააჯო კარი ჩვენ გვესახება არა მხოლოდ უმაღლეს სააპელაციო სასამართლოდ, არამედ სასახლის ისეთ უწყებადაც, საიდანაც ცენტრალურ აღმინისტრაციაში შედიოდა ყოველგვარი "აჯა". საჩივარი იქნებოდა ეს, თხოვნა თუ "წიგნი"-მოხსენება.

ორშაბათობით "სააჯო კარი" ჭყონდიღელ-მწიგნობართუხუცესის განკარგულებაში იყო, მაგრამ ვინ განაგებდა საერთოდ ამ უწყებას, ვინ ემსახურებოდა მას?!

ასეთს ამირეჯიბი და ეჯიბები შეადგენდნენ.

ი. ჯავახიშვილს დაღგენილი აქვს, რომ ამირეჯიბი მეფის მომხსენებელი იყო, "მას დიღმნიშვნელოვანი საქმეები უნდა ბარებოდა" და ასეთივე ფუნქციებს ასრულებდნენ ეჯიბებიც. გარდა იმისა, რომ ამირეჯიბი და ეჯიბები აუდიენციებზე ცერემონიალმაისტერის ფუნქციებს ასრულებდნენ, ამ სახელოსადმი კუთვნილი პირები მეფესთან "ურვის" უპირატესი უფლებით სარგებლობდნენ. "ამირეჯიბს ყველგან გზა აქვს საურავისა, სადა გინდ იყოს მეფე... ყოველგან მიეა და იურვის".

ნიშანდობლივია, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიღელსაც "მართებდა" ზედამდგომელი ეჯიბი.

ვფიქრობთ, ამირეჯიბი და ეჯიბები, რომლებიც მეფის "მომხსენებლები" იყვნენ, სხვა საქმეთა შორის, სწორედ "აჯა-მოხსენებებს". სხვადასხვა სახის "სააჯოს" მოახსენებდნენ სახელმწიფოს მეთაურს. ასეთი "სააჯო" კი "სააჯო კარში" იყრიდა თავს. ამირეჯიბის სახელოს, ეჯიბების ფუნქცია, როგორც მეფის მომხსენებლებისა, "ვეფხისტყაოსნიდანაც" დადასტურებულია. "სააჯო კარში" შემომავალი ინფორმაცია შეიძლება განსაკუთრებული

მნიშვნელობისაც ყოფილიყო და ვფიქრობთ, ამიტომაც .ჰქონდა ამირეჯიბს განსაკუთრებული უფლება "ყველაგან... საურავისა" მეფესთან.

ჩვენს მოსაზრებას უნდა ამაგრებდეს ისიც, რომ არც ერთი უწყება, დამორჩილებული ამირეჯიბისადმი, თითქოს არ ჩანდა. შეუძლებელია ისეთ დიდ მოხელეს, როგორიც ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ამირეჯიბი იყო, არც ერთი უწყება უშუალო განმგებლობაში არა ჰქონოდა. მეფის მთავარი მომხსენებლობა სათანადო "მოსახსენებლის", ინფორმაციის მიღებასაც გულისხმობს. ჩანს, ამირეჯიბი "საჯო კარიდან" იღებდა ამ "მოსახსენებელს" და სწორედ ეს იყო მისთვის ჩაბარებული "დიდმნიშვნელოვანი საქმე"

საფიქრებელია, რომ საჯო კარში შემოსული "აჯა-მოხსენებები", უწყებების მიხედვით კლასიფიცირებოდა. ის რაც მეფისათვის იყო წარსადგენი, მეფეს მოახსენებდნენ, ხოლო .სხვა სახის "საჯოებს" უმაღლეს მოხელეებს: ჭყონდიდელს (მას თავისი ეჯიბი ჰყავდა), მანდატურთუხუცესს, ამირსპასალარს და სხვ. როგორც ჩანს, იყო ისეთი მნიშვნელობის აჯა - მოხსენებებიც, რომლებიც სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე - "ვეზირობაზე განიხილებოდა.

ამდენად "საჯო კარი" წარმოადგენდა სასახლის იმ უწყებას, სადაც თავს იყრიდა ყველა სახის აჯა-მოხსენება. ამ უწყებას განაგებდა ამირეჯიბი. ორშაბათობით "საჯო კარი" დათმობილი ჰქონდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს, რომელიც "მოაჯეთა" გარკვეული კატეგორიის, "ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა" საქმეებს განიხილავდა. "მოაჯეებს" შორის დიდი განსხვავება იყო სოციალურადაც და "აჯის" შინაარსის მიხედვითაც. თუ ზოგის "აჯა" მიმძლავრებისაგან დაცვას ითხოვდა, სხვანი მამულის ბოძებას, პრივილეგიებს "იაჯნენ". ცხადია, რომ პირადად ჭყონდიდელი განიხილავდა ქვრივ-ობოლთა, მიმძლავრებულთა "აჯებს", ე. ი. იმ კატეგორიასს, რომლებიც სამართალს საჭიროებდნენ და რომელიც ჭყონდიდელის იერარქიულ ჰატივსაც შეეფერებოდა. ჭყონდიდელი, ჩვენი აზრით, საჯო კარში ჯდებოდა იმავე უფლებით, რა უფლებითაც მას ხელი მიუწვდებოდა "საჭურჭლეზე" და "ყველა საურავზე"

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ "საჯო კარის", როგორც სასახლის უწყების მნიშვნელობა ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე ეს აქრე წარმოგვედგინა. "საჯო კარი" უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ უმაღლესი საკანცელარიო სასამართლო, არამედ ყოველგვარი "აჯის", წერილობითი თხოვნა-მოხსენებებისა და ადმინისტრაციული მიმოწერის თავშესაყარი უწყება. "საჯო კარის" ასეთი ფუნქცია ხსნის ამირეჯიბის, როგორც მხედრის მაღალ მდგომარეობასაც, მის მეფის "მომხსენებლობასაც" და იმასაც, თუ რის საფუძველზე იყო სწორედ ეს მხედარ და მისი შტატი "აჯა-მოხსენებაში" მეფისათვის "მკაცრებელი". ეს უწყება, რომელიც ამირეჯიბისადმი დაქვემდებარებული, ცხადია მანდატურთუხუცესის სახელოში შედიოდა.

ცალკე "სააჯო" უწყების არსებობა სამეფო კარზე ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში, ხაშს უსვამს ცენტრალური მმართველობის მაღალ ორგანიზაციას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ "სააჯო კარი" უმაღლესი სასამართლო ინსტანციის როლსაც ასრულებდა, ცხადად წარმოგვიდგება "სააჯოს" აღგილი სასახლის უწყებრივ სტრუქტურაში.

სასახლის, როგორც დაწესებულების უწყებრივი სტრუქტურის შესწავლამ, ვფიქრობთ თვალნათლივ წარმოგვიჩინა ის რთული, დანაწევრებული და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული აპარატი, რომელიც მართავდა სახელმწიფოს, დომენსა და თვით სასახლეს.

სასახლის უმთავრეს უწყებებად წარმოგვიდგება საწოღი-საღარო, საჯინიბო-ზარადხანა, საგანმგეო, საჭურჭლე, სააჯო კარი, საიდანაც ხდებოდა როგორც ზოგადსახელმწიფოებრივი, ისე დომენისა და სასახლის პოლიტიკური და სამეურნეო მართვა. ცალკეული უწყებები, თავიანთი ხელმძღვანელობითა და შტატით შედიოდნენ სამეფო კარის უმაღლეს მოხელეთა კომპეტენციაში, რომლებიც მეთვალყურეობდნენ, განაგებდნენ ცალკეულ დარგებს. ზოგიერთი უწყება (მაგ., საღარო-საწოღი) "კოლექტიური" მმართველობის ქვეშ იყო.

სასახლის უწყებრივი სტრუქტურის განხილვის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია უკვე ვისაუბროთ მეფის კარის უმაღლეს მოხელეებზე, რომლებიც სახელმწიფო საბჭოს, "ვეზირობის" მონაწილენი იყვნენ.

3. უმაღლესი მოხელეები

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის ორგანოს, სასახლის (დარბაზის, პალატის) მოხელეთა უმაღლეს ეშელონს შეადგენდნენ მმართველობის ცალკეული დარგებისა და უწყებების ხელმძღვანელები, "კარის უხუცესები". მათი უშუალო თანაშემწეობითა და მეშვეობით მართავდა სახელმწიფოს მთელი აღმინისტრაციული სისტემის სათავეში მდგომი მონარქი.

სასახლის "უხუცესთა" ინსტიტუტი სამართლიანადაა დაკავშირებული ძველისძველ ქართულ "უხუცესთა" ინსტიტუტთან და აქედანვე წარმოშობილადაა მიჩნეული ე.წ. "ვაზირთა" თანამდებობაც. თვით ტერმინ "ვაზირის" და ე.წ. "სავაზიროს" წარმოშობის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული.

ი. ჯავახიშვილის აზრით, ვაზირის თანამდებობა საუკუნოა გიორგი III-ის დროიდან. ნ. ბერძენიშვილისა და შ. მესხიას თვალსაზრისით "ვაზირის" ინსტიტუტის დამკვიდრების ხანა უნდა იყოს დავით IV

აღმაშენებლის მეფობა და პირველ "ვაზირად" უნდა განვიხილოთ ცნობილი გიორგი მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი.

ი. ჯავახიშვილის კონცეფციის საფუძველს შეადგენდა თვით ტერმინ "ვაზირის" დამოწმება წყაროებში. ნ. ბერძენიშვილის და შ. შესხიას თვალსაზრისი კი ემყარება მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის "პეღის", მისი მნიშვნელობის გათვალისწინებას და დავით IV აღმაშენებლის როლს ამ დიდმნიშვნელოვანი სახელოს შექმნა-ჩამოყალიბებაში.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით ორივე შეხედულება სწორია. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, თავისი პეღის შინაარსით, მართლაც "ვაზირია" და ეს უდავოდ უკავშირდება დავით IVაღმაშენებლის ხანას. მიუხედავად ამისა, ერთია შინაარსი, მეორეა მისი აღმნიშვნელი ტერმინი. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფის მრჩევლებიდან უახლოესი თანამშრომელი და უპირველესი მოხელე ტერმინ "ვაზირის" გარეშეც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ ტერმინს როდი მიუნიჭებია მისთვის უმაღლესი სამოხელეო პრეროგატივები. ამ ნასესხები ტერმინით უბრალოდ გამოიხატა ის შინაარსი, რაც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, მის სახელოს დავით IV აღმაშენებლის დროიდან ჰქონდა. არც გიორგი ჭყონდიდელი და არც სვიმონ ჭყონდიდელი, დავითის თანამედროვენი, არ იწოდებიან "ვაზირებად" წყაროებში. მოღწეულ წყაროებს საკმაოდ შეეძლოთ დაეცვათ ეს ტერმინი, იგი რომ არსებულიყო. ვიმეორებთ, ეს არავითარ შემთხვევაში აზრს არ უცვლის თვით მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოს შინაარს, მის განსაკუთრებულ მდგომარეობას დავით IV აღმაშენებლის დროიდან.

სხვა უმაღლეს ხელისუფალთა "ვაზირად" წოდებას, ე. წ. "სავაზიროს" შინაარსისა და ჩამოყალიბების საკითხს სათანადო ადგილას შევეხებით.

მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი

მწიგნობართუხუცესის სახელო, როგორც სათანადო მასალის საფუძველზეა გარკვეული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, პირველად XI საუკუნის წყაროებიდან გვაქვს დადასტურებული. ღრტილას კრებაზე დასახელებულია "მწიგნობართუხუცესი მეფისა" ეფთვმე. ამავე საუკუნის მასალაში ვხედავთ დიპარიტ დიპარიტის ძის მწიგნობართუხუცესს. მწიგნობართუხუცესი იხსენიება 1085 წლის ერთ მინაწერშიც.

ი. ჯავახიშვილმა და ნ. ბერძენიშვილმა საგანგებოდ შეისწავლეს ეს საკითხი და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დავით IV აღმაშენებლის მეფობის გარკვეულ პერიოდამდე მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდელობა ცალ-ცალკე არსებობდა. ნ. ბერძენიშვილის სათანადოდ არგუმენტირებული

დასკვნით, მწიგნობართუხუცესები, ამ სახელოს ჭყონდიდლობასთან შეერთებამდეც სასულიერო პირები იყვნენ.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია შესწავლილი და შეფასებულია მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოს შექმნის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ცენტრალიზაციის, მისი გაძლიერების და წინსვლის საქმეში. სათანადოდაა წარმოჩენილი დრო და პირობები ამ სახელოს ჩამოყალიბებისა.

მწიგნობართუხუცესის სახელო ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს სახელო შეიძლებოდა არსებულიყო ბაგრატ III-ის კარზე. ვფიქრობთ, მწიგნობართუხუცესის სახელო ბევრად უფრო ადრინდელი უნდა იყოს თვით ბაგრატ III-ის ხანაზეც. სახელმწიფოს არსებობა სამეფო კანცელარიის არსებობასაც გულისხმობს. მცხეთის IVსაუკუნის წარწერაში "მხატვართუხუცესის" სახელოც კია დასახელებული. A priori შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოში, სადაც "მხატვართუხუცესი" არსებობდა და, სადაც მართვა ხორციელდებოდა, შეუძლებელია მწიგნობრები და მათი უხუცესიც არ ყოფილიყვნენ. ამაზე მიგვითითებს ქართული ტერმინი "მწიგნობართმოძღვარიც (IV მეფეთა, 12, 10), რომელიც სემანტიკურად საესებით ფარავს "მწიგნობართუხუცესს". სხვა საკითხია, იერარქიულად რა ადგილი ეკავა მწიგნობართუხუცეს-მწიგნობართმოძღვარს, რა რანგის მოხელე იყო იგი.

დავით IV აღმაშენებლის დროს მოხდა მეფის "ხელშინაური" მოხელის, მწიგნობართუხუცესის აღზევება, მის მაღალ იერარქიულ პატივში აყვანა, რასაც ამ ხელისუფლის ავტორიტეტი და სიძლიერე უნდა უბრუნველეყო.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მსგავს სახელოს არ იცნობდა მეზობელი ქრისტიანული ბიზანტია. სამაგიეროდ, მასთან ახლომდგომი ინსტიტუტი დამოწმებული გვაქვს დასავლეთ ევროპაში.

საფრანგეთში დამოწმებულია თანამდებობა "უმაღლესი კანცლერისა", რომელიც ჩვეულებრივ რეიმსის არქიეპისკოპოსი იყო. ინგლისის მეფის სასახლის მთავარი მოხელეც კანცლერი იყო. ინგლისის კანცლერი ჩვეულებრივ კენტერბერის არქიეპისკოპოსს წარმოადგენდა. არსებობს ნუსხა საფრანგეთისა და გერმანიის კანცლერებისა, მოყოლებული ფრანკთა იმპერიიდან, საიდანაც ჩანს, რომ ისინი სასულიერო პირები, აბატები, ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები იყვნენ.

როგორც ეხედავთ, საქართველო, თავისი ფეოდალური სტრუქტურით და მმართველობის ტიპითაც, ახლოს დგას შუასაუკუნეობრივ დასავლეთ ევროპასთან.

ი. ჯავახიშვილის აზრით, მწიგნობართუხუცესობისა და ჭყონდიდლობის შეერთება მოხდა 1103-1110 წლებს შორის. გიორგი მწიგნობართუხუცესი რუის-ურბნისის კრებაზე დასახელებულია უბრალოდ "მონაზონად", ხოლო 1110 წელს იგი უკვე ჭყონდიდელადაც ჩანს. აქედან მკვლევარმა დაასკვნა, რომ ამ ორი სახელოს შეერთებაც მითითებულ წლებს

შორის უნდა მომხდარიყო. ეს თარიღი მიღებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ვფიქრობთ, ამ საკითხს გადასინჯვა უნდა სჭირდებოდეს. დღეს დადგენილია, რომ რუის-ურბნისის კრება ჩატარდა არა 1103 წელს, არამედ 1104 წელს. გარდა ამისა, ჩვენ არ გაგვაჩნია მყარი საფუძველი, უარვყოთ გიორგი მწიგნობართუხუცესის ჭყონდიდლობა 1104 წლისათვის, რუის-ურბნისის კრების ჩატარების დროისათვის. ის ფაქტი, რომ გიორგი რუის-ურბნისის კრების "ძეგლისწერაში" სახელდებით ჭყონდიდლად არ იხსენიება, არ გამორიცხავს ამ დროისათვის მის ხსენებულ იერარქიულ პატივში ყოფნას. "მონაზონად" მოხსენიება არ ნიშნავს იმას, რომ ასეთად წოდებული არ შეიძლება მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი იყოს. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში იხსენიება "მონაზონი მწიგნობართუხუცესი". იმავე დოკუმენტში სხვა ადგილას დასახელებულია მწიგნობართუხუცესი "სვიმეონ ზედიელ-აღავერდელი". ცხადია, რომ "უბრალოდ მონაზონი" მაღალი იერარქიული პატივის მქონე ეპისკოპოსისათვის შეიძლებოდა ეწოდებინათ და უწოდებიათ კიდეც. ნიშანდობლივია ამ მხრივ შიომღვიმის XIII საუკუნის ერთი საბუთიც, სადაც "მწიგნობართუხუცესი ვაზირი მონაზონია" დასახელებული. ცხადი უნდა იყოს, რომ ეს "მონაზონი" ჭყონდიდელია და არა უბრალო ბერი. ამიტომაც, რუის-ურბნისის კრების "ძეგლისწერაში" მოხსენიებული გიორგი მონაზონი და მწიგნობართა უხუცესი" ჭყონდიდელი უნდა იყოს. ამას ორი გარემოება გვაფიქრებინებს. რუის-ურბნისის კრებაზე დავით IV აღმაშენებელმა ფაქტობრივად ბრძოლა გაუმართა მისთვის არასასურველ იერარქებს, ბევრი მათგანი გადააყენეს და "უცხო ყვნეს მღვდელობისაგან" ცხადია, ასეთი უაღრესი მნიშვნელობის კრებაზე მეფეს მაღალი სასულიერო იერარქი უნდა ჰყოლოდა "თუალად" და არა "უბრალო მონაზონი", თუნდაც თავისი მწიგნობართუხუცესი. გიორგის ჭყონდიდლობას თვით კრების მიმდინარეობისათვის უნდა დაეჩნია კვალი. მეფეს ყველაზე უფრო რუის-ურბნისის კრებაზე უნდა დასჭირვებოდა გიორგი მწიგნობართუხუცესის მთავარეპისკოპოსობა. ამას უბრალოდ მოვლენათა ლოგიკაც მოითხოვს. ამასთან, უაღრესად ნიშანდობლივია, რომ "ძეგლისწერაში", გიორგი მწიგნობართუხუცესი იწოდება როგორც "მეუფე": "ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმინდისა ამის კრებისა ცნობილისა ,გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა მრავალმცა..." ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ "მეუფედ" შეიძლება მხოლოდ ეპისკოპოსის პატივში აყვანილი მონაზონი იწოდებოდეს.

გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ამ ორი თანამდებობის პირველი გამაერთიანებელი იყო, უაღრესად თვალსაჩინო, არაორდინარული პიროვნება და საჭიროდა მიგვაჩნია შევჩერდეთ მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით: "ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი: თავ-ადგა სიყრმითგან პატრონისა მსახურებებთათჳს: და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახაღსა

და მუნ დაემარხა. რომელი იგლოვა ყოველმან საბუჟომან და თუთ მეფემან"

ამ ცნობამ თავის დროზე თ. ჟორდანიას ყურადღება მიიქცია. მისი აზრით, გიორგი ჭყონდიდელის "მონასტერსა ახაღსა" (გელათს) დამარხვა, გიორგის მეფესთან ნათესაობის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება უაღრესად საყურადღებოა. სამეფო საძვალედ გამიზნულ მონასტერში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის დამარხვა არ შეიძლება არ ჩაითვალოს საამისო მკაფიო და არაორაზროვან მოწმობად. ნ. ბერძენიშვილმა საეჭვოდ მიიჩნია გიორგი ჭყონდიდელის გელათში დამარხვა: "მონასტერსა ახაღსაში" მაინცდამაინც გელათის დანახვა არ ისე გადაჭრით შეიძლებაო", აღნიშნა მან. განსვენებულმა მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ XIII საუკუნეში შიომღვიმეში ვხვდებით გიორგი ჭყონდიდელის მწირველს. ამასთან, მკვლევარმა რატომღაც კატეგორიულად უარყო გიორგი ჭყონდიდელის დიდი გავლენა მისი გვარტომობით და ეს გავლენა მწიგნობართუხუცესის პელის ბუნებას და მის პირად დიდბუნებოვნებას დაუკავშირა. ცხადია, არც მწიგნობართუხუცესის პელის ბუნება და არც გიორგი ჭყონდიდელის პირადი ღირსებები არ შეიძლება გამოდგეს მისი დიდგვაროვნობის და მეფესთან ნათესაობის საწინააღმდეგო საბუთად. გიორგი ჭყონდიდელი მეფის ნათესავიც შეიძლება ყოფილიყო, დიდბუნებოვანიც და მწიგნობართუხუცესის პელის წარმატებით აღმსრულებელიც. არათუ გიორგი ჭყონდიდელი, არამედ ყველა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, რომელიც კი ჩვენთვის ცნობილია სათანადო სისრულის მასალით, უაღრესად წარჩინებული გვარიშვილები იყვნენ, მაგრამ ეს როდი უშლიდათ ხელს მწიგნობართუხუცესის თანამდებობის მიღებაში.

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება იმის შესახებ რომ "ახაღი მონასტერი", სადაც გიორგი ჭყონდიდელი დაკრძალეს, საეჭვოა გელათი ყოფილიყო, არ შეიძლება გავიზიაროთ. "ახაღი მონასტერი" რომ ნამდვილად გელათი იყო, ამას შესანიშნავად მოწმობს დაშა გიორგის დროინდელი მემატიანე. მისი ცნობით "დემეტრე მეფე ბელტის ციხეს მიიცვალა და გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახაღსა მონასტერსა". გელათს, როგორც ჩანს, "ახაღი მონასტრის" სახელი კარგახანს შერჩენია: "(თამარი) დამარხეს ახაღსა მონასტერსა გელათს"

გიორგი ჭყონდიდელის გელათში დაკრძალვის უარსაყოფად არ გამოდგება ცნობა შიომღვიმეში მისი მწირველის არსებობის შესახებ. 1260-1270 წწ. ერთ საბუთში მართლაც იხსენიება "გიორგი ჭყონდიდელის მწირველი ნიკოლოზ", მაგრამ არა გვგონია ეს რაიმეს გვაძლევდეს ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის. იმავე შიომღვიმეში მთელი სამწირველო არსებობდა კვირიკე კახთა მეფისა. შიომღვიმის კრებულმა განსაკუთრებული დამსახურებისათვის სიცოცხლეშივე სამწირველო გაუჩინა ბასილი აღავერდელს. შიომღვიმეში სიცოცხლეშივე მწირველი ჰყავდა გარდაცვალების შემდეგ გელათში დაკრძალულ დაშა გიორგის. არაფერია

მოულოდნელი და გასაოცარი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელისათვის, რომლის უშუალო კომპეტენციაში შიომღვიმე შედიოდა. იქ მწირეული გაეჩინათ. ეს სულაც არ გულისხმობს ასეთი პირის იმავე მონასტერში დაკრძალვას. ამასთან, შიომღვიმე არ ყოფილა "მონასტერი ახალი"

ამდენად, "ახალი მონასტერი", სადაც გიორგი ჭყონდიდელი დაიმარხა, უეჭველია, გელათი უნდა იყოს. ეს კი მართლაც მრავლისმთქმელია გიორგის მაღალი მდგომარეობის შესახებ, რომელიც მხოლოდ მწიგნობართუხუცესობით არ შეიძლება აიხსნას.

გარკვეულ შტრიხებს ჩვენთვის საინტერესო საკითხს მატებს მათე ურჰაელის ერთი ცნობა, სადაც დავით აღმაშენებლის ძმა "თოტორმე" იხსენიება. დადგენილია, რომ დავითის ძმად მოხსენიებული თოტორმე, სხვა არავინაა, თუ არა ცნობილი თევდორე, გიორგი ჭყონდიდელის დისწული, რომელიც დიპარიტის ძეთა ამოწყვეტის შემდეგ თრიალეთ-ჯღეკარს მართავდა. ცხადია, თევდორე მეფის ძმა არ ყოფილა, მაგრამ შეუძლებელია მისი ამგვარი მოხსენიება მხოლოდ მისი ბიძისა და თუნდ თევდორეს დიდი დამსახურებით აიხსნას.

გიორგი ჭყონდიდელის გელათში დამარხვა, მისი დისწულის თევდორეს მეფის ძმად მოხსენიება და თრიალეთ-ჯღეკარის მფლობელობა, ჭყონდიდელის მეორე დისწულის სვიმეონის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელობა და ზედიელ-აღავერდელობა, დამაჯერებლად მიუთითებს ამ ოჯახის განსაკუთრებულ სიახლოვეზე სამეფო გვარეულობასთან.

არაფერია მოულოდნელი იმაშიც, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი პიერი-მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელობა, დავით აღმაშენებელს მიენდო არა მხოლოდ უაღრესი სახელმწიფოებრივი ნიჭით დაჯილდოებული, არამედ ნათესაურადაც მასთან ახლო მდგომი პირისათვის.

საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთა სოციალური ვინაობის საკითხს.

პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გიორგის მაღალი სოციალური სტატუსის შესახებ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ.' არ მიგვაჩნია საჭიროდ ბედმეტად გაეუსვათ ხაზი ასევე მისი დისწულის, სვმეონ ჭყონდიდელისა და ზედიელ-აღავერდელის სოციალურ მდგომარეობასაც.

XII საუკუნის 60-70-იან წლებში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელად ჩანს ქობულისძეთა წარჩინებული გვარის შვილი იოანე, რომელმაც სვმეონის შემდეგ მიიღო ეს სახელო. ამ პირის ქობულისძეთა გვარისადმი კუთვნილება, ვფიქრობთ კომენტარების გარეშეც ნათელს ხდის მის დიდგვაროვნებას, მაღალ სოციალურ წარმოშობას.

გიორგი III-ის მეფობის მიწურულს და შემდეგ თამარის მეფობაში უაღრესად თვალსაჩინო როლს ასრულებდა მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი ანტონი გელონისთავისძე.

ანტონ გელონისთავისძე უაღრესად წარჩინებული სახლის შვილი ჩანს,

ვინაიდან იგი მეფის მიერ "გაბრდიად" და "გუარტომად ჭაბუკად" იწოდებოდა. "ჭაბუკი". როგორც აღნიშნული გვქონდა, რაინდ, მაღალი წრის წარმომადგენელს ნიშნავს და არტონის "გუარტომად" სიჭაბუკე მისი საგვარეულოს წარჩინებულობის აშკარა მიმახიშნებელია.

ზოგიერთი მონაცემით, რასაც თავის დროზე ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია ყურადღება, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ გიონისთავისძეთა გვარი "წირქუაღელ-გიონისთავისძე" იყო. XV საუკუნის რამდენიმე დოკუმენტში იხსენიება მწიგნობარი (მუშრიბი) რატი, რომელიც იწოდება წირქუაღელისძედ და წირქუაღელ გიონისთავისძედ. ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება გაამახვილა პროფესიულ მემკვიდრეობაზეც: ანტონ ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი იყო, ხოლო რატი წირქუაღელისძე-გიონისთავისძე მწიგნობარია.

ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ჩვენი აზრით იყო დასავლეთ საქართველოს, და კერძოდ, რაჭის დიდებულთა სახლიდან.

ნიშანდობლივია, რომ წირქუაღელისძეები იხსენიებიან ნიკორწმინდელის დაწერილში. მათ საფლავები აქვთ ნიკორწმინდაში და ჟამისმწირველს აყენებენ იქ. ამავე რეგიონთან იყვნენ დაკავშირებული ოქონის ჯვარის წარწერაში მოხსენიებული . წირქუაღელებიც. წირქუაღელისძეთა სამეფო მონასტერში (ნიკორწმინდა) დამარხვაც უაღრესად მრავალისმთქმელია.

სრულიად აშკარად აღნიშნული რეგიონისაკენ მიუყავართ თამარის მეორე ისტორიკოსთან დაცულ ცნობას კახაბერიძეების მიერ არტონ ჭყონდიდელის ორი ძმის მოკვლის შესახებ, რასაც ხუთი კახაბერიძის ექსორია გამოუწვევია. ცხადი უნდა იყოს, რომ აქ სამამულო დავის საფუძველზე წარმოშობილ კონფლიქტთან უნდა გვქონდეს საქმე.

თამარის მეორე ისტორიაში დაცული გვარი ანტონ ჭყონდიდელისა გიონისთავისძე, ასევე კავშირში ჩანს რაჭასთან, კერძოდ კი გეოგრაფიულ პუნქტთან გიღასთან. გიღის მაცხოვრის ხატის წარწერაში აღნიშნული ყოფილა: "წმიდაო გიორგი გიონისაო"... ჩვენს ყურადღებას იქცევს ხატის წარწერაში მოხსენიებული გიღის სახელწოდება "გიონი". "გიონის წმინდა გიორგი" აშკარაა, რომ გიღის ძველი სახელწოდება გიონი ყოფილა და გვარსახელი გიონისთავისძე სავსებით გამომდინარეობს მისგან.

აღნიშნულ ფაქტებს ემატება ერთი პატარა, მაგრამ საყურადღებოა დეტალიც. ვახუშტის თხზულების ხელნაწერის ერთ-ერთი ნუსხის ამოაზე "სხვა ხელით" მიწერილი ყოფილა შემდეგი ცნობა: "(თამარმა) ეგზირად და მდივანად უხუცესად დაადგინა ანტონი გელოანი, კაცი ბრძენი და გონიერი". ჩვენთვის უცნობია ვინაა მინაწერის ავტორი, ან რა მასალა ჰქონდა მას ხელთ ანტონ ჭყონდიდელი "გელოანად". ე. ი. გელოვანად მიეჩნია, მაგრამ თვით ამგვარი აზრისა თუ ტრადიციის არსებობა უაღრესად ნიშანდობლივია. მინაწერის ავტორის ცნობის სასარგებლოდ თითქოს გარკვეული გეოგრაფიული არეალიც და გიონისთავისძიდან "გელოანის" მიღების შესაძლებლობაც მიუთითებს.

ვფიქრობთ, მოტანილი მასალა ერთის მხრივ წარმოგვიჩენს ანტონ ჭყონდიდელის სოციალურ ვინაობას, მის წარჩინებულებას, ხოლო მეორე მხრივ საკმაოდ მკაფიოდ მიგვითითებს იმ რეგიონზე, საიდანაც მისი საგვარეულო წარმომავლობდა.

მკვლევართა მიერ ერთხმადაა აღიარებული ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელის "მიმტაცებლის", კათალიკოს მიქელ მირიანისძის დიდგვარიანობა და ამას მის პოლიტიკურ მოღვაწეობასაც უკავშირებენ. ვფიქრობთ, მიქელ მირიანისძის პოლიტიკური გეზის ასახსნელად მისი დიდგვარიანობა არ გამოგვადგება. არც ერთი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი, მეტ-ნაკლებად არ იყო მიქელ მირიანისძეზე "უგვარო".

სამწუხაროდ, კონკრეტული მასალები გვაკლია სხვა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელების სოციალური სტატუსის საილუსტრაციოდ, მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ არსენ მწიგნობართუხუცესი, რომელიც ერთხანს კათალიკოსიც იყო, ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი და ვინმე თევდორე, არ უნდა ყოფილიყვნენ ამ მხრივ განსხვავებული ჩვენ მიერ განხილული მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელებისაგან.

საკმაოდ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელები თავიანთი სოციალური სტატუსით ძალზე მაღალი პირები იყვნენ და არისტოკრატიულ საგვარეულოებს მიეკუთვნებოდნენ. სამეფო ხელისუფლების უერთგულესი სახელის შექმნა-ჩამოყალიბება არ მომხდარა სოციალური წარმოშობის იგნორირების, მმართველობაში რაიმე "ახალი" ფენების მოზიდვის ხარჯზე.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელების ხელისუფლების წარმოჩენის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ ის ტიტულები და ეპითეტები, რომლებითაც ისინი იხსენიებიან.

სამეცნიერო დიტერატურაში აღრევე მიექცა ყურადღება მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ტიტულს "პროტოპერტიმოსი"

პროტოპერტიმოსად (პროტოპერტიმოსად) იწოდება ანტონ გლონისთავისძე, ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი, "წიგნი-სააქიმოჲ"-ს მინაწერში მოხსენიებული ჭყონდიდელი. საღღეისოდ გარკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ პროტოპერტიმოსი საპატიო ტიტული იყო, რომელიც მიეკუთვნებოდა სახელმწიფოს უპირველეს მოხელეს და საქართველოს სინამდვილეში მხოლოდ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს. ცხადია, ეს ხაზს უსვამდა საქართველოს ამ დიდმოხელის განსაკუთრებულ მდგომარეობას ფეოდალური მონარქიის მმართველობის სისტემაში.

სამწუხაროდ, სამეცნიერო დიტერატურაში სათანადო ყურადღება არ მიქცევია მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ერთ წოდებულებას, რომელიც ბევრად უფრო ნათლად წარმოაჩენს ამ სახელის როლსა და მნიშვნელობას, ვიდრე თუნდაც პროტოპერტიმოსის ტიტული. მხედველობაში გვაქვს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის "ქრისტეს სწორად" წოდება.

"ქრისტეს სწორად" იწოდება ანტონ გლონისთავისძე შიომღვიმის

კრებული "დაწერიდში", რომელიც თამარის შიომღვიმისადმი ბოძებულ სიგელს ერთვის. იგივე წყდებას ვხვდებით არსენ ჭყონდიდელის მგელია აბულახტარისძისადმი ბოძებულ დაწერილის ხელრთვაში: "ესე ვითა ქრისტეს სწორსა არსენ ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსსა და მწიგნობართუხუცესსა შეუწყალებია მგელაი... დამამტკიცებელი ვარ მეცა, გიახაკი ქრისტეს მიერ ქართლისა კათაღიკოზი არსენი" თავი რომ დავანებოთ ჩვეულებრივ ფორმულას" გიახაკი", ფაქტია რომ "ქრისტეს მიერ" კათაღიკოსი მწიგნობართუხუცესს "ქრისტეს სწორს" უწოდებს.

ცხადია, მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის "ქრისტეს სწორად" წოდება არ იყო ოფიციალური ტიტული, როგორც ვთქვათ პროტოპერტომისობა, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში, ოფიციალური პირების მიერ ამგვარი რამის დაწერა უაღრესად მრავლისმთქმელი და საგულისხმოა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელების "ქრისტეს სწორად" მოხსენიება შიომღვიმის კრებულისა და, რაც მთავარია, უმაღლესი სასულიერო იერარქის, კათაღიკოსის მიერ, თვალნათლივ გვიჩვენებს როგორ აფასებდნენ და რა დონეზე აყენებდნენ "ვაზირი მონაზონის" სახელს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართულ საზოგადოებაში, კერძოდ XIII საუკუნეშიც, მის პირველ ნახევარში.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის "ქრისტეს სწორობა", უეჭველია მოტანილია მეფის "ღვთისსწორობის" მიბაძვით. "ღვთისსწორ" მეფეს, გარკვეული წრის აზრით, "ქრისტეს სწორი" უმაღლესი მოხელე პყავდა. ამ წოდებულებაში მეფესა და ჭყონდიდელს შორის აუცილებელი დისტანციაც დაცულია და ამ უკანასკნელის მნიშვნელობა, როლი ხაზგასმული.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, როგორც საეკლესიო იერარქის ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი ჩანს ის, რომ მათ ერთდროულად რამდენიმე ეპარქია ემორჩილებოდათ.

როგორც წყაროებიდან ჩანს, ანტონ გლონისთავისძეს, გარდა ჭყონდიდისა, ჰქონია სამთავისი და კისისშეეი. გარდა კათაღიკოსობისა და ჭყონდიდლობისა, მიქელ მირიანისძე იყო სამთავნელი და მაწყვერელი. ასევთვე მდგომარეობა ჩანს ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელის შემთხვევაშიც. არაა გამორიცხული ისიც, რომ XIIIსაუკუნის შიომღვიმის ერთ საბუთში მოხსენიებული ბასილი აღაყერდელი, რომელსაც სამწირველოს უჩენს კრებული, ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი იყოს.

ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში მდებარე საეპისკოპოსოების ერთი პირის ხელში გაერთიანების ფაქტს (ბედია-აღაყერდი, სამთავისი-აწყური-ჭყონდიდი) და იგი საესებით სამართლიანად დაუკავშირა სამეფო ადმინისტრაციის გამაერთიანებელ პოლიტიკას. საამისოდ მოტანილ მაგალითებს ჭყონდიდელ-უჯარმელობაც ემოწმება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ბასილი მწიგნობართუხუცესის შემდეგ ჭყონდიდელი აღარ იხსენიება ვაზირის

შინაარსით. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს წყაროა ნაკლებობით აიხსნება. შ. მესხიას ბასილი უკანასკნელ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად მიაჩნდა. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, სიცოცხლის ბოლოს ბასილი არ ყოფილიყო ჭყონდიდელი, არამედ მხოლოდ მწიგნობართუხუცესუჯარმელი.

დღესდღეობით მიღებული აზრით, ბასილი მწიგნობართუხუცესის სიკვდილით დასჯა 1265 წელს უნდა მომხდარიყო. ამაზე უადრეს, 1259 წლის ბაფხუღში მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყდა დავით ნარინი, რომელიც აჯანყების დამარცხების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც მეფედ დაადგინეს. ცხადია, ცალკე დასავლურქართული სამეფოს შექმნის შემდეგ ბასილი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი ველარ იქნებოდა. ჭყონდიდის ეპარქია დავით ნარინის მწიგნობართუხუცესს, დასავლეთ საქართველოს სამეფოს მოხელეს უნდა დაეჭირა. მართალია, ასეთი პირი დადასტურებული არაა, მაგრამ ამაზე მიუთითებს "ხელმწიფის კარის გარიგება", დავით ნარინის კარზე შედგენილი. ძეგლში იხსენიებიან დავით ნარინის მოხელეები - საწოლის მწიგნობარი ინასარიძე, ამირეჯიბი ქიხუღისძე. დავით ნარინის სიგელებში ვხვდებით საჭურჭლისა და საწოლის მწიგნობარს, ზარადხანის მწიგნობარს. უეჭველია, რომ დავით ნარინს საწოლისა და საჭურჭლის, ასევე ზარადხანის მწიგნობარიც ჰყოლია. ბუნებრივია, რომ მას მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელიც ჰყოლოდა, რომლის სახელოშიც ხსენებული მწიგნობრები შედიოდნენ.

შევეხოთ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, როგორც მოხელის ფუნქციებსა და კომპეტენციას.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ფუნქციების გასარკვევად ი. ჯავახიშვილმა მიმართა დავითის ისტორიკოსის ერთ ცნობას, რომელიც გიორგი ჭყონდიდელს შეეხება: "კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულითა და ჴორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი სჯანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონთა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღვაწლთა მისთა'. ეს ცნობა კონკრეტულად გიორგი ჭყონდიდელს შეეხება და მისი ღვაწლის დახასიათებას წარმოადგენს, მაგრამ ბევრი რამ მწიგნობართუხუცესთა საერთო ნიშან-თვისებად უნდა ქცეულიყო. ნიშანდობლივია, რომ "სიბრძნე და გონიერება", "სჯანობა" გვხვდება ანტონ გღონისთავისძის შესახებ ცნობებშიც: "ბრძენი და გონიერი, პატრონთათჳს სჯანი და ერთგული" თვით გიორგი ჭყონდიდელის დისწული და ხელის მემკვიდრე სჳმეონი მიჩნეულია: "მიმსგავსებული გიორგი ღედის ძმისა თჳსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი"

უეჭველია, რომ "ისტორიათა და აზმათა" ტერმინოლოგია მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შესახებ ("ბრძენი", "გონიერი", "სჯანი") დამოკიდებულია დავითის ისტორიკოსის ციტირებულ ცნობაზე. თამარის ისტორიკოსი ცდილა ისეთივე მწიგნობართუხუცესის სახე დაეხატა (ანტონ გღონისთავისძისა), როგორც დავითის მწიგნობართუხუცესი გიორგი

ჭყონდიდელი იყო. როგორც დავით აღმაშენებელი იქცა ეტალონად შემდგომი პერიოდისათვის, პირველი მწიგნობართუხუცესიც ასეთი ყოფილა მისი პიროვნების მეცნიერებისათვის.

ცხადია გიორგი ჭყონდიდელის შესახებ მოწმეული ცნობის უშენიშვნოდ გავრცელება ყველა მწიგნობართუხუცესზე და, მათ შორის, ანტონზეც არ შეიძლება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის კომპეტენციას "ყოველი საურავი" შეადგენდა და მისი ეს უფლება მეფის "მამობით" იყო დასაბუთებული.

უეჭველია, რომ "მეფის მამობა" ჭყონდიდელისა გიორგი ჭყონდიდელის სახელთან დაკავშირებული ტრადიციის გამოძახილია. როგორც "ისტორიათა და აზმათა" ავტორი, ისე "კარის კარიგების" ავტორიც იცნობდნენ დავითის ისტორიკოსის თხზულებას და ბევრი შტრიხი ჭყონდიდლობის პერიოდისა, მოცემული დასახელებულ ძეგლებში, სწორედ ამ უკანასკნელიდან უნდა მომდინარეობდეს. ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ "ისტორიათა და აზმათა" ცნობა ანტონ გრონისთავისძის შესახებ, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ტექსტზე უნდა იყოს დამოკიდებული. აქედანვე უნდა იღებდეს სათავეს "კარის კარიგების" ცნობაც "მეფის მამობის" შესახებ.

კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის "ყოველი საურავი" ან რა სისრულისა იყო ის?! ჭყონდიდელს არ ჰქონდა უფლება მეფის გარეშე "საურავისა", რისი დარღვევაც ბასილი მწიგნობართუხუცესს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. აქედან გამომდინარე, მწიგნობართუხუცესს მხოლოდ მეფესთან ერთად და მისი დასტურით შეეძლო "ურვა" მთელი მისი ხელისუფლება მეფისაგან იყო დელეგირებული.

მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, როგორც მეფისა და კარის უპირველესი მოხელე, ახორციელებდა ცენტრალური აპარატის ყველა უწყების კონტროლს და საგანგებო სანქციის მიღების შემთხვევაში მეფის სახელით ახორციელებდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებს.

მწიგნობართუხუცესი საწოლის მწიგნობრის მეშვეობით მართავდა მეფის საწოლს, როგორც სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოს: კონტროლს უწევდა და თავის ხელქვეითების მეშვეობით რევიზიას უკეთებდა მეფის ქონებას-საჭურჭლესა და ზარადხანას; თავისი შტატის მეშვეობით ამზადებდა და ფიქსაციას ახდენდა სახელმწიფო საბჭოს ("ვეზირობის") დადგენილებებისა და გადაწყვეტილებებისას.

ცალკეულ უწყებებზე საუბრისას ყოველივე ეს, ვფიქრობთ, შესაძლებელი სისრულით გამოჩნდა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის მწიგნობრები ახდენდნენ სასახლის ყველა უწყებისა და სამსახურის რევიზიასა და კონტროლს. ნიშანდობლივია, რომ თვით ძაღლების რეგისტრაციასაც კი მწიგნობარი ახდენდა.

სამეფო საქონლის რეგისტრაცია და რევიზია-კონტროლი, რომელსაც ახორციელებდა მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდლის სახელო, საშუალებას აძლევდა ამ პირის მფლობელს შეეღწია ყველა უწყებასა და სამსახურში

არა როგორც ამ უწყებათა მმართველის, არამედ როგორც სამეფო კონტრო-
ლიორს.

სწორედ ეს იყო სამეფო "სასახლის" განგება მწიგნობართუხუცესის მხრივ. ცხადია, მწიგნობართუხუცესი უშუალოდ არ მართავდა ცენტრალური აპარატის უწყებებს. მათ თავიანთი სამმართველო აპარატი და ხელმძღვანელობაც ჰყავდათ. მწიგნობართუხუცესს მათ უწყებაზე ხელი "მეფის. მამობით", მეფის საქონებლის დაცვისა და კონტროლის უფლებით მიუწვდებოდა.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის უმნიშვნელოვანეს პრეროგატივას "ქვრივ-ობლები და ულონონი" შეადგენდნენ. წყაროებში ეს მომენტი ხაზგასმითაა გამოყოფილი მწიგნობართუხუცესის სახელოსთან დაკავშირებით. ჭყონდიდელი იწოდება "საღმრთოთა მსჯავრთა მართლმსაჯულად", "ჴელისამპყრობელად ულონოთა და ქვრივთა". "ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, ჭყონდიდელი "ობოლთა და ქვრივთა მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს". აქედან კარგად ჩანს მწიგნობართუხუცესის მართლმსაჯულებითი ფუნქციები და ისიც, თუ რა სფეროს შეეხება იგი.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის კომპეტენციას; "ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, შეადგენდა: "გელათისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიაონი დასნი არიან"

ვფიქრობთ, ამ ცნობას დიფერენცირებული მიდგომა ესაჭიროება. ი. ჯავახიშვილის აზრით, "მწიგნობართუხუცესს ეკითხებოდა ყველა საქმეები ეკლესიებისა და მონასტრებისა, სამღდელოებისა და მოწესეთა შესახებ" ასეთ საქმეებად მას მიაჩნია "შეუვალობისა და სხვადასხვაგვარი უპირატესობის მინიჭებისა და წართმევის" საკითხები. ეს შეუძლებელია ასე ყოფილიყო. ერთი იმიტომ, რომ ყველა საქმეები კათალიკოსის ხელისუფლების კომპეტენცია იყო და მეორე ის, რომ მწიგნობართუხუცესის უფლება და პრივილეგია არ იყო და ვერც იქნებოდა შეუვალობის ბოძება და წართმევა.

მწიგნობართუხუცესის სახელოსა და კომპეტენციას შეადგენდა სამეფო მონასტრები და მათი მართვა-გამგეობა.

ამ მხრივ საყურადღებო და მრავლისმთქმელი მასალის მომცემია შიომღვიმის მონასტრის მდგომარეობა. დავით აღმაშენებლის ანდერძის მიხედვით, შიომღვიმე "სვიმეონ ბედიელ-ადავერდელისა იყოს შეუვლებული, რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რომელსა ჩვენ ვერ მიუჩინეთ... თუ მისისა ადგილსა ამითვე წესითა სხუა მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდის". იმავე დოკუმენტში აღნიშნულია: "გარეშე მონაზუნისა მწიგნობართუხუცესისა სასაურვოსა" ნურვინ გაბედავსო. სხვა სამეფო მონასტრებიც (დავით-გარეჯი, ანჩის საარქიმანდრიტო) მწიგნობართუხუცესის განსაგებელი იყო. ამაზეც

მიუთითებს ანტონ გღონისთაისძის საეკლესიო მშენებლობა მღვიმესა და კლარჯეთში.

ამდენად, მწიგნობართუხუცესის "საურავს" შეადგენდა სამეფო მონასტრების განგება და ეს უეჭველია შეცილდა "სახლის საურავში" საბოლოო ჯამში ხომ სამეფო მონასტრები მეფის ქონება იყო.

"ხელმწიფის კარის გარიგების" ციტირებულ ცნობასთან დაკავშირებით, განმარტებას იძხოვს დავითის ისტორიკოსის ერთი ადგილიც: "მონასტერნი და საეპისკოპონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ღმერთისასა და ყოველისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითა კანონსა უცთომელსა... კეთილ-წესიერებასა ღმერთისა და მარხვისასა". ეს ცნობა თავისი შინაარსით ეხმაურება "კარის გარიგების" მონაცემებს "რაც საეკლესიონი დასნი არიან" მწიგნობართუხუცესის სახელოსადმი მიკუთვნების შესახებ.

დავითის .ისტორიკოსის ცნობამ, თუ იგი გარკვეულად არ იქნა გააზრებული, მხოლოდ გაოცება შეიძლება გამოიწვიოს. ღმერთისა და მარხვის, საეკლესიო განგების წესი და რიგი მონასტრებისა და საეპისკოპოსოებს თითქოს სასახლის კარიდან უნდა მიეღოთ. ღმერთა-მარხვის წესები ამ დროისათვის ჩამოყალიბებული იყო და პრაქტიკითაც ცნობილი. დაუჯერებელია საქართველოს სამეფო კარს წირვა-ღმერთისა და მარხვის ახალი წესების შემუშავების ფუნქცია ეტვირთა და ისიც კონსტანტინეპოლის ლიტურგიის შემოღების შემდეგ.

ვფიქრობთ, ამ საკითხის ახსნას თამარის მეორე ისტორიკოსის მონაცემები უნდა იძლეოდნენ. აბუბექრის წინააღმდეგ გასაღაშქრებლად თამარმა ჯარის შეყრა ბრძანა და ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ "ვეზირობა-გამორჩევაზე" ანტონ ჭყონდიდელს დაავალა: "მიუმცნით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამის თევანი და ლიტანიობანი აღესრულებოდიან ყოველსა ადგილსა"

სასახლის კარიდან ღმერთა-მარხვის წესების მიღება სწორედ ამგვარ ვითარებას უნდა გულისხმობდეს. კერძოდ დაშქრის გამარკვევისათვის ღამისთევასა და ლიტანიობას და არა საერთოდ საეკლესიო ღმერთა-მარხვას, რომელსაც უეჭველია ისედაც მისდევდნენ ეკლესია-მონასტრებში. ცხადია, ამგვარი ექსტრაორდინალური ღონისძიებანი სხვა შემთხვევებისათვისაც შეიძლება ჩატარებულიყო (მაგ., მეფის ავადმყოფობის დროს).

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს სწორედ ამგვარი ბრძანებების დაყვანა ევალებოდა ყველა ეკლესია-მონასტრამდე და საეპისკოპოსომდე. იგი ვერ ჩაერეოდა ეპისკოპოსის ფუნქციებში.

ამდენად, მწიგნობართუხუცესისა და საწიგნობრის უშუალო კომპეტენციას შეადგენდნენ სამეფო მონასტრები. მათივე ფუნქციას წარმოადგენდა საგანგებო ბრძანებულებების დაგზავნა ყველა ეკლესია-მონასტერში, რომლებიც ჭყონდიდელს, ცხადია არ ექვემდებარებოდნენ. აქ იგი, როგორც მეფის მოხელე და ამავე დროს საეკლესიო იერარქი, მეფის ბრძანების გადამცემად ჩანს მხოლოდ.

ჩვენ ზემოთ აღნიშნული გექონდა, რომ მწიგნობართუხუცესი კონტროლს უწევდა სასახლის კარის უწყებებს. ასეთივე უფლებაც ჰქონდა მას სამხედრო უწყების მიმართ. ამასთან, მისი უშუალო მოვალეობა იყო ღაშქრის წვევის წიგნების შედგენა. ეს მოვალეობა მკვლევართ მიაჩნიათ იმის მიმანიშნებლად, რომ მწიგნობართუხუცესს ღაშქარიც ექვემდებარებოდა.

ვფიქრობთ, ღაშქრის წვევის წიგნების დაგზავნაში არ ჩანს მწიგნობართუხუცესისადმი ჯარის დამორჩილება და არც იგი იძლეოდა საამისო ბრძანებას. ""ისწრაფედ დაწერად და მიმდადევით ბრძანება, რათა მსწრაფდ შემოკრებეს მშვიდობა" ავალებს "ვეზირობაზე" თამარი ანტონ გლონისთავისძეს. ტექსტიდან კარგად ჩანს, ვინ იძლეოდა ბრძანებას და რა ევალება ჯყონდიდელს. ჯარის შეყრის ბრძანება მხოლოდ მეფეს შეეძლო გაეცა და არა მწიგნობართუხუცესს ან ამირსპასალარს. "დაწერა" კი სრულიად ბუნებრივია, ევალება იმ უმაღლეს მოხელეს, რომელსაც მწიგნობრები ექვემდებარებიან. მეფის ბრძანების "მიმოდადება", როგორც ჩანს, უკვე ამირსპასალარის სახელს ფუნქცია იყო. "ბრძანება და წიგნები ქროდა მაღემსრბოლთა" აღნიშნავს თამარის მეორე ისტორიკოსი. მაღემსრბოლები კი, როგორც გარკვეულია, ამირსპასალარის სახელოში შედიოდნენ.

ამდენად, ღაშქარზე და სათანადო უწყებებზე მწიგნობართუხუცესს ხელი მიუწვდებოდა საერთო კონტროლის თვალსაზრისით. იგი არ იძლეოდა ღაშქრის წვევის ბრძანებას, რადგან არც მას და არც რა თქმა უნდა, ამირსპასალარს საამისო უფლებამოსილება არ გააჩნდათ.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ მწიგნობართუხუცეს-ჯყონდიდელი ე. წ. "სავაზიროს" თავმჯდომარე იყო. აღნიშნული მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. "ვეზირობა" სრულიად გარკვეული თანამდებობის პირების თანბირი იყო მეფესთან და მხოლოდ მასთან. ერთადერთი წყარო, სადაც "ვეზირობის" ცერემონიალია აღწერილი, ეს არის "ხელმწიფის კარის გარიგება", რომელიც საკმაოდ მკაფიო მონაცემებს გვაწვდის ამის შესახებ. "ვეზირობის" უალრესი მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ მეფეს სათანადო მოწყობილობა - "სიკრიტონი" ყველგან თან ახლდა სახელმწიფო ბეჭედთან ერთად. აქედან ცხადია უნდა იყოს, რომ "ვეზირობის" მოწვევა, მასზე თავმჯდომარეობა, მეფის და არა მწიგნობართუხუცეს-ჯყონდიდელის პრეროგატივას შეადგენდა. არც მწიგნობართუხუცესს და არც სხვა უმაღლეს მოხელეებს არ შეეძლოთ მეფის დასწრების გარეშე "ვეზირობა" მოეწვიათ და გადაწყვეტილება მიეღოთ. სწორედ ამგვარი რამ მოითხოვა ჩვენი აზრით, ყუთლუ-არსლანმა "კარავის" სახით და ეს მეფემ საკუთარი პრეროგატივის ხელყოფად აღიქვა. ასევე "თჳსიერ მეფისა საურავის" ქმნისათვის დაისაჯა სიკვდილით ბასილი მწიგნობართუხუცესი.

ამდენად, მწიგნობართუხუცესი - ვაზირი გვესახება ცენტრალური აპარატის მოხელედ, ყველა უწყების საპეჭო კონტროლიორად,

რომელიც სათავეში ედგა მწიგნობართა შტატს; უშუალოდ განაგებდა სამეფო მონასტრებს; თავმჯდომარეობდა უმაღლეს სააპელაციო სასამართლოს მწიგნობართუხუცესი ერთდროულად იყო როგორც სამეფო სახლის, ისე სახელმწიფოს მოხელე და ამ ხელისუფლებაში საჭარო და კერძო საწყისები დიფერენცირებული არ ყოფილა.

დადგენილად ითვლება, რომ მწიგნობართუხუცესი არ იყო დაკავშირებული სამიწო მფლობელობასთან და იგი არაფერს იღებდა თავისი თანამდებობისათვის, მაშინ, როდესაც ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და სხვანი სათანადო ქვეყნებს იღებდნენ დროებით მფლობელობაში. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ჭყონდიდი და სხვა ეპარქიები (სამთავისი, აღაერდი, ბედია) თავისთავად წარმოადგენდნენ საეკლესიო ბენეფიციუმს და სწორედ ისინი ეძლეოდა მწიგნობართუხუცესს თავისი თანამდებობისათვის. ის კი ცხადია, რომ მწიგნობართუხუცესის ბენეფიციუმებს არ შეიძლება ჰქონოდათ "გამკვიდრების" ტენდენცია საერო "კარის უხუცესთა" "სახელო" ქვეყნების მსგავსად.

მანდატურთუხუცესი

მანდატურთუხუცესის სახელო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საპატიო იყო საქართველოს სამეფო კარზე. ამ ინსტიტუტის შესახებ არსებული მასალებს თავის დროზე თავი მოუყარა. ი. ჯავახიშვილმა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მანდატურთუხუცესი ოპერეერემონმაისტერის, სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსის მსგავსი სახელო უნდა ყოფილიყო. მის თანამდებობრივ ნიშანს ოქროს სამანდატურო არგანი წარმოადგენდა. მკვლევარები აღნიშნავდნენ მანდატურთუხუცესის "საპოლიციო-ზედამხედველობით" და ზოგიერთ "სამეურნეო" ფუნქციასაც სამეფო ზვრების დამუშავების დროს.

"საგანმგეოს" უწყებაზე საუბრისას შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სწორედ ეს უწყება მართავდა სამეფო სახლის დომენს, სახასო ქონებას. და მისი მეთაური ეზოსმოძღვარ-ჩუხჩარეხი, ანუ გამგეთუხუცესი სამეფო ეკონომოსი იყო. საგანმგეოს უწყება, როგორც გარკვეულია, შედიოდა მანდატურთუხუცესის სახელოში. აქედან გამომდინარე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ სწორედ მანდატურთუხუცესი იყო სამეფო დომენისა და სასახლის მმართველი, სასახლის "მინისტრი" და არა მსახურთუხუცესი, როგორც აქამდე იყო მიღებული. ეს ცხადია, არ გამორიცხავს მანდატურთუხუცესის "საპოლიციო-ზედამხედველობით" ფუნქციებს.

მანდატურთუხუცესის სახელოს ამგვარი გაგება, ვფიქრობთ კარგად უნდა ხსნიდეს იმ ფაქტსაც, თუ რატომ განაგებდა ეს მოხელე სამეფო პურობა-დარბაზობის ცერემონიალს, რატომ "იურვებდა პურის წინაობას". ცხადია, მისი ეს საპატიო ფუნქცია უშუალო კავშირში იყო პირველ რიგში

"სამეუფო სახლის" გამგებლობასთან და არა საპოლიციო ან ფოსტის და მიმოსვლის უფროსობასთან.

მანდატურთუხუცესის სახელო ახლოს იდგა აღმოსავლურ-მუსლიმურ ამირბართან-სასახლის ამირასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელო დასავლეთევროპულ "მაიორდომთან" და "პფალცგრაფთანაც" ახლოა. სხვა მსგავსი შედარებების დროსაც აღნიშნული გვაქვს და აქაც გვსურს გავიმეოროთ, რომ მანდატურთუხუცესი უეჭველია ფუნქციურად იდგა ახლო აღნიშნულ ინსტიტუტებთან. ჩვენ არ ვსაუბრობთ მათ იდენტურობაზე.

მანდატურთუხუცესის თანამდებობისა და მისი სახელდებით მფლობელის დასახელება პირველად გიორგი III-ის მეფობის მიწურულს გვხვდება ნარატიულ წყაროებში. უკანასკნელ ხანს დადგინდა, რომ ეს სახელო იხსენიება უკვე XII საუკუნის დამდეგსაც და მისი შემოღება დავით IV აღმაშენებლის სახელს დაუკავშირდა, ტერმინი "მანდატური", უკვე ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის დროინდელ წყაროებშია დადასტურებული და საფიქრებელია, რომ იგი მანდატურთუხუცესის არსებობის მანიშნებელიცაა. დავით IV აღმაშენებლის დროს ამ სახელოს ჩამოყალიბებული სახე უნდა მიეღო.

მანდატურთუხუცესის სახელოს, გარდა საგანმგეოს უწყებისა, ეკუთვნოდა "სააჯო კარი" და ამირეჯიბის სახელო, რომელსაც თავის მხრივ ეჯიბები, მესტუმრეები და მერიგეები ექვემდებარებოდნენ. ეჯიბებისა და მესტუმრეების ფუნქციები (მოხელეთა და სტუმართა წვევა, მათი "მოურნეობა") თვალნათლივ მიგვანიშნებს, რომ ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, "მასპინძელ" უწყებას, სახელოს მიეკუთვნებიან.

ამრიგად, მანდატურთუხუცესი იყო სამეფო სახლისა და დომენის გამგებელი, რომელსაც ემორჩილებოდა ცენტრალური აპარატის უწყებები სააჯო კარი და საგანმგეო ამირეჯიბისა და ეზოსმოძღვარის მეშვეობით. იგი ედგა სათავეში სათანადო წესრიგისა და დისციპლინარული რეჟიმის დაცვას, თვალყურს ადევნებდა ეტიკეტისა და ცერემონიალის შესრულებას.

ამირსპასალარი. ათაბაგი

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ამირსპასალარის სახელოს პირველად ი. ჯავახიშვილი შეეხო საგანგებოდ. მან ეს ტერმინი თამარის მეფობაში შემოღებულად მიიჩნია, რადგან მისი აზრით, თამარამდე არც იყო საჭიროება ამირსპასალარის არსებობისა. თვით ტერმინი "ამირსპასალარი" მკვლევარმა მიიჩნია არაბულ-სპარსულ კომპოზიტად, რომელიც მისივე აღნიშვნით სპარსულ-არაბულში არ იხმარებოდა.

ამირსპასაღარის საკითხს ვრცლად და საგანგებოდ შეეხო შ. მესხია, რომელმაც სავსებით მართებულად, ამირსპასაღარის სახელოს ჩამოყალიბება დავით IV აღმაშენებლის ხანას, მის ღონისძიებებს დაუკავშირა და თვით ტერმინიც XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან შემოღებულად მიიჩნია. მანვე ტერმინი "ამირ-ი ისფაჰ საღარ"-ი, ხშირად დადასტურებული სულტან სანჯარის დოკუმენტებში, დაუკავშირა საქართველოს სინამდვილეში ჩამოყალიბებულ ტერმინ "ამირსპასაღარს" მკვლევარმა ხაზგასმით მიუთითა, რომ სელჩუკთა სამოხელეო ტერმინოლოგიიდან შეთვისებულია მხოლოდ ტერმინი და არა მისი შინაარსი. საბანაღო ინსტიტუტების შედარებითმა შესწავლამ იგი დაარწმუნა, რომ ამირსპასაღარის ქართული ინსტიტუტი შინაარსობრივად არსებითად განსხვავდებოდა იგივე სახელწოდების სელჩუკური ინსტიტუტისაგან. შ. მესხიამ მიუთითა, რომ "ღაშქრის თავს" - სპასპეტს, შეუდარებლად დიდი ტრადიცია ჰქონდა სელჩუკურ ინსტიტუტთან შედარებით. გაირკვა პირველი ამირსპასაღარის ვინაობაც, რომელიც იყო ივანე დიპარიტის ძე ორბელი.

ამ უაღრესად არგუმენტირებულ კონცეფციაში ჩვენ ხაზი გვინდა გავუსვათ ორ მომენტს - ამირსპასაღარის სახელოს შემოღების დავით IV აღმაშენებლის ღონისძიებებთან დაკავშირებას და ამ სახელოს შინაარსობრივ ტრადიციულობას, მის კავშირს წინამავალ ანალოგიურ ინსტიტუტთან.

დავით IV აღმაშენებლის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ამირსპასაღარის სახელო გენეტურადაა დაკავშირებული "სპასპეტის" უძველეს ინსტიტუტთან.

სპასპეტი სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც სამეფო ადმინისტრაციის სათავეში მდგომი, ყველა ერისთავთა უფროსი და სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო, შიდა ქართლის მმართველი. ცხადია, საუბარი ძველ ქართლს შეეხება. მიუთითებენ ასევე ძველი ქართლის სპასპეტის ხელისუფლების კავშირზე სტრაბონის "მეფის შემდგომ მეორე პირის" ინსტიტუტთან და პიტიახშობასთან.

ლეონტი მროველის ცნობილი მოსაზრებით, "სპასპეტი" "მთავრობით განაგებდა ყოველთა ერისთავთა ზედა". ამ ცნობას სხვა წყაროებიც ადასტურებენ.

სპასპეტის ხელისუფლება გარკვეული მოდიფიკაციებით თვით დავით IV აღმაშენებლის ხანამდე გეხვდება.

ა. ბოგვერაძემ სავსებით მართებულად დაუკავშირა ერისმთავრობის დაწესება ქართლში სპასპეტის ხელისუფლების აღდგენას ახალ პირობებში. ამავე ხელისუფლებას უნდა უკავშირდებოდეს ატენის სიონის ფრესკულ წარწერაში მოხსენიებული "ქართველთა და მეგრელთა ერისთავთა უფლის" სტეფანოზის სტატუსიც, რომელსაც გ. აბრამიშვილის აზრით, ქართლისა და ეგრისის მმართველობა უპყრია, ხოლო მასზე მაღლა იერარქიულად მეფე დგას. ასეთი ვარაუდი ყოველ შემთხვევაში გამორიცხული არაა.

სპასპეტის ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი შინაარსი "ერისთავთა

უხუცესობა", მათი "მთავრობით" განგებაა. მას ეხება საერისთავოებიდან "სამეფო და საერისთავო" ხარკის მოკრეფა. ლეონტი მროველს თავისი დროის რეალიებიც რომ გადაჰქონდეს ადრეულ პერიოდში, ასეთ შემთხვევაშიც მისი ცნობები უაღრესად ფასეულია, ვინაიდან XI საუკუნისა და მისი ახლო წინარე ხანისათვის.

XI საუკუნეში ვხედებით უმაღლეს სამხედრო ხელისუფალს, "სპასალარს", რომელიც იერარქიულად პირველი მოხელეა. ნიშანდობლივია, რომ XI საუკუნის სპასალარს შენარჩუნებული აქვს ერისთავთა "უხუცესობა", "მთავრობა", ისევე როგორც სპასპეტს. "სპასალარად" იწოდება დიპარიტ დიპარიტის ძე და მისი ვაჟი ივანე დიპარიტის ძე. ჩვენი საკითხისათვის ამჯერად ეს უკანასკნელია საინტერესო. ბაგრატ IV-ს ბიზანტიაში გაქცეული ივანე "გამოიბიდნა და გამოიყვანა ამის სამეფოს, და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა... და იყო თავად თავადთავე თანა ამისა სამეფოსათა და სპასალარ სიკეთითა მისითა". სამეფოს "თავადი" ივანე თავისი სპასალარობით პირველ ადგილს იჭერს სხვა "თავადთა" შორის.

ქვეყნის გაერთიანების ძირითადად დასრულებამ და ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე სპასალარის (სასპასალაროს) თავმოყრამ ერთიან სამხედრო ორგანიზაციაში, უეჭველია სპასალართა "უხუცესის", ამირსპასალარის სახელის გამოკვეთა გამოიწვია. დავითის მეფობამდე მხოლოდ ერთი სპასალარი ჩანს.

ამასთან, დავით IV აღმაშენებელმა გაითვალისწინა სპასალარის სახელის "ტრადიციები" სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში. სამართლიანად მიუთითებს ნ. ბერძენიშვილი, რომ "ჯერ ყრმობიდანვე უნდა ხსომებოდა მომავალ აღმაშენებელს დიდგვაროვანთა თვითნებობის სიმწვავე" ამიტომაცა, დავით აღმაშენებლის ჩამოყალიბებულ ცენტრალური აპარატის ორგანიზაციაში პირველი ადგილი არა ამირსპასალარს, არამედ მწიგნობართუხუცესს ეჭირა.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს მიაკუთვნა ასევე დავით IV აღმაშენებელმა მნიშვნელოვანი პრეროგატივა,, "მეფის მამობა", რომელიც ტრადიციით სპასპეტ-სპასალარებს ჰქონდათ.

მკვლევარებმა საგანგებო ყურადღება მიაქციეს და ვრცლად შეისწავლეს ცნობები ქართლის სპასპეტთა "მამამძუძეობის" შესახებ. მათ განიხილეს ჯუანშერის მონაცემები ვახტანგ გორგასალის "მამამძუძის", საურმაგ სპასპეტის შესახებ, რომელიც პირველი პირი იყო სახელმწიფოში. ასეთივე მდგომარეობა ჩანს ლეონტი მროველის მიხედვითაც, სადაც ფარსმან ქველის "ძუძუმტე" სპასპეტი ფარნავაზი იხსენიება, რომლის მამა ფარსმანის "მამამძუძე" უნდა ყოფილიყო. დადგენილია, რომ მეფის გარდაცვალების შემთხვევაში უფლისწულის სრულწლოვანებამდე ქვეყნის მართვა-გამგებლობა მამამძუძეს ევალებოდა..

დავით აღმაშენებლის ღონისძიებათა ერთი შედეგი "სპასპეტ-მამამძუძის" ინსტიტუტის ლიკვიდაცია და მის საპირისპიროდ

მწიგნობართუხუცესის, "მეფის მამის" სახელოს შექმნა იყო. ამ ინსტიტუტის არსებობა რომ თვით დავითის მეფობის ახალ ხანებამდე გრძელდებოდა, ჩვენი აზრით, "მატიანე ქართლისას" ერთი ცნობიდან ჩანს. "ვიდრეღა იყო ბაგრატ (ბაგრატ IV, ი. ა.) საბერძნეთს, ითხოვა დიპარტ ძე ბაგრატისი, გიორგი, მეფედ, რათა მოსცენ იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მბრძელად მისა დიპარტ" (ხაზი ჩვენია, ი.ა.) აშკარაა, რომ სპასალარი დიპარიტი ძველი ტრადიციით დაუდგა "მბრძელად" მცირეწლოვან გიორგი II-ს. ჩვენ ამ შემთხვევაში ტრადიციის ფიქსაცია გვაინტერესებს და არა დიპარიტის პოლიტიკური გეგმები.

დავით IV აღმაშენებელს, ცხადია, არ შეეძლო ესოდენ მნიშვნელოვანი ფუნქციის დატოვება ამირსპასალარისათვის. ამიტომაც საფიქრებელია, "მეფის მამობა" მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს გადაეცა.

რა ფუნქციები ჰქონდა საქართველოს ერთიან სახელმწიფოში ამირსპასალარს? ჩვენ ზემოთ საუბარი გვქონდა საჯინიბო-ზარდხანაზე, სასახლის უწყებებზე, რომლებიც სათანადო მოხელეების მეშვეობით ექვემდებარებოდნენ ამირსპასალარს.

ამირსპასალარს, როგორც სამხედრო ხელისუფალს, ექვემდებარებოდნენ ასევე ერისთავები, საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები, რომლებიც საერისთავოებში სამხედრო საქმეს განაგებდნენ. სამხედრო ძალის ბირთვს, "სამეფოს სპას" სწორედ საერისთავოებიდან გამოსული დაშქარი შეადგენდა და ამ დაშქარს ამირსპასალარი სარდლობდა, როგორც ერისთავთა "უხუცესი", მთავარი ერისთავი.

ი. ჯავახიშვილმა ამირსპასალარის განსაგებელში გამოყო "სამეფოსა სპანი", ყივჩაღთა "მუდმივი" ჯარი, "სამსახურად" მყოფი კავკასიის მთიელთა ჯარი და მეფის "მონასპა", დავით IV აღმაშენებლის დაწესებული. ქაღაქთა და ციხეთა მცველი დაშქარი განსაკუთრებულმა მკვლევარმა ასევე ამირსპასალარის სახელოში განიხილა.

შ. მესხიამ დავით IV აღმაშენებლის სამხედრო ღონისძიებებთან დაკავშირებით მიუთითა "მონასპის" შექმნაზე, ერისთავთა გამოყვანილ დაშქარზე და დაშქრის საგანგებო ნაწილზე, რომელიც ქალაქთა და ციხეთა მცველად იყო დაწესებული. საგანგებოდ შეეხო იგი ყივჩაღთა გადმოსახლების საკითხს.

არ ჩანს, სად გულისხმობენ ავტორები "ტაძრეულ სპას", დომენის დაშქარს. მკაფიოდ არ ჩანს ასევე, გულისხმობენ თუ არა ისინი "მონასპას" ამირსპასალარის სახელისუფლოში.

ვფიქრობთ, სწორია ქ. ჩხატარაიშვილი, როდესაც ტაძრეულსა და ციხე-ქალაქთა მცველ დაშქარს, სათანადო წყაროზე მითითებით, აკუთვნებს მსახურთუხუცესს. ამ საკითხს მსახურთუხუცესის სახელოსთან დაკავშირებით განვიხილავთ.

რაც შეეხება დავით IV აღმაშენებლის გვარდიას, "მონასპის", რომელსაც ბიზანტიაში აღექსი I კომნენოსის ჩამოყალიბებული

"არქონტოპულების" კორპუსი და სელჩუკებთან "ღულამთა" კორპუსი შეესაბამება, ძაღზე საეჭვოა ისიც ამირსპასაღარის სახელოში ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ დამოწმებულია ცაღკე სახელო "მონათუხუცესისა". ეს საკითხი "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით განიხილა ი. სურგულაძემ და აღნიშნა: "მონათუხუცესი მხოლოდ" ვეფხისტყაოსანში" გვხვდებაო". უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელოს იცნობს ვახუშტი, რომელიც მიუთითებს, რომ "მონათუხუცესისა ველის იყვნენ ყოველნი როქის სპანი" ამ ცნობიდან თითქოს ის გამოდის, რომ "როქის სპა" და "მონასპა" ერთი და იგივე ყოფილა. ასევე სჩანს თითქოს ვახუშტის სხვა მონაცემებით: "ხოლო დაშქართა წესნი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა, რაოდენი ძაღ-ედვა სპანი მცველად თვსად, ვითარცა იტყვის მირიანისასა და აღმაშენებლისასა ჲ ათასსა (60000) მარადის მცველად მისად, და დავითისა, არლარა განიყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა, და პატივი ამათი იყო სხუა".

შეუძლებელია 60000-ანი "როქის სპა" ამირსპასაღარის ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილიყო. ჩვენი აზრით, ვახუშტის არეული აქვს "მარადის მცველი" 60000-ანი კორპუსი დავითის 5000-იან "მონასპაში", რომელიც შესაძლებელია ასევე ფულად სარგოზე ("როქი") იყო. მონათუხუცესი სწორედ მეფის "მონასპის" მეთაური უნდა ყოფილიყო და არა 60000 მცველი ჯარისა. ამაზე მიგვითითებს ამ სამხედრო მოხელის სახელწოდებაც.

ამდენად, "ტაძრეული სპა" და ციხე-ქალაქთა გარნიზონები (მუდმივი) არ შედიოდნენ ამირსპასაღარის სახელოში და მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. საუბარია, ცხადია სამეფო ციხე-ქალაქებზე. ასევე ჩვენი აზრით, არ ექვემდებარებოდა ამირსპასაღარს მეფის "მონასპა".

ამირსპასაღარის სახელოში შედიოდა "საქვეყნო დაშქარი" და "როქის სპა", ასევე რა თქმა უნდა ყიენჩაღთა დაშქარი მათი გადმოსახლების შემდეგ.

სამეფო დაშქრის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა ადგილობრივი, ქართული დაშქარი, რომელიც ერისთავთა "ქუეშე" იყო დაწესებული. ბუნებრივია, იგივე კონტინგენტი შეადგენდა ამირსპასაღარი სახელოს ძირითად ბირთვსაც.

"ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობით "დაშქრობა და დაშქრობის ვეზირობა ამირსპასაღარის ველი არის. მას წინათ არავინ იტყვს, რაჲ ვეზირობა იყოს" იმავე ძეგლის მიხედვით: "ამირსპასაღარის საბატიო ვეზირი არის და თავადი დაშქართა და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების"

ამ ცნობიდან გამომდინარეობს, რომ დაშქრობის თათბირი ამირსპასაღარის პრივილეგიაა და მისი მონაწილეობის გარეშე ქვეყნის "გაცემა" და "სამამულო" შეწყალება არაა წესი. ციტირებული ცნობიდან ისიც საესებით აშკარად დგინდება, რომ "ქვეყნის გაცემის" და

"სამამულო შეწყალების" საკითხი "ვეზირობაზე", სამეფო თათბირზე, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე წყდებოდა.

ი. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ "დაშქარ-ნადირობის საქმე მამულზე იყო დამოკიდებული და რომ ქვეყნის გაცემით და წყალობით დიდმნიშვნელოვანი საქმე არ შეფერხებულიყო, ამირსპასალარის დაკითხვა იყო საჭირო" ეს დასკვნა სწორია, მაგრამ საიდან, მიწის რომელი ფონდიდან ხდებოდა სამხედრო საქმესთან ესოდენ მჭიდროდ დაკავშირებული "სამამულო შეწყალება"?

თუ შეწყალება ძირითადად სამეფო დომენიდან ხდებოდა, ვფიქრობთ უფრო უპრიანი იქნებოდა ამის შესახებ დათათბირებოდნენ პირველ რიგში მანდატურთუხუცესს, რომელიც ადმინისტრაციულად განაგებდა დომენს, შემდეგ მსახურთუხუცესს, რომელიც სარდლობდა დომენის დაშქარს და ბოლოსდაბოლოს თვით მწიგნობართუხუცესს, რომელიც "ყოველი საურავის" წესით სამეფო სახლსაც, მის საქონებელსაც მეურვეობდა.

ცხადია, რომ აქ საუბარი შეეხება სახელმწიფო ტერიტორიას, რომელიც მეფეს. სამართლის საჯარო საწყისის საფუძველზე ეკუთვნოდა და რომელსაც ერისთავები განაგებდნენ, საიდანაც გამოდიოდა ამირსპასალარის ხელქვეითი დაშქარი, ერისთავთა "ქუეშე დაწესებული" საქვეყნო "სამეფო სპა" მეფის დომენიდან, რომელიც მას სამართლის კერძო საწყისის საფუძველზე ეკუთვნოდა. მამულის გაცემა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამირსპასალარის კომპეტენციაში.

ამირსპასალარის "სათათბირო" იყო მიწის ის ფონდი, რომელიც წესრიგდებოდა სამართლის საჯარო საწყისის საფუძველზე.

ამირსპასალარის სახელის დიდმა მნიშვნელობამ სომხურ ისტორიოგრაფიაში წარმოშვა მცდარი თვალსაზრისი ამ ჯელის მფლობელების განსაკუთრებული პრეროგატივების შესახებ თამარის მეფობაში. ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ ამირსპასალარი მეფის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის მიერ იყო შეზღუდული. შ. მესხიამ ვრცლად შეისწავლა ეს საკითხი და მივიდა დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ ამირსპასალარი ემორჩილებოდა სარდლობის თვალსაზრისით არა მარტო მეფეს, არამედ თამარის მეფობაში მეფე-ქმარსაც. ამირსპასალარს დამოუკიდებლივ (ცხადია, თუ იგი აჯანყებული არ იყო) არ შეეძლო დაშქრის შეყრა ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება.

XIII საუკუნის დამდეგს, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა ათაბაგის სახელო. ი. ჯავახიშვილი მას უცხოეთიდან შეთვისებულად, შემთხვევით შემოღებულად მიიჩნევდა. ამ სახელოს შემოღება მკვლევარმა "ისტორიათა და აზმათა" ტექსტზე დაყრდნობით, ზაქარია მხარგრძელის სიკვდილს დაუკავშირა. ასევე ფიქრობს ი. სურგულაძე, რომელმაც საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი. აღნიშნული ფორმულირება შესულია "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" III ტომშიც. იქაც ეს მოვლენა ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალებას უკავშირდება და თვით ინსტიტუტი ხელოვნური გზით შემოტანილადაა მიჩნეული.

საღეისოდ არ შეიძლება იმ მოსაზრების გაზიარება, რომ ივანე მხარგრძელმა ათაბაგობა ზაქარია მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. თამარი 1207 წელს გარდაიცვალა, ხოლო ზაქარია 1212 წელს. "ისტორიათა და აზმათა" მთელი მონაკვეთი, სადაც თამარისა და ივანე მხარგრძელის საუბარია მოტანილი ათაბაგობის ბოძების თაობაზე, ანაქრონიზმს წარმოადგენს. აშკარაა, რომ ივანე მხარგრძელს ათაბაგობა ებოძა თამარის სიცოცხლეშივე, არა უგვიანეს 1207 წლისა, და ამ დროს მისი ძმა ცოცხალი იყო. ღაშა გიორგის დროინდელი მემატიანე ღაშა გიორგის მეფობის პირველ წლებში ზაქარია მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარს და ივანე ათაბაგს ასახელებს.

ივანე მხარგრძელს უფლისწულის აღმზრდელის, ათაბაგის სახელო დავით სოსლანის გარდაცვალების - 1205 წლის შემდეგ უნდა მიეღო და გასაგები მიზეზების გამო 1207 წლამდე.

1205-1212 წლებში, ყოფილი მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი მხოლოდ ათაბაგი იყო, ხოლო ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ ათაბაგ-ამირსპასალარი. ამის შემდეგ, თითქმის ყველა, ვისაც კი სამეფოს ათაბაგის უელი ჰქონია, იმავე დროს ამირსპასალარიც იყო. ჯერჯერობით მოღწეულ წყაროებში გვაქვს მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომ ათაბაგის სახელოს მატარებელი იმავე დროს ამირსპასალარიც არ იყო. ასეთი იყო ტარსაიჭ ორბელი.

ნიშანდობლივია, რომ სამეფოს ათაბაგის გარდა წყაროში დამოწმებულია ასევე "ავაგის სახლის ათაბაგი". ცნობილი სადუნ მაჰკანაბერდელი. სანამ სამეფოს ათაბაგ-ამირსპასალარი გახდებოდა, ნორადუზის წარწერაში" ავაგის სახლის" ათაბაგად იხსენიება.

ამრიგად, უმეტეს შემთხვევაში ათაბაგობა და ამირსპასალარობა XIII საუკუნეში გაერთიანებული იყო. ასეთად ჩანს ივანე აბუღეთისძე, რომელიც მცირე ხანს უნდა ყოფილიყო ათაბაგ-ამირსპასალარი დემეტრე II-ის დროს.

საღეისოდ ძნელია გავიზიაროთ მოსაზრება, თითქოს ათაბაგობა შემთხვევით შემოღებული, ხელოვნურად დანერგილი სახელო იყო. შეუძლებელია იმის კატეგორიულად მტკიცება, რომ ათაბაგობა უცხოური, ქართული სინამდვილისათვის შეუფერებელი ჩანდა. სახელო, რომელმაც ესოდენი გავლენა მოიპოვა XIII საუკუნის საქართველოში და ნელნელა მწიგნობართუხუცესსაც წყაღი შეუყენა, არ შეიძლება სრულიად უმიზნოდ შემოღებულად ჩაითვალოს. ამასთან, როგორც ჩანს, სამხედრო ხელისუფლის "მამამძუძეობის" პრაქტიკა ძაღზე ხანგრძლივი იყო საქართველოში. ათაბაგობის შემოღებას საკმაოდ ჩქარა უნდა გამოეცოცხლებინა სათანადო ტრადიციები.

ათაბაგობის შემოღებით და მისი ამირსპასალარობასთან ფაქტობრივი შეერთებით, ჩვენი აზრით აღდგა უძველესი ტრადიცია "სპასპეტ-მამამძუძეობისა" საქართველოს მეფეს ერთბაშად "ორი მამა" გაუჩნდა მწიგნობართუხუცესისა და ათაბაგ-ამირსპასალარის სახით.

ცხადია, დროთა განმავლობაში სასწორი იმ "მამის" მხარეს უნდა გადახრილიყო, რომელსაც ძლიერი რეაღური დასაყრდენი გააჩნდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტების შემთხვევაში ასეთს ათაბაგ-ამირსპასალარი წარმოადგენდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის იერარქიული უპირატესობა მაინც ხაზგასმულია "მეფის კურთხევის წესითაც" და "ხელმწიფის კარის გარიგებითაც" გარდა ამისა, ათაბაგ-ამირსპასალარი ავაგ მხარგრძელი, როგორც წესი, მანდატურთუხუცეს შანშეს შემდეგ იხსენიება წყაროებში.

ათაბაგ-ამირსპასალარის უპირატესობა მხოლოდ XIII საუკუნის 60-იანი წლებიდანაა აღიარებული, როდესაც ამ უღელს იღხანის კარის კრეატურები ღებულობენ და დასაყრდენი პყავთ უცხო ძაღის სახით. ამ დროიდან აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე აღარც ჩანს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.

ამდენად, თეზისი იმის შესახებ, რომ ათაბაგ-ამირსპასალარმა XIII საუკუნეში პირველობა ჩამოართვა მწიგნობართუხუცესს, ძირითადად სწორი-ა, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ამ საუკუნის 60-იანი წლებიდან, უცხო ძაღის აქტიური მონაწილეობით.

მ ე ჯ უ რ ჯ ე თ უ ხ უ ც ე ს ი

მეჯურჯეთუხუცესი თავისი ხელქვეითი შტატის მეშვეობით განაგებდა "საჯურჯეს" უწყებას, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. სათანადო მონაცემების განხილვამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მეჯურჯეთუხუცესი არ ყოფილა "სახელმწიფოს ფინანსთა მინისტრი", რადგან არ არსებულა ცალკე სახელმწიფო ბა ცალკე სამეფო ხაზინა. ამასთან ადგილობრივ მმართველობაში მეჯურჯეთუხუცესის განსაგებელი იყო მხოლოდ სამეფო ქალაქების ადმინისტრაცია და მეფის "სავაჭრო", მეფის ვაჭრები. გარდა ამისა, "ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით მეჯურჯეთუხუცესს სხვა "ქრთამის და საურავის", "სასაურეოს" უფლებაც პქონდა. ეს უფლება უეჭველია გამომდინარეობს მისი ვაზირობიდან, სახელმწიფო საბჭოს წევრობიდან. "კარის გარიგების" მიხედვით ხომ მეჯურჯეთუხუცესი "დიდი არის... ათაბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვეზირი იყო".

ამდენად, მეჯურჯეთუხუცესს ექვემდებარებოდა "საჯურჯე", საღარიში მოთავსებული "შეკრული განძეულობა", საღვინეში დაცული ძვირფასი ჭურჭელი, სამეფო ქალაქების ადმინისტრაცია. უეჭველად უნდა დავასკვნათ, რომ მეჯურჯეთუხუცესი სამეფო სახლის მოხელე იყო და სახელმწიფო, საჯარო საწყისის მატარებელი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეფე იდგა საჯარო ხელისუფლების სათავეში. ასე გვესახება ჩვენ მეჯურჯეთუხუცესის ფუნქციები და კომპეტენცია.

მსახურთუხუცესი

მსახურთუხუცესის სახელო წყაროში პირველად თამარის მეფობის დასაწყისში ჩანს და ამ ჯეღის პირველი მფლობელი, რომელსაც სახელდებით ვიცნობთ, "უგვარო" აფრიდონია. მსახურთუხუცესი სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო სასახლის "მინისტრად", მეფის სახასო მეურნეობისა და საწოლ-საღარის გამგებლად.

საწოლისა და საღარის უწყების შესახებ საუბრისას გაირკვა, რომ ამ უწყებებში მსახურთუხუცესი ხელმძღვანელობდა მეფის და სახელმწიფო ბეჭდის დაცვას, ასევე მეფის პიროვნების მომსახურებას მესაწოლეთუხუცესის, მოღარეთუხუცესის და ფარეშთუხუცესის მეშვეობით. ვფიქრობთ, გაირკვა ისიც, რომ სასახლისა და დომენის მართვა მანდატურთუხუცესის სახელოს ევალებოდა, და არა მსახურთუხუცესს. მსახურთუხუცესი სარდლობდა დომენის ღაშქარს, "ტაძრეულ სპას" და საფიქრებელია, მანდატურთუხუცესის ხელქვეითი იყო ვაზირის რანგში აყვანამდე.

ვახუშტის სათანადო ცნობაზე დაყრდნობით გარკვეულია, რომ მსახურთუხუცესს და დომენის მსახურებს ევალებოდათ ციხე-ქალაქთა მცველობა. ნიშანდობლივია ვახუშტის სხვა ცნობაც: "რაჟამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი, ანუ ჯეღისუფალნი... მიართვიან მეფესა მის მომკუდრისა ჯრმაღი, ცხენი და უხუცესი ძე მისი, ხოლო მეფე ჯეღისუფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისაებრ მიუბოძის და ოდესმე ძესაცა, უკეთუ ღირს იყო ანუ ძაღ-ედვა მოურნეობა მისი... ჯრმაღსა მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მის მომკუდრისასა და დააწესიან ტაძრეულად, ანუ სხუათა სამეფოთა მსახურებათა."

მართალია აქ ვახუშტი თეორიულ ნორმას უფრო გადმოსცემს, ვიდრე ცოცხალ პრაქტიკას, მაგრამ საინტერესო სხვა რამაა. მსახურთუხუცესი ტაძრეულად დაწესებულ პირს შეაბამდა ხმაღს. "ტაძრეული" კი იგივე "დარბაზის ყმაა", რომლებზედაც ჩვენ გვქონდა საუბარი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანის მსახურთუხუცესმა გვიან შუა საუკუნეებში "ყორჩიბაში"-ს სახელო მოგვცა, რომელიც მეფისა და სასახლის დაცვას ხელმძღვანელობდა.

ამდენად, მსახურთუხუცესი განაგებდა საწოლისა და საღარის დაცვას, დომენის ღაშქარს, სამეფო ციხე-ქალაქთა გარნიზონებს.

ი. სურგულაძემ შენიშნა, რომ ჯარის შეყრის, ღაშქრობის ბრძანება წყაროების მიხედვით ერთდროულად ეძლეოდათ ზაქარია და ივანე მხარგრძელებს. მკვლევარმა უცნაურად მიიჩნია მსახურთუხუცესისათვის ასეთი ბრძანების მიცემა და ეს ივანეს პირად განდიდებად, მის პატივებად მიიჩნია. ვფიქრობთ, ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ მსახურთხუცესს დომენის ღაშქრის შეყრის ბრძანება ეძლეოდა და იგი ამირსპასალართან ერთად მიდიოდა ბრძოლის ველზე.

სახელმწიფო საბჭო

"ვეზირობა" სახელმწიფო საბჭოს, სამეფო თათბირს, "რჩევას" წარმოადგენდა. თვით ტერმინი "ვეზირობა" ზოგადია და იგი არ აღნიშნავდა აუცილებლად სამეფო თათბირს, ისევე როგორც "სავაზირო". "ვეზირობა" და "სავაზირო" მეფეზე დაბაღი რანგის პირებსაც შეეძლოთ ჩაეტარებინათ, "ეთათბირათ", "საქმე "ერჩიათ". ავთანდილმა, მაგალითად, შერმადინი "დაისვა სავაზიროსა", ე. ი. მას მოეთათბირა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, "ვაზირობა" საქმის რჩევაა, ხოლო "ვეზირი" - სპარსთა ენაა, ქართულად განმზრახი და ეპრახოზი ჰქვიან" მისივე განმარტებით, "სავაზირო სარჩევი საქმე, რჩევისათვის". "სავაზირო" რომ თათბირია, კარგად ჩანს "ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილიდან: "შენ ჯდომიხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება". ამდენად,, "ვაზირობა" და "სავაზირო" "რჩევაა", "სარჩევი საქმეა". ვახტანგ VI-ის განმარტებით "თათბირი სხვათა ენით რჩევა არის".

ჩვენ გვაინტერესებს სამეფო "ვეზირობა" ანუ "სავაზირო", სამეფო თათბირი - რჩევა. როგორც დგინდება, "ვეზირობა-სავაზირო" არ წარმოადგენდა რაიმე ორგანოს, დაწესებულებას. ეს იყო სათანადოდ უფლებამოსილ პირთა თათბირი - რჩევა მეფესთან. ასეთი პირები მეფის "ვაზირებს", "განმზრახებს" წარმოადგენდნენ. იმ პირთა წრე, რომელთაც სამეფო "ვეზირობაში" მონაწილეობის უფლება ჰქონდათ, განსაზღვრული და რეგლამენტირებული იყო. სამეფო "ვეზირობა" ფაქტობრივად სახელმწიფო საბჭოს წარმოადგენდა.

სამეფო "ვეზირობა", როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტარდებოდა მეფის "საწოლში" და იგივე იყო, რაც "სიკრიტონი". სამეფო "ვეზირობის" მოწვევა-ჩატარება წარმოადგენდა მეფის პრეროგატივას. სათანადო მოწყობილობა, "სიკრიტონი" მოძრავი იყო. "სიკრიტონი" და "მოძრავი საღარო" -სახელმწიფო ბეჭედი ყველგან თან ახლდა მეფეს. ""ვეზირობა" მეფეს შეეძლო მოეწვია ყველგან, სადაც ყოველ კონკრეტულ მომენტში თვითონ იმყოფებოდა "სასახლესთან" ერთად.

ტერმინი "ვეზირი" და მისგან ნაწარმოები "ვეზირობა-სავაზირო" XII საუკუნეში ჩანს შემოსული. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ამ ტერმინით ასახული შინაარსის რჩევა-თათბირები მანამდე არ ტარდებოდა. როდესაც გიორგი II-მ მაღიქ-შაჰ სულტანთან წასვლა დააპირა, იგი თავის დიდებულებს დაეთათბირა: "ჰყო განზრახვა დიდებულთა თჳსთა თანა, და დაამტკიცეს წასვლა მაღალსა სულტანსა მაღიქშას წინაშე". ცხადი უნდა იყოს, რომ დიდებულები, ვისაც გიორგი მეორე "განეზრახა", მისი "განმზრახები", მოგვიანო ტერმინოლოგიით "ვეზირები არიან, ხოლო

თვით განზრახვა" "ვეზირობა-გამორჩევაა" ის დიდებულები კი, რომლებიც "განმზრახები" არიან და გადაწყვეტილების "დამტკიცება" ე.ი. დადასტურება, .მოწონება ევალებათ, იგივე ხალხია, რასაც "ხელმწიფის კარის გარიგება" "სასახლის დიდებულებს" უწოდებს.

XIII საუკუნის მიწურულს დავით მეფეს, დემეტრე თავდადებულის ძეს, გიორგი მეორესავით დაუდგა საქმე და ისიც: "განეზრახა ვაზირთა: "უკეთუ წარვიდე ურდოსა, გინა არა". დაუმტკიცეს ვაზირთა წასვლა, ხოლო მეფემან არა ისმინა". იგივე ტერმინოლოგიაა: "განეზრახა", "დაუმტკიცეს". განსხვავება მხოლოდ ტერმინ "ვეზირშია", რომელიც გიორგი მეორის დროს არ იყო ხმარებაში.

"ვეზირობაა" აღწერილი "ისტორიანში და აზმანში", ოღონდ მას იქ შინაარსობრივად სავსებით იგივე "გამორჩევა" ეწოდება: "თამარმა მოუწოდა ვაზირთა თჳსთა და შეიქმნა გამორჩევა. უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის... "ისწრაფეთ დაწერად და მიმოდადევით ბრძანება, რაოა მსწრაფე შემოკრბეს მჳედრობა" ეს ადგილი პირდაპირ დადასტურებას პოულობს "ხელმწიფის კარის გარიგებაში", სადაც აღნიშნულია: "მწიგნობარს ჭყონდიდელი გარდასცემს და, ასწერენ და იურვიან, რაც სასაურვო იყო"

ვინ მონაწილეობდა სამეფო "განზრახვა-რჩევებში", ვინ "უმტკიცებდა" მეფეს გადაწყვეტილებებს დავით აღმაშენებლის მეფობამდე, სათანადო მასალის უქონლობის გამო ძნელი გადასაწყვეტია. დავით მეოთხე აღმაშენებლის მეფობის მიწურულიდან კი უკვე კონკრეტული მსჯელობაა ამ საკითხზე შესაძლებელი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამეფო თათბირს თამარის მეფობაში შეემატა მსახურთუხუცესი, ხოლო 1205-1207 წლებს შორის ათაბაგი. "კარის გარიგების" ცნობით, ათაბაგობის შემოღებამდე მეჭურჭლეთუხუცესი მეოთხე ვეზირი იყო. სათანადო მასალისა და წინა მონაკვეთებში მოცემული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია წარმოვადგინოთ სამეფო სათათბიროს შემადგენლობის შემდეგი ნუსხა:

1. დავით IV აღმაშენებლის მეფობის მიწურულიდან 1184 წლამდე სამეფო თათბირის უფლებამოსილი მონაწილეები იყვნენ: მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, მანდატურთუხუცესი, ამირსპაღასარი, მეჭურჭლეთუხუცესი.

2. 1184 წლიდან 1205-1207 წლებამდე: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, 2მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი.

3. 1205-1207 წლებიდან: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი.

"კარის გარიგების" მიხედვით, თათბირს ესწრებოდნენ ასევე ამირახორი, ამირეჯიბი, და, რა თქმა უნდა, საწოლის მწიგნობარი. "ვეზირობის" დროს, გარდა იმ პირებისა, ვისაც მასზე დასწრების უფლება

ჰქონდა. მობილიზებული იყო სასახლის დიდმოხელეთა რანგით მომდევნო წყება: მეაბჯრეთუხუცესი, განძგეთუხუცესი[4] (ეზოსმოძღვარი), საჭურჭლის ნაცვალი, ზარადხანის მწიგნობარი, მესტუმრე. ისინი "საწოლის" გარეთ იდგნენ სათანადო განკარგულების მოლოდინში. ფაქტობრივად "ვეზირობის" დროს სასახლის მთელი შტატი იყო ჩართული საქმიანობაში რანგისა და ფუნქციების შესაბამისად. სათანადოდ დაცული იყო უშიშროება და "სიკრიტონის", "ვეზირობის" საიდუმლოება.

რა საკითხები წყდებოდა მეფის "საწოლში" სამეფო "ვეზირობა-გამორჩევაზე", რა საკითხთა წრეს მოიცავდა იგი?

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ომის გამოცხადების საკითხი. თამარის მიერ მოწვეული "გამორჩევა" ვეზირებისა სწორედ ამ საკითხს ეძღვნებოდა. ომს მეფე და მისი "ვეზირობა-თათბირი" "ამტკიცებდა".

"ვეზირობაზე" რომ ომისა და დაშქრობის საკითხები ირჩეოდა პირდაპირ დადასტურებულია "კარის გარიგებაში": "დაშქრობა და დაშქრობის ვეზირობა (თათბირი) ამირსპასალარის ქვეშ არის. მას წინათ არავინ იტყვს, რაჲ ვეზირობა იყოს": სავსებით გასაგები მიზეზების გამო, "დაშქრობის ვეზირობა" ამირსპასალარის კომპეტენციას შეადგენდა "ვეზირობაზე"

ეჭვსგარეშეა დადასტურებული, რომ "ვეზირობაზე" განიხილებოდა "ქვეყნის გაცემისა და სამამულოდ შეწყალების" საკითხი. ბუნებრივია დავასკვნათ, რომ აქვე იხილებოდა უკვე "გაცემული" ქვეყნების და მამულების "წართმევის", "ჩამორთმევის" საკითხიც. ეს რომ ასე იყო, დასტურდება საეკლესიო კრების დადგენილებით უღუ დავითის მიმართ: "ვისცა ვინ დაკრუეჳიეა, თქუენ მიერცა შერისხული. მამული დასჭირვია და დაშქართა შიგან არ შეშუებული. აწ თუ ვის დავპკრულავთ, გამოაჭენებს თქუენს დარბაზსა და თქუენთა ვაზირთა მოპმართებს, ბრძანებასა და კაცს უბოძებთ... ჰაეად გახდის ნაცვალ" "შერისხვა" და "მამულის" დაჭერა მეფისა და მისი ვეზირების კომპეტენციაა, მეფე ვეზირების მეშვეობით არეგულირებს ამ საკითხს. სათანადო მასალა სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქვეყნის და მამულის "გაცემაც" და "დაჭირვაც" ("შერისხვა"), "ვეზირობაზე" იხილება მეფისა და მისი "განმზრახების" მიერ.

ქვეყნის გაცემა და ჩამორთმევა უმჭიდროესად იყო დაკავშირებული "საკელიების" ბოძება-წართმევასთან. ამიტომაც საფიქრებელია, რომ დავითის ისტორიკოსის "საკელიოთა და საბჭოთა სჯანი" სწორედ სამეფო თათბირზე მიმდინარეობდა.

სააჯო კარზე საუბრისას ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ყოველგვარი სახის აჯა-მოკსენება გარკვეული საფეხურების გაელით, დადგენილი რიგით წესით აღწევდა არა მხოლოდ მეფემდე, არამედ ვეზირებამდეც. "აჯა" ყველა სახის თხოვნა იყო, სამეფო კარზე "ვედრების" სახით წარდგენილი.

"ისტორიათა და აზმათა" ცნობით, ასათ გრიგოლის ძემ "იაჯა არიშიანის ადგილსა დაჭდომა სასთაულითა". სავსებით ნათელია, რომ ეს

"აჯა" ერისთავის თანამდებობის ბოძებას შეეხება. იგივე მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს თამარის მეორე ისტორიის შემდეგ აღგიღას: "მონაპირენი... ღამეთა დღეთაევ ზედა დართვიდეს შეუსუენებლად, და რომელნი შიგნით იყუნეს იგინი სანაპიროთა იაჯდეს."

"აჯა" იყო დამნაშავეთა თხოვნაც შენდობის შესახებ: "ღიხთ-იმერთა დიდებულთა, შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჯეთა შენდობისათა",...

როგორც აღნიშნული გვქონდა, "აჯა" სააჯო კარის საშუალებით შედიოდა სასახლეში. მას ჯერ ვეზირებს მოახსენებდნენ და შემდეგ კი ისინი თავის მხრივ მეფეს აყენებდნენ საქმის კურსში.

ცნობილია ერისთავ არიშიანის "აჯა-მოუსენება" ვეძისხეველი ნიანიას საქმის გამო. მის შესახებ ერისთავი მეფეს "დაეაჯა". თავისთავად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამას ნიანიას ერისთავისადმი "აჯა" უძღოდა წინ.

სამეფო კარზე მეფისათვის "აჯის" მირთმევის მწყობრი რეგლამენტი ჩანს. განსაზღვრულია, ვინ "იურვის" მეფესთან "სასაურვოს", სად და რა პირობებში.

1. "უკაზმავ" მეფესთან მსახურთუხუცესი და მისი "შეღისანი" "იურვიან", მაგრამ ამირეჯიბს უპირატესი უფლება აქვს ასეთ დროსაც "იურვოს" მეფესთან.

2. "შეკაზმულ" მეფესთან "საღამოს რეკამდის" საურავი და ძღვნის შეწირვა ამირეჯიბის უფლებას შეადგენდა.

3. ცხენზე მჯდომ მეფესთან "ურვა" ამირახორის კომპეტენციაში შედიოდა – "ვისაც უდარბაზებს, ვინ გინდა იყოს, ათაყვანებს" როდესაც ამირახორი აღგიღზე არ იმყოფებოდა, "მისი შეღისანი" (მეაბჯრეთუხუცესი) ასრულებდა მის მოვალეობას.

ჩამოთვლილი მოხელეები, რომლებიც "იურვიან", არიან სწორედ "მოურავები" მათ უფლებას შეადგენს "აჯის" მირთმევა, კერძო აუდენციის მოწყობა ("უდარბაზებს", "ათაყვანებს") და "ძღვნის შეძღვნა"

"აჯის" და "საურავის" თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა უამთააღმწერელის ერთი ცნობა. შაღვა ქვენიფხეველი დაეით დემეტრეს ძეს გადაუდგა და "ორგულობდა" მეფე "აოხრებდა მამულსა შაღვა ქუენიფხეველისა ორგულობისათჳს. მაშინ უღონო იქმნა ქუენიფხეველი და ეველრა სურამელსა მსახურთუხუცესსა ქართლის ერისთავსა ჰამადას, რათა იურვოს მეფის წინაშე, მოაკსენა მეფესა და არა ინება (მეფემ, ი.ა.) მისთჳს (ჰამადასათვის, ი.ა.) დაჭირვა... შეუნდო მეფემან შაღვას".

ამ ცნობიდან შესანიშნავად ჩანს "აჯისა" და "ურვის" წესი და რიგი. შერისხული ქვენიფხეველი ვეზირთან და ერისთავთან მივიდა და მეფესთან "ურვას" "ეველრა" "ეველრა" იგივე "აჯაა" სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: "ეაჯა-დიდად ეველრა"; "იაჯა-ივველრა" ე. ი. ქვენიფხეველი მსახურთუხუცესს "დააჯებია" მან, თავის მხრივ "ურვა"

მეფესთან შაღვა ქვენიფნეველს. ეს "ურვა" იმაში გამოიხატა, რომ მან მეფეს "მოაკსენა" ქვენიფნეველის "აჯა". მეფემ თავის მხრივ, მსახურთუხუცესის პატივისცემით, "შეუნდო" შაღვას.

ციტირებული ცნობიდან კარგად ჩანს "აჯის", "მოკსენებისა" და "ურვის" საფეხურები და სათანადო რეგლამენტი, რომელიც, როგორც ავღნიშნეთ, გარკვეული და დადგენილი იყო და ტრადიციული ცერემონიალით სრულდებოდა. ამას ერქვა "წესი სახლისა და პალატისა".

სასახლის ცენტრალური აპარატის უმაღლესი მოხელეების პრეროგატივებისა და "ვეზირობის" განხილვა საშუალებას გვაძლევს შევეხოთ ყუთლუ-არსლანის პროგრამის საკითხს. ეფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ ყუთლუ-არსლანი ითხოვდა არა "საკანონმდებლო უფლებებით" აღჭურვილ "დარბაზს", არამედ ცენტრალური აპარატის უმაღლესი მოხელეების გამოყოფას მეფის კარისაგან. ყველა უმაღლესი მოხელე-ვეზირი, როგორც დავრწმუნდით, ერთსა და იმავე დროს მეფის პირადი მოხელეც იყო და ამდენად სახელმწიფო მოხელეც. მეფის კარისა და სახელმწიფოს მმართველობა გამიჯნული არ ყოფილა. არ ყოფილა გამიჯნული მეფისა და სახელმწიფო ქონების მართვაც. ყუთლუ-არსლანის "სპარსთა განაგისის წესი", მეფის კარისა და სახელმწიფო მმართველობის გამიჯვნის ცდას წარმოადგენდა.

თუ შევადარებთ ყუთლუ-არსლანის საპროგრამო მოთხოვნას ზემოთ დადგენილ "ვეზირობის" ფუნქციებს, შეუძლებელია არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ყუთლუ-არსლანმა და მისმა დასმა მართლაც უმაღლესი მმართველობის აპარატის კარისაგან გამოყოფა მოითხოვა, ე.ი. "ვეზირობის" ჩატარება მეფის გარეშე. შევიხსენოთ, რას ითხოვდა ყუთლუ-არსლანი: "მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: "დასხდომიღნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი". როგორც ვხედავთ, ყუთლუ-არსლანი მიცემისა და მოღების, წყალობისა და შერისხვის განგებას ითხოვს, რომელიც შემდეგ მეფემ უნდა "დაამტკიცოს". ეფიქრობთ, ძნელი არაა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ "მიცემა-წყალობა" და "მოღება-შერისხვა" სწორედ ის ფუნქციაა, რასაც "ვეზირობა" ახორციელებდა მეფის თავმჯდომარეობით. "ვეზირობაზე" ხომ "ქუეყანათა გაცემისა" და "სამამულოდ მიწყალების", ასევე, "შერისხვისა" და "მამულის დაჭირვის" საკითხები იხილებოდა. ეფიქრობთ, "მიცემა-წყალობასა და "გაცემა-მიწყალებას"შორის არავითარი სხვაობა არაა. ყუთლუ-არსლანის მოთხოვნით, ვეზირობა მეფის გარეშე უნდა ჩატარებულიყო, მას "ჰკადრებდნენ და აცნობებდნენ" გადაწყვეტილებას, დასამტკიცებლად გაუგზავნიდნენ.

ამდენად, "ვეზირობა იყო სახელმწიფო საბჭო, სამეფო . თათბირი,

რომელზედაც წყდებოდა ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი და იგი მეფის თავმჯდომარეობით ტარდებოდა. ე.წ. "სახელმწიფო დარბაზი", როგორც ჩანს, არ არსებულა. უმაღლეს სათათბიროს და საქმიან საბჭოს წარმოადგენდა სამეფო "ვეზირობა". ცენტრალური აპარატის უმაღლესი მოხელეები უმეტეს შემთხვევაში ან თვით იყვნენ დიდი ერისთავები, ან კი დიდი საერისთავო სახლების წარმომადგენლები. ამრიგად, "ვეზირობაზე" წარმოდგენილი იყო მსხვილი ადგილობრივი მმართველობაც. ფაქტობრივად, ვეზირები თავის სამეფისკარო თანამდებობის გარდა, მონარქიის უდიდეს საერისთოებსაც წარმოადგენდნენ.

სასახლის ცერემონიალი

ჩვენ შევეხეთ "სახელმწიფო სახლის წესის" მრავალ მხარეს. უაღრესად საინტერესოა "სახელმწიფო სახლის "ცერემონიალის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ არაა დაკავშირებული სახელმწიფოს მართვასთან. ესაა საზეიმო მიღებებთან, ღვესასწაულებთან და მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებული ცერემონიალი.

თავის დროზე ი. ჯავახიშვილი არ შეხებია ამ საკითხს საგანგებოდ, რადგან იგი არ მიიჩნია ქართული სამართლის ისტორიის საგნად და ამ "წესებს" ადგილი კულტურისა და ზნე-ჩვეულებების ისტორიაში მიუჩინა.

უკანასკნელ ხანს ა. კიკვიძე შეეხო ჩვენთვის საინტერესო ამ საკითხს და მიუთითა, რომ შეუძლებელია დარბაზის ხელისუფალთა "მოქმედების გაწესრიგება მხოლოდ მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხად მივიჩნიოთ, იგი წმინდა სახელმწიფო სამართლის სფეროა"

ვფიქრობთ, სასახლის ცერემონიალი იმდენადვე განეკუთვნება კულტურის ისტორიას, რამდენადაც სახელმწიფო სამართალს.

სახელმწიფო სამართლებრივი ინსტიტუტების მაღალი განვითარება უეჭველი მოწმობა ასევე მაღალი სახელმწიფოებრივი კულტურისა. ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია დავაცილოთ საერთოდ იმ ხალხის კულტურულ მონაპოვარს და ისტორიას, ვისაც ეს ინსტიტუტები შეუქმნია. სახელმწიფოებრივი კულტურა, ჩვენი ღრმა რწმენით, ისეთივე განუყოფელი ნაწილია ერის კულტურული მემკვიდრეობისა, როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები.

განსვენებულმა ა. კიკვიძემ სასახლის ცერემონიალი ე.წ. "სახელმწიფო დარბაზის" კონცეფციის შუქზე განიხილა და ამიტომაც წყაროების ზოგიერთი პირდაპირი ჩვენება უფრო სხვაგვარად გაიგო, ვიდრე

ეს, ჩვენი აზრით, სათანადო მონაცემებიდან გამომდინარეობს. შევეცდებით "დარბაზობის" ცერემონიალი წარმოვადგინოთ უშუალოდ წყაროების საფუძველზე.

თავის დროზე ი. ჯავახიშვილი შეეხო ე. წ. "დარბაზობის" საკითხს და მიუთითა, რომ "დარბაზობა" ორნაირი სცოდნიათ: ან "დიდის წესითა", ან უმცროსითა". მისივე დასკვნით, დიდი დარბაზობა დარბაზის (ი. ჯავახიშვილის აზრით, ფეოდალური სათათბიროს, სახელმწიფო საბჭოს) საგეიმო სხდომა იყო, რომელზედაც" შეიძლება მხოლოდ ისეთი საქმეები ყოფილიყო გარჩეული, რომელთა შესახებ საჯაროდ მსჯელობა უხერხული და სახიფათო არ იყო. მკვლევარმა, დიდი დარბაზობისაგან განსხვავებით, "უმცროსითა წესითა დარბაზობა" მიიჩნია ე.წ. "სახელმწიფო დარბაზის" საქმიან სხდომად.

ეს დებულება უაღრესად პოპულარულია სამეცნიერო ლიტერატურაში, შესულია სახელმძღვანელოებში.

სათანადო მასალის განხილვას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ არც "დიდი დარბაზობა" და არც "უმცროსითა წესითა დარბაზობა" საერთოდ არ იყო სხდომა და მითუმეტეს, საქმიანი სხდომა.

ამ დასკვნის ნათელსაყოფად უნდა მივმართოთ იმ წყაროს, რომელიც ი. ჯავახიშვილის ზემოციტირებული დებულების სათავეს წარმოადგენს. ეს წყარო "ხელმწიფის კარის გარიგებაა", რომელშიც სათანადო ადგილას აღნიშნულია შემდეგი: "აწ განცხადება ვთქვათ - დიდი დღესასწაული. და წესი არის, რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოველივე წავა. დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ, და დროშა განაღამცა წინა აკურთხონ, მეფე ეკლესიით გამოვიდეს, დროშით წავა და მუნვე კარის შესავალს ქვეშე დადგების. დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს: დიდის წესითა და თუ უმცროსითა, ვითარცა წესი იყოს, იქნას."

სწორედ ამ მონაკვეთიდანაა ამოღებული ტერმინები "დიდის წესითა დარბაზობა" და "უმცროსი წესით დარბაზობა". აქ არაფერია ნათქვამი არც საგეიმო და არც საქმიან სხდომაზე. განცხადების დღესასწაულზე ეკლესიიდან გამოსული მეფე ბრძანებას გასცემდა, სადღესასწაულო "დარბაზობა" - წვეულება "დიდის წესით" მოეწყოთ თუ "უმცროსით" შეუძლებელია მეფეს განცხადების დღესასწაულზე, ეკლესიიდან ახალგამოსულს, სხდომის მოწვევის განკარგულება გაეცა. საუბარია განცხადების, ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური დღესასწაულისადმი მიძღვნილ სამეფო წვეულებაზე.

ჩვენ გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ ქრისტიანი მეფის, "მესიის მახვილად" და "ღვთისსწორად" წოდებული კარზე, განცხადების დღეს "სახელმწიფო დარბაზის" სხდომები მოეწვიათ. მითუმეტეს შეუძლებელია ეს ნორმად იყოს ფიქსირებული "ხელმწიფის კარის გარიგებაში.

"სახელმწიფო კარის გარიგების"ციტირებული ადგილის შესახებ

გამოტანილი ჩვენი დასკვნა რომ სწორია, ამას პირდაპირ ადასტურებს "დიდი სჯულისკანონი": "სამოქალაქო სჯულთა განწესებაჲ იტყჳს, ვითარ მედ ყოველსავე გარეშისა საქმისათჳს უქმნი არიან შჳდნი დღენი უწინარეს აღსებისა და შჳდნი - შემდგომად აღსებისა და ქრისტეს შობისა და განცხადებისაჲ და ამათ დღეთა შინა... არცა საბჭოჲ დაიდების.., არამედ უფროჲსღა მონათა განთავისუფლება იქნების და პყრობილთაჲ - განტევებაჲ და თანამდებთა მიტევებაჲ".

როგორც "დიდი სჯულისკანონიდან" ჩანს, "არცა საბჭოჲ დაიდების" და ყოველი "გარეშე საქმე" აკრძალული არა მხოლოდ აღსების, ქრისტეშობისა და განცხადების დღეებში, არამედ ასევე მათ შვიდი დღით "უწინარეს" და შვიდი დღით "შემდგომ", ე. ი. მთელ ორ კვირას.

აღნიშნული საკითხი დასმულია "მცირე სჯულისკანონშიც": "ქრისტესშობად უქმობაჲ არს... განცხადებად უქმობაჲ არს"...

შესაძლოა, კრიტიკულ, ექსტრაორდინარულ შემთხვევაში მეფეს მართლაც მოეწვია სახელმწიფო საბჭო, მაგრამ ამ საბჭოს "ვეზირობა" ერქვა და არა "დარბაზობა" ამასთან, ვიმეორებთ, შეუძლებელია ასეთი დარღვევა "კარის გარიგებაში" ყოფილიყო ფიქსირებული. მეფე თვითონ იყო ამგვარი დარღვევების წინააღმდეგ მოწოდებული.

ერთადერთი წყარო, სადაც "დიდი წესით" და "უმცროსი წესით" დარბაზობა იხსენიება, არაფერს დაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ეს დარბაზობები ჩვენ საზეიმო თუ საქმიან სხდომად მივიჩნიოთ. სრულიად არაორაზროვნად აქ საუბარია "დიდი" და "უმცროსი" წესით წვეულებაზე, საღეჭასწაულო აუდიენციაზე. "დიდი" და "უმცროსი" წესი დარბაზობის ხასიათს კი არ უსვამს ხაზს ("საზეიმო სხდომა", "საქმიანი სხდომა"), არამედ დარბაზობაზე მოწვეულთა შემადგენლობას. "დიდი წესით დარბაზობაზე" წვევის პრივილეგია, უეჭველია უფრო ფართო წრეს (მათ შორის მეჯინიბეებს) ჰქონდა, ხოლო "უმცროსი წესით დარბაზობაზე" ნაკლებს.

მკვლევართა აზრით, "საქმიან სხდომას", დარბაზობას, მოსდევდა პურობა-ნადიმი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზრი არ დასტურდება სათანადო წყაროებით. არსაიდან არ ჩანს, რომ "დარბაზობა" საქმიანი სხდომა იყო. რაც შეეხება პურობა-ნადიმს, ის თვით წარმოადგენდა "დარბაზობის" შინაარს.

მოვიტანოთ სათანადო მასალა. "შეიქმნა დარბაზობა და დასხნეს ამირმირმან და შარვანშა თჳთეული თჳსსა ადგილსა, ეგრეთვე ვაზირნი... შემდგომნი წესისაებრ, რომელიც ჰქონდა წესი ჭდომისა და დგომისა, დასუეს... შეიქმნა პურობა და ნადიმობა შესატყჳსი უამთა და მის დღისა" ამ ცნობიდან არ ჩანს, რომ დარბაზობა სხვაა, ხოლო პურობა-ნადიმობა კი სხვა. როცა "შეიქმნა დარბაზობა", წესისამებრ ყველა დასხვეს და "შეიქმნა პურობა და ნადიმობა", არ ჩანს, რომ პურობა-ნადიმს წინ უსწრებდეს დარბაზობა, როგორც სხდომა,

"დარბაზობის" ცერემონიალი დაცულია "ისტორიანში და აზმანში" და "ხელმწიფის კარის გარიგებაში". ამ წყაროთა სათანადო მონაცემები კარგად უდგებიან ერთმანეთს.

"ისტორიანში და აზმანში" აღწერილია ამირ-მირმანისა და შირვან-შაჰ აღსართანის ჩამოსვლასთან დაკავშირებული "დარბაზობა". როდესაც "შეიქმნა დარბაზობა", თამარი, დავით სოსლანი და დაშა გიორგი "დასხდეს ტახტსა ზედა ოქროჭედილსა". მოწვეულ სტუმრებს, სანამ მეფეებთან შეუდიოდნენ, შეეგებნენ დამჭრის სხვადასხვა კონტინგენტები და "თჳთ კარვის კარსა ჴელისუფალნი და შინაურნი". სამეფო კარავში შარვანშაში აღსართანი შევიდა, თაყვანი სცა მეფეებს, ხოლო მათ "მოკითხეს წესისაებრ და დასუეს თჳსსა ადგილსა". ამის შემდეგ შევიდა ამირ-მირმანი, რომელიც ასევე "მოკითხეს" მეფეებმა და "დასუეს". დასახელებული პირების შემდეგ "მოასხეს დიდებულნი... ათაყუანეს და მოკითხნეს შესატყჳსითა პატივითა"."თაყვანებისა და "მოკითხვის" შემდეგ, "მაშინ ითხოვეს პური და შემდგომად პურობისა დაიდვეს ნადიმი".

ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ პურობასა და ნადიმს წინ "სხდომა" კი არ უსწრებდა, არამედ "თაყვანება" და "მოკითხვა".

ზუსტად ასეთივე ცერემონიალია აღწერილი "ხელმწიფის კარის გარიგებაში". "დარბაზობაზე" მიწვეულნი რიგრიგობით, რანგის მიხედვით შედიოდნენ მეფესთან: "მოძღვართ-მოძღვარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა და მერმე მეფეცა ეთაყვანოს... წავიდეს მოძღვართმოძღვარი და მარჯვენით გარდაგეს ახლო". ასე რიგრიგობით შედიოდნენ "წვეულნი", მეფეს ეთაყვანებოდნენ და თავის განსაზღვრულ ადგილზე დგებოდნენ. როდესაც ყველა მოწვეული სათანადო ცერემონიალით შევიდოდა და მეფეს "ეთაყვანებოდა", მეფეც თავის მხრივ, დადგენილი წესით "ეთაყვანებოდა" და "მიესალმებოდა", გაიცემოდა ბრძანება (მეფის მიერ) "პურის მოღების" შესახებ. როგორც ვხედავთ, არც ამ ძეგლშია რაიმე ნათქვამი პურობა-ნადიმობამდე "სხდომის" შესახებ. "თაყვანებასა" და "მისალმებას" უშუალოდ "პურის მოღების" ბრძანება მოსდევს.

"თაყვანებისა" და "მოკითხვის" დროს, როგორც "კარის გარიგებიდან" ჩანს, სუფრა არ იყო გაშლილი. "ტაბლები" და ზედ დადგმული "ტაბაკები" რიგრიგობით შემოაქონდათ რანგის მიხედვით. როდესაც მანდატურთუხუცესი "პურის წინაობას იურვებდა", ამირეჯიბი და განმგეთუხუცესი გადიოდნენ სეფე-ტაბაკის შემოსატანად. ყველანი ფეხზე დგებოდნენ და ვერავინ დაჯდებოდა "სეფე-ტაბაკის" დადგმამდე. სეფე-ტაბაკს მანდატურთუხუცესი და ამირეჯიბი დგამდნენ, ხოლო განმგეთუხუცესი შეჯამანდს "მოიღებდა". ამის შემდეგ მანდატურთხუცესს შეეძლო თავის ადგილას დამჯდარიყო.

კათაიკოსების, მოძღვართმოძღვრისა და ჭყონდიდის წინ მდგარ ტაბლებზე ტაბაკს ამირეჯიბი დგამდა. ოთხივე დგებოდა და ამირეჯიბს "ეთაყვანებოდნენ".

ათაბაგს, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს ტაბაკს ეჯიბი უდგამდა და ისინი, თავის მხრივ "ეთაყვანებოდნენ" აღგომით.

დასახელებულ ოთხ მონაზონს და სამ ვეზირს, შეჭამანდს სამ-სამი ჯამით განმგეთუხუცესი მიართმევდა. ამის შემდეგ ამირეჯიბი და განმგეთუხუცესი სხდებოდნენ. -

ასე რიგრიგობით ჩადიოდა ტაბღა-ტაბაკი მეჯინიბეებამდე.

ნიშანდობლივია, რომ "დარბაზობაზე" წვეული მოხელეები ცხადდებოდნენ, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, "საპარადო" ფორმაში. თითოეული მათგანი თავისი "სახელოს" ინსიგნიით მოდიოდა. ამირახორს, მაგალითად ხმალი ერტყა და "რაჲ მისი დაჯდომის ჟამი" მოვიდოდა, მეაბჯრეს აძღევდა. საწოლისა და ზარადხანის მწიგნობრები, მუქიფები და "სხვანი მწიგნობარნი" თავისი თანამდებობის ინსიგნიით, "საწერლებით" ცხადდებოდნენ, რომელიც იღლიაში ჰქონდათ ამოდებული. ცხადია, საზეიმო ვითარების გამო და არა იმიტომ, რომ "დარბაზობაზე" საქმე ეწარმოებინათ. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ "საწერლიან" მწიგნობრებზე აღრე "პირის მწდებეა" საუბარი, რომელიც ცხადია, წვეულების გამოა მოხსენიებული. ამ მოვალეობას, როგორც აღნიშნული გვქონდა კიდეც, სასჯურჭლის წასცვაღი და მეღვინეთუხუცესი ასრულებდნენ.

ამდენად, "დარბაზობა" იგივე პურობა-ნადიმია. სულხან-საბას განმარტებით, "მეჯლისი სპარსთა ენაა. ქართულად ნადიმი ჰქვიან" მისივე ცნობით, ნადიმი იგივეა, რაც "ტაძრობა" "ტაძრობა" სემანტიკურად სავსებით უდრის "დარბაზობას" "ხელმწიფის კარის გარიგებაში" დაცული ტერმინი "დიდის წესით დარბაზობა" სავსებით იგივეა, რაც "ვეფხისტყაოსანში" მოხსენიებული "დიდი პურობა-დარბაზობა" "ნავრობობის" დღესასწაულზე:

ამა ქაღაქსა წესია, დღესა მას ნავრობობასა,
არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა;
ყოველნი სწორად დავიწყებთ კაზმასა, დამაზობასა,
დიდსა შეიქმან მეფენი პურობა-დარბაზობასა.

ცხადია, ციტირებულ და მომდევნო ტაეპებში აღწერილი "დიდი დარბაზობა" შორსაა "საბჭოს სხდომისაგან"

სასახლის "წესიდან" ყურადღებას იქცევს ახალი წლის დღესასწაული. "კარის გარიგების" ცნობით, "წელიწადის თავს" მეფეს მონაღირეთუხუცესი შემოსავდა და მას საღვინეს წინ დასვამდნენ, ტაბღას დაუდგამდნენ და ველური ტახის თავს მოხარშულს მიართმევდნენ. შემდეგ მონაღირეთუხუცესი მეფეს ეკითხებოდა "ხვაღ სით ჰკვლევენ? უბრძანებს მეფე. სითაც ეპრიანების". როგორც ჩანს ახალწლის "კვლევა" ტარკვეულ

ტრადიციებთანაა დაკავშირებული. მონადირეთუხუცესი მეფეს ეკითხება, თუ საღ უნდა მოხდეს ეს "კვლევა". თვით "კარის გარიგებიდან" არ ჩანს, რას ნიშნავს აღწერილი წესი. საამისო განმარტებას ვახუშტი გვაძლევს. მისი ცნობით ბაზიერთუხუცესი ("კარის გარიგებით" მონადირეთუხუცესი) მეფის სანადირო ადგილას ცხენებს ხოცავდა და ამით ნადირს უყრიდა თავს. დიღას მეფე და მისი წარჩინებულნი მიდიოდნენ და ნადირობდნენ. "ესრეთ იკუღევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიმოდ" სწორედ ამ ტრადიციებზე უნდა იყოს საუბარი "კარის გარიგების" ზემოციტირებულ ცნობაში.

ნიშანდობლივია, რომ ახალ წელს მონადირეთუხუცესის მიერ მეფისათვის "ველური ტახის თავის" მირთმევის ტრადიცია, უმნიშვნელო ცვლილებებით, ვახუშტისაც აქვს აღწერილი. მისი ცნობით ახალ წელს მეფეს ბაზიერთუხუცესი "თავსა ველურის ეშუასა მოოქროვილსა" მიართმევდა.

ახალ წელს ველური ტახის თავის მირთმევის ტრადიცია დაკავშირებული უნდა იყოს უძველეს წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან და იმ ფაქტთან, რომ სწორედ ამ დროს გარეულ ღორზე ნადირობის სეზონი იყო.

საინტერესოა ამ მხრივ ოდიშის მთავრის კარზე არსებული წესიც, რომელიც ჩვენი აზრით, ზემოაღწერილი ძველი ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს: "ჩვეულება არის, რომ ვიდრე თასს ტურებამდი მიიტანდნენ, ცოტაოდენ ღვინოს ამ თავებზე (ნადირობის დროს დახოცილი ტახებისა და ირმების, ი. ა.) დაასხამენ და ღმერთს სთხოვენ მშვიდობით ამყოფოს და აღღეგრძელოს მთავარი, რათა შემდეგში ამისთანები ათასობით და ასიათასობით მოჰკლასო" (არქანჯელო დამბერტი).

საახალწლოდ მეფეს სასახლის მოხელეებისაგან, ერისთავებისაგან, გელათისა და გარეჯის მონასტრებისაგან ძღვენი მოსდიოდა. მსგავსი წესი სჩანს ვახუშტისთან და დამბერტისთანაც. მეფისა და მისი ოჯახის ახალწელს მაკვლეველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო.

"კარის გარიგებაში" აღწერილია მონადირეებთან დაკავშირებული ერთი ტრადიციაც. "ორშაბათს მეორეს ღამპარს მონადირენი შეიქმნენ, მეფეს წინაშე მიიღებენ, და ცოლსა მეფისასა და შვილთა, ვეზირთა... ყველას მიართმენ. მეფე უბრძანებს პურსა, ღვინოსა და ფურ-ბერწსა; ეგრეთვე დედოფალიცა უბოძებს; ვეზირნი და მოურავნი ყოველნივე მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა... და თუ მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა, აღარას აწყენენ... ღამპარსა ანთებულსა მუარსა შეიდებენ, ეგრე მრგვალსა (ფერხულს) დააბამენ. ვისცა ავად მიუცემია, ანუ პურად ავადია, აგინებენ"

ცხადია, აქ ხაღხურ დღესასწაულთან გვაქვს საქმე. ი. ჯავახიშვილი მოკლედ შენიშნავს, რომ "ორშაბათს მეორე დამპრობას მეფე-დედოფალს და დარბაზის მოხელეებს უნდა დაესაჩუქრებინათ მონადირეები"

ეს არის ხალხური დღესასწაული "დამპროზა", რომელიც "მატიანე ქართლისაში" გვხვდება. "დამპროზა" იგივე იყო, რაც სვანური "დიმპიარი". იგი მეკერმისა და ფარისევლის კვირას იწყებოდა. ხელთ ეჭირათ ანთებული არყის ტოტები. დღეობა კვირას იწყებოდა და ორშაბათ საღამომდე გრძელდებოდა სიმღერა-თამაშობით. ასეთივე დღესასწაული გურიაშიც სცოდნიათ.

"დამპროზის" კარზე აღნიშვნა, როგორც ჩანს, მონადირეების მოვაღეობას შეადგენდა. ეს წარმართობის დროიდან შემორჩენილი დღესასწაული, ხალხის წიაღში წარმოშობილი, ერთგვარი "დემოკრატიული" ელემენტის შემტანი იყო მკაცრი ეტიკეტით შებოჭილ სამეფო კარზე.

ამგვარი იყო ძირითადად "სახელმწიფო სახლის წესი" შემორჩენილი წყაროების მიხედვით.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

"ბარეთუღნი მოხელენი"

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ადგილობრივი მმართველობა დამყარებული იყო ტერიტორიულ პრინციპზე. ქვეყნის ძირითადი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები, საერისთავოები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდნენ. ასევე ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგს წარმოადგენდა საერისთავოს შინაგანი სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ადგილობრივი მმართველობის აპარატს განეკუთვნებოდა სამეფო სახლის დომენისა და კერძოფეოდალური (საეკლესიო, საერო) მამულების მართვა. საერისთავოსა და კერძო მამულების (მათ შორის მეფის დომენის) მმართველობა სხვადასხვა იურიდიულ რეჟიმს ექვემდებარებოდა. საერისთავო და ერისთავი საჯაროუფლებრივი საწყისის ცნებები იყო, ხოლო დომენი და კერძო მამულები კი კერძო საწყისისა.

საერისთავოების და კერძო მამულების, როგორც გარკვეული საზღვრების მქონე ერთეულების კვლევა სცილდება ჩვენს ამოცანებს. ეს ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტების ინტენსიური კვლევის საგანია. ჩვენს მიზანს შეადგენს თვით საერისთავოსა და ერისთავის, დომენისა და მისი მოხელეების ფუნქციების შეძლებისდაგვარი წარმოდგენა.

1. ერისთავი და საერისთავო

ერისთავის ხელისუფლება დადასტურებულია უკვე ძველ ქართლში, სადაც ისინი საჭავეში ედგნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც დამყარებული უნდა ყოფილიყო დამჭრის ორგანიზაციის პრინციპზე.

ერისთავის ფუნქციების დასახასიათებლად ხშირად მიუთითებენ "ძეგლი ერისთავთა"-ს მონაცემებზე. წყაროს მიხედვით, საერისთავო ინსიგნიებს წარმოადგენდა სამეფო შესამოსელი, ბეჭედი, საყურე, სარტყელი, "საჭურველი და ცხენი თოროსანი, ჯრობაჲ და შუბი".

ერისთავის ინსიგნიები უნდა ყოფილიყო ასევე სკიპტრა, ცული და საკურცხიე (საკაძეული). ყოველივე ეს ერისთავის სახელმწიფოებრივ პრეროგატივებზე მიუთითებს და გვისასიათებს მას, როგორც საჭარო ხელისუფლების მოხელეს, მეფის პიროვნების წარმომადგენელს საერისთავოში, რომელსაც ექვემდებარებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა მხარე სამმართველოდ ჩაბარებულ ტერიტორიაზე.

ძველი ქართლის შესახებ არსებული წყაროებით დამოწმებული ერისთავიდან XI-XIII საუკუნეების ერისთავამდე, დიდი ქრონოლოგიური მანძილი ძევს, რომელიც აღსავსე იყო არსებითი მნიშვნელობის მქონე ძვრებით სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში. ცხადია, ცვლილებებს განიცდიდა ერისთავის ხელისუფლებაც. იგი ხან მეფის "მოსწრაფედ მორჩილი" მოხელეა, ხან აკანყებული, რომელიც საგამგეოდ ჩაბარებულ ტერიტორიაზე საჭარო ხელისუფლების უმაღლესი პრეროგატივების უზურპაციას ახდენს. ხშირად ამაში მას უცხო ძალა უწყობს ხელს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ერისთავის ინსტიტუტმა, თვით საერისთავოს, როგორც სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის მოშლამდე, არსებითად შეინარჩუნა თავისი ძირითადი ნიშანი - საჭარო ხელისუფლების მოხელეობა.

ერისთავის პრეროგატივების შესასწავლად უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია ერისთავთ-ერისთავის, ერისთავისა და "ცოტაჲ" ერისთავის დადგინების ფორმულები.

ერისთავის კურთხევის წესის მიხედვით, "პატივსა ერისმთავრობისა სა" აყვანილი პიროვნებისათვის უნდა ჩაეცვათ "სამოსელი, ვითარცა მუე-ნის მეფეთა" და იგი უნდა ეკურთხებინა კათალიკოსს ან მიტროპოლიტს. დადგინების ფორმულაში ხაზგასმული იყო მისი ადმინისტრაციული ხელისუფლება ("საქმესა მოწყალებისასა აჩუენებდის და სასჯელსა სიმართლისასა ჰყოფდეს უქრთამოდ") და "უელმწიფება"

ერისთავთ-ერისთავის (დიდი ერისთავის) დადგენის ფორმულაში ასევე ხაზგასმულია მისი სასამართლო-ადმინისტრაციული და ფისკალური ფუნქციები.

ერისთავის სასამართლო-ადმინისტრაციულ ფუნქციებს ხაზს უსვამს "ცოტაჲ ერისთავის" დადგინებისა და კურთხევის ფორმულაც.

ერისთავების დადგენის ფორმულები და მათი ინსიგნიები მკაფიოდ მიუთითებენ, რომ ისინი იყვნენ საჭარო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები სამმართველო ტერიტორიაზე, სადაც ისინი ახორციელებდნენ სამხედრო, სასამართლო-ადმინისტრაციულ და ფისკალურ ფუნქციებს. ერისთავი მეფის პერსონას განასახიერებდა საერისთავოში, მის "ნაცვლად" ითვლებოდა.

ხაზგასმით აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ერისთავის კურთხევა ხდებოდა. ფაქტობრივად, ეს აქტი თავისი ცერემონიალით დიდად არ ჩამორჩებოდა თვით მეფის კურთხევას. ერისთავი გამოწყობილი იყო სამეფო

სამოსელში, თავისი ხელისუფლების ნიშნებით. განსხვავება ის იყო, რომ ერისთავის მირონცხება არ ხდებოდა.

თეორიულად ერისთავის შეცვლა ყოველთვის შესაძლებელი იყო და მეფის ეს უფლება ყოველთვის თეორიაში რიცი არსებობდა. ბაგრატ მესამემ "ურჩნი თჳსნი შეცვალა ციცებისაგან და აღგიდთა მათთა დააგრინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებისა მისისა" ასევე იქცეოდა ბაგრატ მეოთხე, რომელმაც ქართლის ერისთავობიდან გადააყენა ივანე აბაზასძე. ერთხანს საერისთავო ჩამოართვა ციპარიტისძეებს.

მეფეებს აწუხებდათ "ურჩი" სახლების მიერ ერისთავობის გამკვიდრება. ხოლო თავისი პოლიტიკის ერთგულ სახლებს, ფაქტობრივად თვითონვე აქცევდნენ "მემკვიდრეობით" ერისთავობის მფლობელად. მათთვის პრინციპული მნიშვნელობა მაშინ პქონდა ერისთავის ცვალებას, თუ იგი "მოსწრაფედ მორჩილი" არ იყო.

მეფეთა ბრძოლა ერისთავობის "გამკვიდრებასთან" არ ნიშნავს ბრძოლას თვით ამ ინსტიტუტთან, როგორც ზოგჯერ მიაჩნიათ ხოლმე. მეფეები "ურჩ" ერისთავებს ებრძოდნენ და არა საერთოდ ერისთავობას, არც "გვარეულად ერთგულ" სახლთა მიერ ერისთავობის" გამკვიდრებას" და "შვიდითი-შვიდამდე" პკირობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მთელი ტერიტორია. სულ სხვადასხვა იურიდიული რეჟიმის მქონე სამფლობელოების ჩათვლით, საერისთავოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში იყო მოქცეული. წყაროებიდან არ ჩანს, რომ მთელს სახელმწიფოში გაფანტული სამეფო დომენები ტერიტორიულად საერისთავო ერთეულების გარეთ იყო განლაგებული. იგივე ითქმის ფეოდალური სახლების კერძო მამულებზე. ყველა ეს მამული საერისთავოს შიგნით მდებარეობს. უეჭველია, ერისთავის ხელისუფლების დამოკიდებულება ამ მამულებისადმი განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

ჯუანშერი არჩილ "მეფის" ხანას მიაწერს ერისთავებისათვის ძმისწულების მითხოვებას, მათთვის მიწების დანაწილებას. რაც მან საკუთრად დაიტოვა, "იყო განზოგებით გამონაყოფი ყველა ამათ პეეთაგან" ამ ცნობით, არჩილის დომენი საერისთავო ტერიტორიებიდან "განზოგებით გამონაყოფი" იყო და ცალკე არ მდებარეობდა. მსგავსი მდგომარეობა ჩანს XIII საუკუნეშიც. ორბელთა ამბოხის დროს, კაიანისა და კაეწონის მმართველებმა "მათი მოსაზღვრე მეფის მხარეები აიკლეს". აქედანაც ჩანს, რომ "მეფის მხარეები" "განზოგებით გამონაყოფია" და ცალკე. კომპაქტურად როდია განლაგებული.

სამეფო დომენები, რომლებიც აღნიშნულისამებრ, ტერიტორიულად საერისთავოთა ფარგლებში იყო მოქცეული, ცხადია, ამოღებული იყო ერისთავთა იურისდიქციიდან და მას ცალკე მმართველობა პყავდა. სამეფო დომენებზე სამეფო იმუნიტეტი ვრცელდებოდა, რომლის ხელყოფა მხოლოდ აჯანყების დროს თუ იყო მოსაღოდნელი. დომენების მართვა უშუალოდ

ექვემდებარებოდა სასახლის ადმინისტრაციას და კერძოდ მანდატურთუხუცესის სახელოს. დომენის დაშქარიც გამოყოფილია ერისთავის ხელისუფლებისაგან და მათ მსახურთუხუცესი სარდლობს. იგივე ითქმის სამეფო ციხე-ქალაქებზე.

ცხადია, განსხვავებული იყო ერისთავის ხელისუფლების დამოკიდებულება ჩვეულებრივ ფეოდალთა, დიდებულთა და აზნაურთა მამულებისადმი. ასეთი მამულების იმუნიტეტი შეზღუდული იყო ერისთავის იურისდიქციით, მისი სასამართლო-ადმინისტრაციული, სამხედრო და ფისკალური პრეროგატივებით.

ერისთავი, როგორც საჭარო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საერისთავოში და უმაღლესი საერო ხელისუფალი, სარდლობდა საერისთავოდან გამომავალ დაშქარს: "შემდგომად მეფისა, იყუნენ მორჩილ და თანამღაშქრე ერისთავთ-ერისთავისა".

შიომღვიმის სამეფო მონასტრის პატივისცემითა და "სვნიდისის" შეწუხების გამო, ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა დაუთმო მღვიმეს გავაზელთა "საციხოი სამართაღი და საშმარი". მანვე შესწირა მღვიმეს "კერძი საერისთაოი", იმ შემთხვევისათვის თუ მღვიმის "კაცი" ქურდობას ჩაიდენდა და წესით ნაპარევის "შუიდეული" მისთვის უნდა მიეცათ. ცხადია, ამგვარი პრივილეგია ყველას როდი ჰქონდა. ყველა კერძო მამული უეჭველია ამ მხრივ "შესავალი" იყო ერისთავისაგან, "შვიდეულსაც" იხდიდა, "საციხო სამართაღსაც" და ბევრ სხვა გადასახდელსაც.

უეჭველია, შედარებით სხვაგვარი იყო ვითარება ერისთავისა და მისი სახლის მამულში, სადაც ერისთავის, როგორც საჭარო ხელისუფლების მოხელისა და კერძო ფეოდალის პრეროგატივები ერთმანეთს ემთხვეოდა.

ერისთავი, როგორც დადგენილია, განაგებდა "ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა", მაგრამ ეს დიდებულები და აზნაურები ერისთავის ვასალებს როდი წარმოადგენდნენ, არამედ მეფისას. ერისთავი იდგა საერისთავოს ადმინისტრაციის და არა ფეოდალური კიბურის სათავეში. მის ვასალებს წარმოადგენდნენ ისინი, ვინც საადგილმამულო ურთიერთობით იყვნენ მასთან დაკავშირებულნი.

ერისთავს, ცხადია, ჰქონდა შემოსავალი საკუთარი სახლის მამულებისაგან, მაგრამ მას ჰქონდა შემოსავალი, როგორც საჭარო ხელისუფლების წარმომადგენელ მოხელესაც.

ერისთავის უმთავრეს სარგოდ ი. ჯავახიშვილმა მიიჩნია სამეფო სიგელთა საიმუნიტეტო ფორმულებში მოხსენიებული "საერისთაო" გადასახადი, რომელიც ხსენებულ ფორმულებში "სახელმწიფო, საციხისთავო" და სხვა გადასახადებთან ერთად იხსენიება. ჩვენი აზრით, იმუნიტეტით აღჭურვილი მამულები კანონით განთავისუფლებული უნდა ყოფილიყვნენ ამ გადასახადისაგან, მაგრამ იმუნიტეტის სისუსტისა და შეზღუდულობის გამო, საფიქრებელია, იგი ბევრ "შეუვალ" მამულსაც ედო. ერისთავები და

მეფეებიც ხშირად თვითონვე არღვევდნენ უკვე გაცემულ საიმუნიტეტო პრივილეგიებს თვით ეკლესიის მიმართ და ეს მოულოდნელი არაა საერო მამულებთან დამოკიდებულებაში. "შეუვალი" მამული "უბადოთა კაცთაგან" ძაღზე ხშირად ისევ "შესავალი" ხდებოდა.

ერისთავის, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის ანაზღაურება, უეჭველია, არ ხდებოდა მხოლოდ "საერისთავო" გადასახადით, "სასამართლო "ნაბჯობით", "ნაპარეულის შეიდეულითა" და სამსახურებით. საფიქრებელია, რომ იგი გარკვეულ მიწა-ადგილსაც იღებდა თავისი მოვალეობისა და თანამდებობის აღსასრულებლად, ცენტრალური აპარატის დიდი მოხელეების "სახელო ქვეყნების" მსგავსად, მაგრამ სამწუხაროდ, სათანადო მასალა ჯერ არ ჩანს და რაიმეს გარკვეულად თქმა აქ არ შეიძლება.

ერისთავი, როგორც "საქვეყნოდ გამრიგე" მოხელე, მმართველობის ადგილობრივ აპარატს განეკუთვნებოდა, მაგრამ ასეთად განიხილებოდა იგი სამეფოს ცენტრთან, მმართველობის ცენტრალურ აპარატთან მიმართებაში. საკუთრივ საერისთავოს მასშტაბით ერისთავს საკუთარი ცენტრალური მმართველობა ჰყავდა, საკუთარი სასახლე და კარი, თავისი "დარბაზის კარსა მყოფი" და "საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეები. უეჭველია, ერისთავის, როგორც საჯარო ხელისუფლების მოხელისა და როგორც კერძო მემამულის მოხელეებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

დადგენილია, რომ ერისთავს ჰყავდა მწიგნობართუხუცესი და მოლარეთუხუცესი. ცხადია, მათ ამ მოხელეებისადმი დაქვემდებარებული მწიგნობრები და მოლარეები უნდა ჰყოლოდა. სავარაუდებელია ერისთავის დაცვა და მესაწოლეების მსგავსი კონტინგენტი, რომელსაც ეს ფუნქცია ექვემდებარებოდა. ჩვენ ზემოთ ვრცლად შევეხეთ მეფის საწოლს, როგორც სასახლის უწყებას. საწოლი, როგორც კაბინეტი, დადასტურებულია ერისთავის სასახლეშიც. მართალია, ეს მასალა მოგვიანო ხანისაა, მაგრამ ეს უწყება ერთიანობის ხანის ერისთავის სასახლეშიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. იგივე უნდა ითქვას საჭურჭლეზე, საჯინიბო-ზარადხანაზე, საღვინეზე, სამნეო უწყებაზე. ეს უწყებები a priori საგულისხმებელია არა მხოლოდ ერისთავის, არამედ საერთოდ დიდ ფეოდალთა დარბაზ-სასახლეებში. უეჭველია, ერისთავის საჭდომი რეზიდენცია ისეთივე როლს ასრულებდა საერისთავოში, როგორც მეფის სასახლე-დარბაზი მთელ სახელმწიფოში. განსაკუთრებით დიდი უნდა ყოფილიყო "მეფეთა ადგილზე" მჯდომი ერისთავის კარის მნიშვნელობა.

სათანადო ადგილას აღნიშნული გვქონდა, რომ სახელმწიფოს ცენტრალურ მმართველობაში მუდმივად შედიოდა "აჯა-მოხსენებები" საერისთავოებიდან.. "თემის აზნაურების", დიდებულებისა თუ სოციალურად უფრო დაბალი პირების საქმეებზე "მის თემის ერისთავი "მოაჯსენებდა" სამეფო სასახლეს. საამისოდ მას ჰყავდა მწიგნობრების შტატი და ასევე "მოწიგნარებიც", რომელთაც მაღალმსრბოლობა-შიკრიკობა ევალებოდათ.

საერისთავოს არსებობის საფუძველს, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენდა სახელმწიფო ტერიტორია ზედ დასახლებული, იურიდიულად სახელმწიფოზე დამოკიდებული მოსახლეობით. გარდა ამისა, საერისთავოს ტერიტორიაზე განლაგებული იყო კერძო მამულები საერო და სასულიერო ფეოდალებისა, მეფის დომენის მიწები, თვით ერისთავის კერძო მამული. დომენს თავისი ადმინისტრაცია და მმართველობა გააჩნდა და იგი ამოღებული იყო ერისთავის იურისდიქციიდან. მისი იურისდიქციიდან მნიშვნელოვანწილად ამოღებული იყო საერო და სასულიერო ფეოდალთა კერძო მამულებიც, მაგრამ როგორც აღინიშნა, კერძო ფეოდალთა იმუნიტეტი მაინც შეზღუდული იყო ერისთავის სასამართლო-ადმინისტრაციული და სამხედრო-ფისკალური პრეროგატივებით. ცხადი უნდა იყოს, რომ კერძო მამულებს, თუნდაც ერისთავის საჭაროუფლებრივი პრეროგატივებით შეზღუდული, თავისი ადგილობრივი ადმინისტრაცია გააჩნდათ.

ასე რომ, საერისთავო ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სხვადასხვა დაქვემდებარების ადგილობრივი აპარატი.

საერისთავოს, როგორც სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის სახელმწიფოებრივი მართვის ბირთვს წარმოადგენდა ერისთავის, როგორც საჭარო ხელისუფლების წარმომადგენლის ხელქვეითი, ასევე საჭარო საწყისის მატარებელი აპარატი.

სანამ განვიხილავთ ერისთავის ხელქვეითი საჭარო ხელისუფლების მოხელეების საკითხს, აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ ე.წ. "საერისთავთერისთავოებს".

ოფიციალური ადმინისტრაციული დაყოფით, როგორც ჩანს, არ არსებულა "საერისთავთერისთავო" და არც "ერისთავთერისთავის" თანამდებობა. ეს უკანასკნელი დიდი საერისთავოს, დიდი საერისთავოს გამგებლის, სპასალარ-ერისთავის საპატიო წოდებულებად მოჩანს (შდრ. "სამცხის სპასალარი").

დამა გიორგის ქვათახევისადმი ბოძებულ სიგელში აღნიშნულია: "მოვიდა ჩუენთან სუღა ქართლის ერისთავი, ძე ერისთავთერისთავისა ქართლის ერისთავისა რატი სურამელისა" ამ სიგელიდან აშკარად ჩანს, რომ სუღაც და მამამისიც ქართლის ერისთავები არიან და არა ქართლის ერისთავთერისთავები. გარდაცვლილი რატი სურამელი ერისთავთერისთავად იწოდებოდა როგორც დიდი, საპატიო ერისთავი. იმავე დოკუმენტების მიხედვით, "დაგუაკერა ღმერთმან, ვისმინეთ ჰაჯაი და მოკსენებაი ერისთავთერისთავისა სუღა ქართლის ერისთავისაი" აქაც სუღას ოფიციალურ თანამდებობად დასახელებულია "ქართლის ერისთავობა", ხოლო როგორც ასეთი, ის ერისთავთერისთავად იწოდებოდა.

"ქართლის ერისთავად" იწოდება გრიგოლ სურამელი, რომელიც ამავე დროს არის "ერისთავთერისთავი გრიგოლ ქართლის ერისთავი". მისი შვილი ბეგაც "ქართლის ერისთავია"

ამდენად, გვაქვს დოკუმენტური ცნობები, რომ ერთი და იგივე

პირები არიან "ქართლის ერისთავები" და ამავე დროს იწოდებიან ერისთავთერისთავებად. ცხადია, რომ ქართლი საერისთავოა და არა საერისთავთერისთავო. მას პყავს ოფიციალური მმართველი "ერისთავი", რომელიც ერისთავთერისთავად იწოდება, როგორც დიდი ერისთავი, დიდი საერისთავოს გამგებელი, მცირე ერისთავთა სარდალი.

ზემოთაღნიშნული, ცხადია არ შეეხება მხოლოდ ქართლის საერისთავოს. ასეთივე ფორმულა დადასტურებულია რაჭიდანაც. ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის წარწერაში აღნიშნულია: "ერისთავთერისთავი რაჭის ერისთავი რატი". ცხადია, რომ რატის ოფიციალური "უეღი" "რაჭის ერისთავობაა" და როგორც ასეთი, იგი ერისთავთერისთავად, დიდ ერისთავად იწოდება. ჩანს არც რაჭის საერისთავთერისთავო არსებულა.

ამდენად, "ქართლის ერისთავი", "რაჭის ერისთავი" და სხვა იმდენად არის ოფიციალური მოხელე, რამდენადაც "ერისთავია". ვინაიდან ქართლი, რაჭა, კახეთი და სხვა დიდი საერისთავოებია, რომლებშიც მცირე საერისთავოებიც შედიან, მათი მმართველობის ოფიციალურ წოდებულებას, "ერისთავს" ცალკე ემატება "ერისთავთერისთავის" წოდებულება. ამის უდავო დადასტურებაა ფორმულები: "ერისთავთერისთავი და ქართლის ერისთავი"; "ერისთავთერისთავი და რაჭის ერისთავი".

მეფის, დიდი ერისთავისა და ერისთავის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით უალრესად საყურადღებოა ღაშა გიორგის ქვათახევისადმი ზოძებული, ზემოთ დასახელებული სიგელი.

სულა ქართლის ერისთავი, რატი სურამელის ძე, "ეაჯა" ღაშა გიორგის, რათა ამ უკანასკნელს ქართლის სოფელი სუენეთი შეეწირა ქვათახევის მონასტრისათვის. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ეკუთვნოდა სურამელთა სახლს. ვის ეკუთვნოდა "ქართლის სოფელი სუენეთი"?! ტერიტორიულად ეს სოფელი ქართლის საერისთავოში შედის. ამასთან, სულა სურამელის "პაპასა და მამასაც" ჰქონია იგი, როგორც ჩანს "საჭმელად", "სახარჯოდ" ცხადია სულას მამა-პაპას ეს სოფელი რომ სამკვიდროდ და სამამულოდ ჰქონოდათ ზოძებული, მას არ დასჭირდებოდა მეფისათვის "აჯის" მირთმევა ამ სოფლის ქვათახევისათვის შესაწირავად. ამასთან, ჩანს სოფელი სუენეთი არც მეფის დომენს მიეკუთვნება. შეუძლებელია, სულა ქართლის ერისთავს საკუთარი მონასტრისათვის დომენის სოფლის, მეფის საკუთრების შეწირვის "აჯის" მირთმევა გაეხედა ღაშა გიორგისათვის. სუენეთი ადმინისტრაციულადაც არ ჩანს სამეფო დომენის მმართველობაში.

სოფელი სუენეთი არც მეფეს და არც სურამელთა სახლს არ ეკუთვნოდა, როგორც კერძო ფეოდალური მამული. ის სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი იყო და იურიდიულად სახელმწიფოზე, სახელმწიფო ადმინისტრაციაზე იყო დამოკიდებული, ამდენად კი "თავისუფალი". ქვათახევისათვის შეწირვის შემდეგ, სუენეთი, ცხადია კერძო მამულად. ხოლო მისი მოსახლეობა მონასტრის "გლეხებად" იქცნენ.

ეს რომ ასეა, სიგელის სხვა მონაცემებიდანაც მტკიცდება. სუენეთი ტერიტორიულად ქართლის საერისთავოში შემავალი, იმყოფებოდა არა ქართლის ერისთავის, არამედ მისდამი დაქვემდებარებული საქართლის ერისთავის უშუალო იურისდიქციაში. ვინ არის საქართლის ერისთავი?!

ვახუშტის მიხედვით, დვანის ხეობაში, "წორბისს ზეით", "მთასა შინა", "არს ციხე საქართლისა, მაგარი". უეჭველია, დაშა გიორგის სიგელის "საქართლის ერისთავი" სწორედ ამ ციხეში იჯდა და მისი "შესავალი" ქვეყნის ერისთავი იყო, ქართლის ერისთავის ხელქვეითი "ცოტაჲ ერისთავი" ცხადია, რომ სუენეთი არც მისი კერძო მამული ყოფილა.

მეფემ "ისმინა" სურამელის "აჯა": "გამოგუიღია (სოფელი, ი.ა.) საქართლის ერისთავისაგან და შეგუიწირავს... ქვათაშენისდა, საღუცველად და წარსამართებლად მეფობისა ჩუენისად". აშკარაა, რომ დაშა-გიორგიმ სოფელი სუენეთი ამოიღო საქართლის ერისთავის იურისდიქციიდან, რაც ამ სოფლის უკვე კერძოფეოდალურ საფუძველზე მფლობელი ქვათახევის მონასტრისათვის სათანადო იმუნიტეტის ბოძებასაც ნიშნავდა. მეფის მიერ ქართლის ერისთავის იურისდიქციიდან სოფლის ამოღება - ("გამოგუიღია") კარგად ახასიათებს თვით ერისთავის ხელისუფებას, მის ხასიათს. ასევე თვით იმ სოფლის იურიდიულ რეჟიმსაც, რომელზეც საუბარია სიგელში. ცხადია, ამ სოფლის ადმინისტრაცია, სამართალი და გადასახადები საქართლის ერისთავის ხელში იყო.

ამ სიგელით ირკვევა დიდი ერისთავის, ქართლის ერისთავის მმართველობის ქვეშ მყოფი საქართლის ერისთავის არსებობაც. ისიც ცხადად ჩანს, რომ თვით ქართლის ერისთავს არა აქვს უფლება საქართლის ერისთავის იურისდიქციიდან "გამოიღოს" სოფელი. სახელმწიფო ტერიტორიის შეწირვა, ე.ი. მისი კერძო მამულად, ფეოდალურ საკუთრებად გადაქცევა, სახელმწიფო ადმინისტრაციიდან ამოღება, "შეუვალად" ქცევა, მეფის პრეროგატივას შეადგენს, რომელიც მას სახელმწიფო უზენაესობის უფლებით ახორციელებს.

საქართლის ერისთავის მსგავს, მცირე ერისთავებად ჩანან პატარა ონის წარწერებიდან კახა ერისთავი, რგანის წარწერიდან აზუნასრ ერისთავი, "ჯრუჭის ერისთავი". ამგვარი ვითარება საგულვებელია ყველა დიდ საერისთავოში.

სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის, საერისთავოს მმართველი ერისთავის შემდეგ, უმაღლეს მოხელედ "გამგებელი" ჩანს. ეს თანამდებობის პირი დამოწმებულია გიორგი V ბრწყინვალის "ძეგლისდებაში" მიხედვით, მაგრამ ცხადია, არა გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ეს კერძო შემთხვევაა და "გამგებელი" სხვა საერისთავოებში არ იყო.

საფიქრებელია, რომ "ძეგლისდებაში" "გამგებლად" წოდებული მოხელე, ზოგ სხვა წყაროში "ნაცვალის" სახელწოდებით უნდა იხსენიებოდეს.

ტერმინი "ნაცვაღი" ძაღზე გავრცეღებუღია სუღ სხვაღასხვა მღგომარეობისა და თანამღებობის პირის აღსანიშნავად. "ნაცვაღი" ჰყავდა მეჯურჭღეთუხუცესს. ყვეღა დიდი მოხეღის "მოადგიღე (ფმირახორი, ამირეჯიბი, მესაწოღეთუხუცესი) ფაქტობრივად "ნაცვაღია". "ნაცვაღი" ჰყავდათ მცირე მოხეღეებსაც. ასეთად ჩანს სეტის მთავარანგეღოზის ხატის წარწერაში მოხსენიებუღი აბარმაღი იონა და ნაცვაღი მიქეღაჭურა. ცხაღია, ჭურა აბარმად იონას "ნაცვაღია". ამ თანამღებობის დასახეღებას ვხვღებით სამეფო სიგეღებშიც, თუმცა არ ჩანს, კონკრეტუღად ვისი "ნაცვეღები" არიან ისინი.

ერისთავის "ნაცვაღზე" ("გამგებეღზე") უნდა იყოს საუბარი სხვა-ვის ჯვრის წარწერაში, სადაც ერთი მხრივ მოიხსენიება რაჭის ერისთავი რატი და მისი ძე კახაბერი, აზნაურნი, მოქეევნი და ქევნი, ხოღო იქვე აღნიშნუღია: "ქ. წმინდაო გაბრიეღ მთავარანგეღოზო, შეიწყაღე ვახტანგის... ის ძე. მოიქეღა მისსა ნაცვეღობასა შიგან..." საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ერისთავის წარწერაში, მ.ს შემდეგ მოხსენიებუღი ვახტანგი, რომეღის "ნაცვეღობასა შიგან" მოქეღიღია ჯვარი, სწორეღ ერისთავის "ნაცვაღია"

ერისთავის "ნაცვეღის", "გამგებეღის" ინსტიტუტი, შინაარსობრივად ძაღზე ახეღა დასავეთევროპუღ გრაფის ვიკარიუსთან, ვიცე-გრაფთან. ჩვენს ხეღთ არსებუღი მასაღის მიხედვით, "ნაცვაღი"-"გამგებეღი", მართეაც "ვიცე-ერისთავის" ფუნქციებით აღჭურვიღად გვევეინება.

საერისთავოს აღმინისტრაციუღ სტრუქტურაში თვაღსაჩინოა "ციხისთავთა" როღი, რომეებისთვისაც ცაღკე გადასახადი "საციხისთავოა" დაწესებუღი. დადასტურებუღია "სამსახურებეღი ციხეთაჲ".

საერისთავოების ძირითად ბირთვს, მათ უმთავრეს შემადგენეღ აღმინისტრაციუღ ერთეუღს, როგორც ჩანს, ქევი შეადგენდა. წყაროებში დადასტურებუღია "ქობუღ ქევისუფაღი"; "ცხრაზმისხევის ქევისუფაღნი ბერი და გიორგი", "დიდგორის ქევისუფაღნი"; "ქევისუფაღი მანიღა" და სხვ. ეს მასაღა X საუკუნისაა. ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის დადასტურებუღია "საქევისუფღო გადასახადი", რომეღიც უეჭვეღია, საჭარო ხასიათის გადასახადი. ტერმინი "ქევი", როგორც ჩანს, სინონიმია "თემისა", ხოღო "ქევის აზნაური" იგივეა რაც "მეთემე აზნაური" საფიქრებეღია, რომ მოხევე-აზნაურები სწორეღ იმ "ქევებში" ("თემებში") საქმობდნენ, რომეღის "მოქევე-მეთემეებიც" ისინი იყვნენ.

"ქევის" აღმინისტრაციუღ მართვას "ქევისუფაღი", "ქევისთავი" აწარმოებდა. მთეად გარკვეუღად არ შეიძეება ჩაითვაღოს, იყო თუ არა რაიმე განსხვავება "ქევისუფაღსა" და "ქევისთავს" შორის. უფრო საფიქრებეღია, რომ ეს ტერმინები ერთსა და იმავე შინაარს გამოხატავდნენ. იგივე უნდა იყოს "ქევისბერიც" ყოვეღ შემთხვევაში ამ ტერმინების სემანტიკა არ იძეევა იმის საფუძვეღს, რომ ისინი მაინცდამაინც ერთმანეთს დავაციღოთ.

საერისთავოს სტრუქტურის თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას იპყრობენ ცნობები, სადაც "ასისთავია" დასახელებული.

XI საუკუნეში დამოწმებული გვაქვს "ასისთავობა", როგორც ადმინისტრაციული ხელისუფლება, რომელიც თავისთავად გულისხმობს ადმინისტრაციულ ერთეულს-"ასეულს"

"ასეულთან" და "ასისთავობასთან" დაკავშირებით, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ჯუანშერის ცნობა: "მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ (გორგასალი, ი.ა.) წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა... განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, და ათასისთავნი და ასისთავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე"

ამ ცნობის მიხედვით, ადმინისტრაციული სტრუქტურა ასეთია: სპასპეტი (ერისთავთა მთავარი, ერისთავთერისთავი) ერისთავი-ათასისთავი - ასისთავი.

ნიშანდობლივია, რომ "ათასისთავს" ლეონტი მროველიც ასახელებს. "ათასისთავის" ინსტიგუტს უდარებენ "ჰაზარაპეტებს", "ხილიარხებს"

აღსანიშავია, რომ "ასისთავი" და "ასეული" დასავლეთევროპული საგრაფოს სტრუქტურის შემადგენელი ნაწილიც იყო. "ასეულის" სათავეში იდგა სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე "ასისთავი", რომელიც თავის მცირე ერთეულში აღჭურვილი იყო სასამართლო-ადმინისტრაციული და ფისკალური ფუნქციებით. "ასეული" საგრაფოს უმცირეს უჯრედს წარმოადგენდა.

ჯანუშერსა და ლეონტი მროველს, საფიქრებელია, გარკვეული წყაროები გააჩნდათ, როდესაც ესოდენ დაშორებული ეპოქების ადმინისტრაციული სტრუქტურის შესახებ წერდნენ, მაგრამ საფიქრებელია, რომ თვით მათი ახლო ხანის სტრუქტურა ბევრად შორს არ უნდა მდგარიყო ზემოაღნიშნულისაგან.

რაც შეეხება "ათასისთავს" და "საათასისთავოს", ეს ინსტიტუტი აღარაა დამოწმებული XI-XIII საუკუნეთა მასალაში. გამორიცხული არაა, რომ მრავალრიცხოვანი ერისთავები და "ცოტაჲ ერისთავები" სწორედ მათი მემკვიდრეები იყვნენ.

"ასისთავისა" და ადმინისტრაციული ერთეულის, "ასეულის" თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მეგრულში დღესაც ცოცხალი ტერმინი "საოშო" "საოშო" სიტყვასიტყვით "საასოს" ნიშნავს და უეჭველად "ასიდან" ("ოში") მომდინარეობს. ტერმინ "თურისაგან" განსხვავებით, რომელშიც ნათესაური მომენტია ხაზგასმული, "საოშო" მეზობლური, ტერიტორიული სიახლოვე-ერთობის აღმნიშვნელი სიტყვაა. ამ ტერმინით უახლოესი სამეზობლო აღინიშნება. დღესაც ჩვეულებრივია გამოთქმები: "ჩვენი "საოშოს" კაცი"; "თავის მოგვეჭრა "საოშოში"; "გვასახელა საოშოში" და სხვა. ეს ტერმინოლოგია უმჭიდროეს კავშირში ჩანს უმცირეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთან, "ასეულთან" და მისი არსებობის დადასტურებას წარმოადგენს სამეგრელოშიც.

არ არის გამორიცხული, რომ "ჳევები", თავის მხრივ სწორედ "ასეუღებად" იყოფოდნენ ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, საერისთაოს შინაგანი სტრუქტურის რეკონსტრუქციას თუ შევეცდებით, ვფიქრობთ შემდეგ სურათს მივიღებთ: ერისთავი - ნაცვალი (გამგებელი) ციხისთავი ჳევისუფალი (ჳევისთავი, ჳევისბერი) - ასისთავი. თავის მხრივ ეს ადმინისტრაციულ ერთეული დიდი ერისთავის, სპასალარის საგანმგებლოში იგულისხმება, ხოლო ეს უკანასკნელნი ამირსპასალარს ემორჩილებიან.

უეჭველია, ერისთავს და მის საჯარო ხელისუფლების აპარატს ექვემდებარებოდნენ მრავალრიცხოვანი ფისკალური მოხელეები, რომლებიც ხშირად იხსენიებიან სამეფო სიგელების საიმუნიტეტო ფორმულებში. ასეთებად ჩანან "მოხარჯენი", "მესაბაჯრენი", "გზირები" ("შურტები") და სხვა "ჩინებულნი", რომელთა ფუნქციას "დაჭირებითი სამსახურის", სამუშაოს, სუხრას, ბაჟის იძულება და აღება შეადგენდა. სწორედ ამ "მაწყინარებს", "მენუკვარებს", "დაჭირვებითი სამსახურის მქნელებს" იხსენიებს დავითის ისტორიკოსი "მოსაკარგავე მაჭირვებლების" ზოგადი სახელით. ამგვარივე სახელწოდებისა და ფუნქციების მოხელე-ჳელოსნები, უეჭველია, სამეფო დომენსაც და კერძოფეოდალურ მამულებსაც ემსახურებოდნენ. ცხადია, მათი დაქვემდებარება სხვადასხვა იყო.

ასეთი იყო არსებული მასალის მიხედვით, საერისთაოს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული სტრუქტურა და აპარატი.

ერისთავს, როგორც კერძო მემამულეს, ფეოდალს, ცხადია, ჰყავდა სხვა სამოხელეო აპარატიც, რომლის მეშვეობითაც იგი თავის მამულებს მართავდა. ამგვარ მოხელედ, გრიგოლ სურამელის დაწერილის მიხედვით, ჩანს მამასახლისი, რომლის კონტრაგენტი შიომღვიმის მოხელე-ხელისუფალია. იგივე მოხელე უნდა იხსენიებოდეს "ყმათა მოურავად".

ვინაიდან ერისთავის საჯარო და კერძო ფუნქციები შერეული იყო, უეჭველია იგი ხშირად იყენებდა თავისი კერძო საქმისათვის სახელმწიფო აპარატს, ხოლო საჯარო ხელისუფლების გადასაწყვეტი საქმისათვის კერძო სამოხელეო აპარატს. საჯარო და კერძო საწყისების ამგვარი დიფუზია დამახასიათებელია ფეოდალური ხანისათვის და თვით სამეფო ხელისუფლებისათვის.

მამასახლისი, როგორც ერისთავის სახლის კერძო მოხელე, ჩანს კორიდეთის სახარების ერთი მინაწერიდანაც, ოღონდ მას იქ ტანუტერი ეწოდება. უფრო სწორედ მინაწერში "სატანუტრო დრამაა" მოხსენიებული. ნიშანდობლივია, რომ მამასახლისი-ტანუტერი კათაღიკოსსაც ჰყავს და მეფესაც.

ჩვენთვის საინტერესო ხანაში დამოწმებულია "მონაპირე" ერისთავი.

მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ "მონაპირე" ერისთავის ინსტიტუტი თამარ მეფის მიერ არის შემოღებული. მას უკავშირებენ

ქვეყნის ტერიტორიის ზრდას XII საუკუნეში, მეზობელ ქვეყნებთან მუდმივ საომარ მოქმედებისათვის მზადყოფნის საჭიროებას.

ტერმინი "მონაპირე", საზღვრისპირა ერისთავს მიემართებოდა და იგივე იყო, რაც "მარზპანი".

ტერმინი "მარზპანი" იხსენიება 1022 წლის ვანანა-ვანქის ქართულ წარწერაში. ამგვარი მოხსენიება უაღრესად მრავალისმეტყველია. ქართულენოვანი საზოგადოებისათვის იგი ნაცნობი და გასაგები ჩანს. აშკარაა, რომ ეს "მარზპანი" მონაპირეა.

უეჭველად "მონაპირის", "მარკგრაფის" შინაარსს შეიცავდა ქართლის მარზპანიც. ქართლისათვის ის სპარსეთის მოხელე იყო, ხოლო თვით მეტროპოლიისათვის, სპარსეთისათვის კი "მონაპირე", საზღვრისპირა მოხელე.

ამკარაა, რომ "მონაპირე" ერისთავის ინსტიტუტი არც თამარის დროს ჩამოყალიბებულა და იგი დავით აღმაშენებლამდეც არსებობდა. 1053 წლის ერთ მინაწერში იხსენიება მარზპან ზოკო ჯაყეღის ძე არსენ ეპისკოპოსი. ცხადია, იმ კაცის მამა, რომელიც 1053 წელს ეპისკოპოსი იყო, XI საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა და "მარზპანობდა".

ქართულ სახელმწიფოს საზღვარი, "ნაპირი", დავით აღმაშენებლამდეც ჰქონდა და თამარამდეც. უეჭველია ამ საზღვრებს იცავდნენ კიდეც და საამისოდ მარზპან-მონაპირის ინსტიტუტიც არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ინსტიტუტი XI საუკუნის I ნახევრისათვის უკვე დოკუმენტურად გვაქვს დადასტურებული. ამ ინსტიტუტის შექმნის დაკავშირება დავითის ან თამარის სახელთან არ ჩანს შესაძლებელი.

სხვა საკითხია ის, რომ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შედეგად ქვეყნის საზღვრები გაფართოვდა, ახალი "სამარზპანო-სანაპიროები" შეიქმნა. ასეთივე პოლიტიკა გრძელდებოდა თამარის დროსაც. დავითისა და თამარის მეფობაში იცვლებოდა თვით საზღვარი, "ნაპირი", ხოლო "მონაპირე" ანუ "მარზპანი" ადრევე არსებობდა.

ამდენად, დავით აღმაშენებელთან და თამართან დაკავშირებით შეგვიძლია ვისაუბროთ ახალი "სანაპირო" საერისთავოების შექმნაზე და არა "მონაპირე" ერისთავის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე.

2. სამეფო მამულის აღგილობრივი მმართველობა

სამეფო დომენი სახელმწიფო ტერიტორიის ის ნაწილი იყო, რომელიც ეკუთვნოდა სამეფო სახლს, როგორც ფეოდალურ მესაკუთრეს სამართლის კერძო საწყისის მიხედვით. დომენში ერთმანეთს ემთხვეოდა მეფის საჯაროუფლებრივი და კერძოუფლებრივი პრეროგატივები.

XI-XIII საუკუნეების საქართველოს სამეფო დომენი ("სასეფო ქუეყანა", "სამეუფო", "სახასო") არ წარმოადგენდა პირადად მეფის საკუთრებას, იგი სამეფო სახლის საერთო საკუთრება უნდა ყოფილიყო.

სამეფო სახლის დომენი, როგორც ფეოდალური საკუთრება, ცხადია ემორჩილებოდა მართვის გარკვეულ რეჟიმს და მას თავისი ორგანიზაციული სტრუქტურაც გააჩნდა. სამეფო დომენში, უეჭველია გამოყოფილი იყო საკუთრივ მეფის მამული, საუფლისწულო და მომდევნო ხანის ანალოგიებით თუ ვიმსჯელებთ, "სადედოფლო".

XI-XIII საუკუნეების მასალების მიხედვით ს შეიძლება გვაქვს ვიმსჯელოთ მეფის მამულების მმართველობის მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე.

სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის აპარატში, როგორც სათანადო ადგილას იყო აღნიშნული, სამეფო დომენის მართვას ახორციელებდა მანდატურთუხუცესის სახელო "საგანმგეო" უწყება. სამეფო კარის "საგანმგეოს მოურავი" განმგეთუხუცეს-ეზოსმოძღვრის მეთაურობით და ადგილობრივი აპარატის მეშვეობით ახერხებდნენ სამეფო სახლის კერძო მამულებსა და მეურნეობას.

სამეფო დომენის ადგილობრივი მმართველობის პრობლემასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავასთან დაკავშირებული ცნობილი სიგელი. დოკუმენტში აღნიშნულია: "რათამცა ოპიზარნიცა გულსავსე ვყვენ, საღმრთოდ სულისა ჩემისა, თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებისა ჩუენისგან ბარევანი სოფელი და შიენც ოპიზართა სატრაპეზოდ". იმავე სიგელში ბაგრატ IV აღნიშნავს: "აწ ვინცა შნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომთა ჩუენთა მოშაველთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა და ყოველთა შეილისუფალთა... დაუმტკიცეთ".

"სამამასახლისო სამსახურებით" აღნიშნულია მიწის ის ნაკვეთი, რომელიც ეძლევა მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენელს სამსახურისათვის.

"ტაოსა და კლარჯეთის ტანუტრები", რომლებიც ერისთავთერისთავების და ერისთავების შემდეგ არიან აღნიშნული სამეფო სიგელში, წარმოადგენდნენ სამეფო დომენის მოხელეებს, ხოლო "სამამასახლისო", ანუ "სატანუტერო" სამსახურებელი კი ამ მოხელეთა სამსახურის სამუქმო მიწასა და სამსახურს. ამავე სახელწოდების მოხელეები კათაღიკოსსაც ჰყავდა და ერისთავებსაც.

ნიკოლოზ კათაღიკოსის არვანჩეგ საბაისძისადმი გაცემულ წყალობის დაწერილში (1281-1282 წწ.) აღნიშნულია: "ყოველთა წელიწადთა დიდსა ხუთშაბათს ესე ოცი ღიტრაი ცვილი ჩუენს ტანუტერს სახლობანს მოეცემოდეს და მოეთვაღვოდეს" ნიშანდობლივია, რომ ციტირებული

"დაწერიდი" შეეხება კლარჯეთს, სადაც ბაგრატ IV-ის ზემომოტანილი სიგელის გაცემიდან ორი საუკუნის შემდეგაც, კათაღიკოსს "ტანუტერი" ჰყავს, რომელიც საკათაღიკოსო მეურნეობას უძღვება.

ერისთავთერისთავის ტანუტერი დამოწმებულია კორიდეთის სახარების ერთ მინაწერში: "...მე ბეშქენ ჩემისა სძღისა ხუაშაქისა ხოვიშნითა გაუშვი კორიდეით ხუცესთა სატანუტროი დრამაი" "სატანუტრო დრამა" ერისთავის მოხელის, ტანუტერის სასარგებლოდ იკრიფებოდა და სწორედ ეს "გაუშვია" ბეშქენს კორიდეელი ხუცესებისათვის. მეფის "ტანუტერის" სარგოს ერისთავი ვერ" ახდიდა" კორიდეელებს.

ბეშქენ ერისთავთერისთავის "ტანუტერის" ბადაღია გრიგოლ ქართლის ერისთავის "მამასახლისი".

"ტანუტერთან", ანუ "მამასახლისთან" დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ბაგრატ IV-ის თანამედროვის მირიან თარხუნის ძის წარწერა ატენიდან, სადაც იგი "ტანუტერად" იხსენიება. იგივე მირიან თარხუნის ძე ვერეს წარწერის მიხედვით "ერისთავია". ამ ფაქტმა ზოგიერთ მკვლევარს საშუალება მისცა ემტკიცებინა, თითქოს ტანუტერი იგივე იყოს, რაც ერისთავი. ეს აზრი ძაღზე საეჭვოა სიმართლეს შეეფერებოდეს. ტანუტერი სემანტიკურად დაშორებულია ერისთავს. ამასთან, ერთი საჯარო ხელისუფლების მოხელეა, ხოლო მეორე კი მეფის, კათაღიკოსის, ერისთავთერისთავის მამულების გამგებლად ჩანს. ტანუტერი მირიან თარხუნის ძე სამეფო დომენის განმგებელი მოხელე უნდა ყოფილიყო. ერთი და იგივე პირის, ატენის წარწერაში "ტანუტერად", ხოლო ვერეს წარწერაში "ერისთავად" მოხსენიება ნათელს ხდის, რომ აქ მის ორ სხვადასხვა თანამდებობაზეა საუბარი, რომელიც მას შეიძლება ერდროულად ჰქონდა. შესაძლებელია ისიც, რომ ატენისა და ვერეს წარწერებში მირიან თარხუნის ძის მოღვაწეობის ორი სხვადასხვა პერიოდი აისახა.

ამდენად, სამეფო დომენის გამგებლად ჩანან მამასახლისები, ანუ ტანუტერები, რომელიც გარკვეული "სამამასახლისო სამსახურებით" ნაზღაურდებიან თავისი სამოხელეო თანამდებობისათვის. ეს ტერმინი დადასტურებულია ტაო-კლარჯეთსა და ატენის ხეობაში, კორიდეთის სახარების მინაწერებში.

სამეფო დომენის მმართველი მოხელეების სახელწოდებად ჩანს დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში დასახელებული "მუხრანისა მგენი" როგორც "საგანმგეო" უწყებაზე საუბრისას იქნა გარკვეული. "მგე" ანუ "გამგე" იგივეა, რაც ეპიტროპოსი, იკონომოსი, აბარმადი. სასახლის "საგანმგეოს", განმგეთუხუცეს-ეზოსმოძღვარს ადგილობრივი "მგენი", "აბარმდები", "ტანუტერ-მამასახლისები" ემორჩილებოდნენ.

სამეფო დომენის მოხელედ, საკუთრივ "აბარმადიც" არის დადასტურებული. თამარ მეფის გელათისადმი ბოძებულ სიგელში "აჯამეთის

აბარმადებია" მოხსენიებული, რომლებიც ფუნქციების მიხედვით სავსებით უდგებიან "მუხრანის მგეებს". აბარმადები ისევე როგორც ტანუტერები, ეკლესიასაც ჰყავდა და უეჭველია, ერისთავებსა და წარჩინებულებსაც.

სამეფო დომენის ადგილობრივი მოხელეები-ტანუტერები, მგეები და აბარმადები, საფიქრებელია ერთი და იგივე ფუნქციას, სამეფო სახლის მეურნეობის მართვის ფუნქციას ახორციელებდნენ. რაც შეეხება ტერმინოლოგიურ განსხვავებას, ეს რეგიონალურ თავისებურებად მოჩანს. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთ საქართველოში "აბარმადი" გვიანაც გვხვდება. კოტრიძეთა სასისხლო სიგელში დასახელებულია: "ქუეყნის მურავთა და ყოველთა აბარმადთა". იგივე თანამდებობა "აბრაამატი"-ს ფორმით დამოწმებულია გელათის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ გაცემულ დოკუმენტში.

გამრიგე-განმგეები, აბარმადები, იგივე ეპიტროპოსები, იკონომოსები მცირე მასშტაბში იმეორებდნენ სასახლის "საგანმგეოს" მოხელეების საქმიანობას, საჭურნეო ხასიათის "გასარიგებელს".

არსებული მასალის მიხედვით, სამეფო დომენის მართვისა და მეურნეობის ადგილობრივი სტრუქტურა სამეფო "სადგომებთან", "საზამთრო", "საზაფხულო", "სათამაშო" სასახლე-სახლებთან იყო დაკავშირებული. მეფე, თავისი კარით, სეზონის მიხედვით გადადიოდა ერთი სასახლიდან მეორეში. ბუნებრივია, მეფის კარის შენახვა იმ სასახლის მეურნეობას აწვა, სადაც მეფე იმყოფებოდა. სასახლეთა ამგვარი სტრუქტურა ჩანს მოგვიანებითაც.

თითოეული სამეფო მამული მსხვილ სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენდა. ასეთი მამულები მიწერილი იყვნენ ცალკეულ სასახლეებსა და სამეფო ციხეებზე. მეურნეობის პროდუქტები, სამეფო მამულის შემოსავალი ციხე-სასახლეებში იყრიდა თავს. მოგვიანო ხანის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, სამეფო მამულები "სასახლის მიმდგომი" იყვნენ, მასში "შემავალს" წარმოადგენდნენ.

ასეთად ჩანან, მაგალითად მუხრანისა და აჯამეთის სამეფო მამულები.

ნ. ბერძენიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუხრანის სამეფო მამულს, რომელსაც დავით IV აღმაშენებლის დროიდან "მუხრანის მგენი" მართავდნენ. ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ დემეტრე I "აშენებს მუხრანს" და საამისოდ შიომღვიმის სოფლებისათვისაც დაუდეთ "თუის თავსა ერთსა დღესა სამუშაო"

დავით IV აღმაშენებლმა ხოდაბუნი შესწირა მუხრანში შიომღვიმის დაერას. ცხადია, მას სხვა ხოდაბუნებიც გააჩნდა იმავე მუხრანაში. მუხრანის ციხისთავები, საგანმგეოს მოურავები და "მეგ-

რობები" საქმიანობენ მუხრანის სამეფო მამულში დაშა გიორგის მეფობაშიც.

უაღრესად საყურადღებოა მონაცემები აჯამეთის სამეფო მამულის შესახებ. თამარის გეღათისადმი ბოძებული სიგელის მიხედვით, მას "აჯამეთის აბარმადები", ანუ იკონომოსები, "მოურნენი", "გამრიგენი" ხელმძღვანელობდნენ. ამავე მამულთან ჩანან დაკავშირებული "ტყისმცველთუხუცესნი" და "გოგნის ციხისა ციხისთავნი"

"ტყისმცველთუხუცესნი" და მისი ხელქვეითი "ტყისმცველები" როგორც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მასალიდან ჩანს, ცალ-ცალკე პყავდა ყველა სამეფო ტყესა და ნაკრძალს. ასე ჩანს ეს თამარის გეღათისადმი ბოძებული სიგელიდან და ასევე დავით ნარინის შეფინისხეველებისა და წაქველებისადმი ბოძებული სიგელიდან, რომელშიც "მის ტყისა მცველთაუხუცესი და ტყისმცველი" იხსენიებიან.

მოხსენების თანმიმდევრობის მიხედვით საფიქრებელია, რომ "აჯამეთის აბარმადებს" ექვემდებარებოდნენ სამეფო ნაკრძალის "ტყისმცველთუხუცესნი". ეს არაა გასაოცარი, ვინაიდან აჯამეთის მამულში, უეჭველია, სანადირო საქმეს და ტყის დაცვას უპირატესი ადგილი ეჭირა მეურნეობაში.

სამეფო ნადირობას, მეფის მონადირეებს, ნადირობის რეგალიას და ნადირობის გამგებლობას სათანადო ადგილი ეჭირა. ჩვენ ეს საკითხი სამეფო დომენთან დაკავშირებით გვაინტერესებს. ნადირობის უფლება მამულის ცნების შემადგენელი ნაწილი იყო. უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა ამ მხრივ დასავლეთევროპული შუასაუკუნეებრივი სინამდვილე. ნადირობის რეგალია, როგორც სამეფო იმუნიტეტის ერთ-ერთი კომპონენტი, ცხადია, ძალზე მკაცრად უნდა ყოფილიყო დაცული. სწორედ ეს შეადგენდა "ტყისმცველთაუხუცესთა" და "ტყისმცველთა" პირდაპირ მოვალეობასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეფო დომენის ტყეებში ნადირობის რეგალიის ხელყოფა უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა საქართველოში და ამ უფლების გამო ხშირი უნდა ყოფილიყო სისხლისმღვრელი დავაც კი. ასეთი ეპიზოდია აღწერილი "ვეფხისტყაოსანში", კერძოდ კი ფრიდონისა და მისი ბიძაშვილების სისხლიანი შეტაკება. ამ კონფლიქტის მიზეზი ფრიდონის თქმით ყოფილა ის, რომ "სანადიროს არ მივსცემდი" და "მომერჩოდეს" ჩემი ბიძაშვილებიო. ცხადია, აქ ნადირობის სამეფო რეგალიაზეა საუბარი.

მანუელ ნიკორწმინდელის 1548 წლის "დაწერილში" აღნიშნულია ნიკორწმინდის ეპარქიის პრივილეგიები და მათ შორის შემდეგი: "თუ ვისმეს შერისხავს ღმერთი და ციცება იკადროს, ან ნადირობა, ტყის ჭრა, ან ქვს თღა, ან თევზაობაჲ ან თიბა ნიკორწმინდის უდასტუროდ, ხელმწიფეთა ბრძანება არის და განაჩენი, პეტრეს მოკვეთით განი-

პატიჟოს. თუ ჯეღის მოკუეთას არჩიეს, ოყი ათასი თეთრი დაუურ-
ვოს"

როგორც ვხედავთ, ნიკორწმინდის პრივილეგიების, მათ შორის ნადირობის და ტყის საკუთრების დამრღვევთ "ჯეღის მოკვეთა განპატიჟება" ემუქრებოდათ, უკეთეს შემთხვევაში დიდი ჯარიმით მისი შეცვლა. იმავე დოკუმენტში ნიკორწმინდის საკუთრების დამრღვევთათვის "ძეღს აბმაცაა" დასახეღებული. ბუნებრივია, თუ ასეთი პრივილეგია ჰქონდა ნიკორწმინდას ნაბოძები, სამეფო მამუღის ხეღშეუვალობა კიდევ უფრო მკაცრად. უნდა ყოფიღიყო დაცული და ისიც ჩვენთვის საინტერესო ხანაში.

სამეფო მამუღების გამგეებიღ მამასახღის-ტანუტერები, აბარშადგანმგეები თავისი ფუნქციებით შორს არ უნდა ყოფიღიყვნენ იგივე სახეღწოდების საეკღესიო მოხეღეებისაგან (ცხადია, ეკღესიის თავისებურებათა გათვაღისწინებით). ამიტომაც, ვფიქრობთ გვაქვს უფღება, გარკვეული მასაღები, საეკღესიო მამუღების გამგეებეთა შესახებ შემონახული, გამოვიყენოთ დომენის იგივე მოხეღეების ფუნქციების წარმოსაჩენად.

ნიშანდობღივია, რომ ნიკოღოზ კათაღიკოსის არვანბეგ საბაისძისადმი ბოძებული "დაწერიღის" მიხეღვით, კათაღიკოსის ტანუტერი ისეთ მოხეღედ ჩანს, რომეღსაც ცვიღის გადასახადის შეკრება და მოვღა-პატრონობა ევაღებოდა. ცხადია, მასვე ეხებოდა სხვა საკათაღიკოსო "გამოსავაღიც" კათაღიკოსის ტანუტერი სახღობანს იყღა, ხოღო საბაისძის მამუღი შეუბანში იყო, აქეღან ნათეღი ხდება, რომ ტანუტერის შესავაღი გარკვეული ოდენი იყო.

ვფიქრობთ, გვაქვს საფუძვეღი აღვნიშნოთ, რომ "ტაოსა და კღარჯეთის ტანუტერები", მეფის დომენის მოხეღენი, ამგვარივე საქმიანობას ეწეოდნენ სამეფო მამუღებში. კრებდნენ სამეფო ნატურაღურ თუ ფუღად გადასახადებს, ხეღმძღვანეღობას უწევდნენ შრომითი ბეგარის შესრუღებას. მათივე მოვაღეობას შეადგენდა ჩემოსავღის დაცვა და სათანადო მიზნით გამოყენება-რეაღიზაცია.

გიორგი მთაწმინდეღის "ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი" მიხეღვით, მონასტრის იკონომოსის (განმგებეღის, აბარმადის) განსაგებეღს შეადგენდა "საშმარი": "მოგუნი გინა თუ ჩაფღანი, გინა თუ ტყავი გინა საბღები გინა თუ სეღი". მისივე საქმიანობის ასპარეზი იყო: "საპარაკონომოსიჲ და საწანგროჲ და საჯორე და სამჭეღეო და ხურონი და კაღაფატნი და მანდრინნი და ვენაშნი და მენავენი" შეიძღება ითქვას, რომ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა ყვეღა "იკონომოსი", ვისიც არ უნდა ყოფიღიყო იგი. სამეფო მამუღის გამგებეეთა ფუნქციები აღბათ უფრო რთუღიც იყო და მრავაღფერივანიც. ნიშანდობღივია, რომ "საშმარი" "ჩაფღა", "ტყავი" ("მეტყავენი"), "სეღი", "ხეღმწიფის კარის გარგებაშიც" დადასტურებუღია. უეჭვეღია, სამეფო რეზიდენციაში "საშ-

მარს" საგანმგეო უწყება განაგებდა, რის შესახებაც გვქონდა საუბარი.

აღგიღებზე განღაგებული "საღგომების" მოხეღეთა სახეღწოდებანი და თვით ფუნქციებიც ბევრად არ შეცვღიღა მოგვიანო ხანაშიც. ღაღიძგას საკათაღიკოსო სასახღეში, XVII საუკუნის პირვეღ მეოთხეღში კათაღიკოს მაღაქია გურიეღს ჰყავდა "სასახღის მოხეღე და ზეღამღეგი და გამრიგე კაცები". ძნეღი არაა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ "გამრიგე" იგივეა, რაც "განმგენი", "აბარმაღნი" (ეს ტერმინი XVI საუკუნეშიცაა დოკუმენტურად დაღასტურებული).

XVII საუკუნის პირვეღი მეოთხეღის "საცაიშღოს გამოსავღის დავთარში" დაღასტურებულია ერთი ტერმინი, რომეღიც ერთიანობის ხანას უნდა უკავშირდებოდეს. დოკუმენტში აღნიშნულია: "რაცა საცაიშღო ნავი ზღვაზეღა სათეგბაოდ გავიდოდეს, თითოს მთეღს ნეღეს თევზს ზუთხსა ცაიშღის ოფსინატურსა მიაბარებდეს". "ოფსინატური" ღათინურ-ბერძნული ტერმინია და მნეს, მეკუჭნავეს აღნიშნავს. ბუნებრივია, ეს ტერმინი ბევრად აღრეა შემოსული XVII საუკუნეზე. საფიქრებეღია, რომ ამგვარი "ოფსინატური" - მეკუჭნავეები უცხონი არ უნდა ყოფიღიყვნენ ჩვენთვის საინტერესო ხანის სამეფო "საღგომებისათვის"

სამეფო მამუღების განმგებღებს აღგიღებზე უეჭვეღია ჰყავდათ მოხეღე-ჯეღოსანთა შტატი, რომეღსაც გაღასახაღების, მოგვიანო ტერმინოღოგია რომ ვიხმაროთ, "მართებული მოსაკრებღობის" აკრება ევაღებოდათ.

დავით ნარინის სიგეღში ხეფინისხევეღებისა და წაქვეღებისაღმი ჩანს "ღვინის მკრეფეღნი", "ჩამომაწუევარნი", რომეღებიც საკღვსა და ქათამს "სთხოვენ" ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამავე ხანაში ფუნქციონირებღნენ "ხვარბღის მკრეფავნი", "პურისა და საკღავის მკრებეღნი", რომეღებიც უფრო მოგვიანო ხანის დოკუმენტებიღან ჩანან.

გაღასახაღის ამკრეფ მოხეღეთა ერთ-ერთ ზოგაღ სახეღად "მოსაკარგავე" ჩანს. უკანასკნეღ ხანს "მოსაკარგავესა" და "საკარგავს" რამღენჯერმე შეეხნენ საგანგებოღ. როგორც სავსებით დასაბუთებუღად ირკვევა, საკარგავი იყო სახეღო, იგი ხეღმწიფესაც შეიძღება ჰქონოდა, დიღებუღსაც, აზნაურსაც და გღეხსაც. ეს ტერმინი "მოურავს", "გამრიგეს" უდრის. გაღასახაღის ამკრეფი "მოსაკარგავე", ზოგჯერ "მოსაკარგავე მაჭირვებღად", "მაწყინრად" წოდებული, ცხაღია, ერთ-ერთი უმდაბღესი რანგის "მოსაკარგავეს" წარმოაღგენღა. ამგვარი გაღასახაღის ამკრეფი მოსაკარგავეები, როგორც აღნიშნული გვქონდა, უნდა ჰყოღიღა ერისთავსაც და სწორეღ ისინი კრეფღნენ სახეღმწიფო გაღასახაღებს. სამეფო მამუღის "მოსაკარგავეებს" კი მეფის, როგორც ფეოღაღის, გაღასახაღების აკრეფა ევაღებოდათ. მათი ეს ფუნქცია კარგად

ჩანს წყაროებიდან, საჭიროა მხოლოდ საჯარო და კერძო გადასახადთა ამკრეფი "მოსაკარგავეების" გამიჯვნა.

სამეფო დომენის მართვაში აქტიურად ერეოდა ცენტრალური აპარატი, რაც კარგად ჩანს "ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობიდან. სამეფო ზვრების და მისი "მუშაობის" შესახებ.

სამეფო კარს გადაადგილების დროს თან ახლდნენ "მეუღუჭენი", ჩვენი აზრით, საგანმგეო უწყების მოხელე-ქვეღრძნები, რომლებიც "უღუჭას", ანუ "როჭიკს", რაციონს "წერდნენ", ხოლო ამ უღუჭას შემდეგ სხვადასხვა "მკრებელნი" იღებდნენ მოსახლეობისაგან, როგორც ერთდროულ გადასახადს.

სამეფო დომენი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ამოღებული იყო ერისთავთა იურისდიქციიდან და მასზე სამეფო იმუნიტეტი ვრცელდებოდა. სამწუხაროდ, არ გვაქვს ცნობები, როგორ იყო ორგანიზებული დომენში სასამართლო სისტემა, რაკი იგი არ ემორჩილებოდა ერისთავის სასამართლო იურისდიქციას. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში ნახსენები "საშჯულო სამრეწლოჲ", რომელიც "რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან მღვდესა, ...არს ყოველგან, თჳთ მემღვდისა დიაკონმან მოისამართლოს". ე.ი. შიომღვიმის ყველა სოფელში და აგარაში "საშჯულო სამრეწლოჲ", ანუ სასამართლო დაწესებულება ყოფილა. ცხადია, აქ საუბარია მონასტრის საიმუნიტეტო სასამართლოზე. ამასთან ნიშანდობლივია, რომ "საშჯულო სამრეწლოს" არსებობას შიომღვიმის სოფლებში მეფე თითქოს საგანგებოდ უსვამს ხაზს. ეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამგვარი დაწესებულება არ იყო დიდი ხნის შექმნილი.

ვფიქრობთ, "საშჯულო სამრეწლოები" არსებობდა სამეფო დომენის ტერიტორიაზეც და ეს სასამართლოები განიხილავდნენ საქმეებს იქ, სადაც სამეფო იმუნიტეტი ვრცელდებოდა. სწორედ "საშჯულო სამრეწლოების" ჩამოყალიბებაზე უნდა იყოს საუბარი დავითის ისტორიკოსის ცნობაში "მართლად მცნობელი კაცების" დადგენის შესახებ. მოსამართლის ფუნქციებს სამეფო დომენის "საშჯულო სამრეწლოებში", საფიქრებელია ასრულებდნენ მისი გამგებლები. ამ ვარაუდის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ გრიგოლ ქართლის ერისთავის მამასახლისი სასამართლო ფუნქციებით იყო აღჭურვილი სურამელის კერძო მამულში, ხოლო შიომღვიმის "საშჯულო სამრეწლოებში" მემღვიმის დიაკონი მოსამართლეობდა. ბუნებრივია, სამეფო დომენის სასამართლო სრულებით არ იყო დამოკიდებული ერისთავის იურისდიქციაზე, მაშინ როდესაც შიომღვიმის იმუნიტეტი შეზღუდული ჩანს.

ძაღზე ძნელია განისაზღვროს, რომელ უწყებაში შედიოდა "სამართალი საშპარავთმეძიებლოი" და მეფის გარდა პყავდათ თუ არა ასეთი მოხელეები ერისთავებსაც. შემორჩენილი წყაროების მიხედვით, "მპარავთმეძიებელნი" უშუალოდ მეფის ხელისუფლებასთან ჩანან დაკავშირებულნი, ერისთავთა

შუაღელური რგოლის გარეშე. შესაძლოა ეს წყაროთა ნაკლულობით აიხსნებოდეს. საფიქრებელია, რომ "მპარავთმეძიებელთა" ფუნქციები ჰქონდა ერისთავის აპარატსაც და ისინი განსხვავებული დაქვემდებარების ტერიტორიებზე მოქმედებდნენ.

ამგვარად გვესახება სამეფო დომენის მმართველობა დღესდღეობით არსებული მასალის მიხედვით.

3. საქალაქო მმართველობა

XI-XIII საუკუნეთა საქართველოს ქალაქების მმართველობის შესახებ, სამწუხაროდ ძალზე მწირი ცნობებია შემონახული. არსებული მასალის საფუძველზე უალრესად ჭირს მმართველობის სტრუქტურაზე საუბარი. ისიც კი არ ვიცით, გარდა არაბული წარმოშობის ტერმინ "ამირისა", რა ტერმინები იხმარებოდა ქალაქის მმართველის აღსანიშნავად. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს "დიდ სჯულისკანონში" მოხსენიებული "ქალაქპეტი" ("ქალაქის მამაჲ") მაგრამ ჯერჯერობით რაიმე დასკვნის გამოტანა მასზე დაყრდნობით სახიფათოა.

შევეხოთ თბილისის მმართველობას. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ი. ჯავახიშვილმა მოსაზრება გამოთქვა, რომ XI საუკუნის თბილისში "ქალაქის ზერების" სახით საქმე უნდა გვქონოდა საქალაქო თვითმმართველობასთან. ამ საკითხს შემდეგაც შეეხნენ და მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თბილისში კომუნა თუ კომუნისმაგვარი დაწესებულება უნდა არსებულიყო. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებად იყო გათვალისწინებული აღმოსავლური ქალაქების მასალა, რომელიც სავსებით ხსნის ამ მოვლენის არსს და თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ აქ საქმე გვაქვს არა დასავლეთევროპული ტიპის კომუნასთან, არამედ აღმოსავლურ ქალაქებისათვის დამახასიათებელ რაისების ინსტიტუტთან, რომელიც არც კომუნად და არც თვითმმართველობად არ შეიძლება ჩაითვალოს. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ თბილისი შეერთებამდე ქალაქ-სახელმწიფოს წარმოადგენდა.

როგორი მდგომარეობა შეიქმნა თბილისის, დმანისის და სხვა ქალაქების განთავისუფლების შემდეგ?!

ცხადია, თბილისსა და საამიროში შემავალ სხვა ქალაქებში განთავისუფლების შემდეგაც ძალზე დიდი იყო აღმოსავლურ ურბანისტულ ტერმინთა გავლენა. ამასთან, უდავოა, რომ ხსენებულ ქალაქებს მართავენ ქართველი მეფის მოხელეები.

საქართველოს მეფის მოხელე, თბილისის მმართველი, შემორჩენილი წყაროების მიხედვით, დადასტურებულია გიორგი III-ის მეფობის

დასაწყისში. ასეთად ჩანს, მხითარ გოშის მიერ "თბილისის სატრაპად" წოდებული იშხანი ვასაკი, ვაჭრამ არწრუნის ვაჟი. ორბელთა ამბოხების დროისათვის თბილისის მმართველად, "ამირმთავრად" ("ამირაპეტად") მოხსენიებულია ამ ვასაკის ძმა. ქურდი, რომელიც მაჰკანაბერდის იშხანი იყო.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს საქალაქო მმართველობის ნომენკლატურაში არაა დადასტურებული არც ტერმინი "სატრაპი" და არც "ამირაპეტი" ცხადია, რომ სომხური წყაროები აღნიშნული ტერმინებით ასახავენ ქართულ სამოხელეო ინსტიტუტს. ბუნებრივია, რომ ამირაპეტ ქურდს იგივე თანამდებობა ეკავა, რაც ადრე მის ძმას, "თბილისის სატრაპ" ვასაკს. "სატრაპი" იგივეა, რაც "ამირაპეტი", ანუ "ამირთა უხუცესი" "ამირმთავარი" საუბარი უნდა იყოს სამეფო ქალაქის, თბილისის "ამირთამირას" სახელობაზე.

სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს ვიტყვით ვერც თბილისის და ვერც სხვა სამეფო ქალაქების ამირების კონკრეტულ ფუნქციებზე. ცნობილია, რომ მათ ხელი მიუწვდებოდათ ქალაქის ვაჭრობასა და ეკონომიკაზე, წესრიგის დაცვაზე. თბილისის ამირას ქალაქის სანახებზეც ჰქონდა ადმინისტრაციული უფლებები, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან იგი იყო "ამირა ქართლისა და თფილისისა" ასეთივე უფლებები, ჩანს ჰქონდათ ქუთაისის "მეგერგიელებსა და ამირებს" სავარაუდოა, გვიანდელი ანალოგიების მიხედვით, ამირების სასამართლო პრეროგატივებიც.

ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა შესწავლილი გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში დასახელებული სამოხელეო გადასახადები, რომლებიც სათანადო მოხელეების, ამიდის და მუჰთასიბის არსებობას გვაეარაუდებინებენ.

დღესდღეობით შეუძლებელია იმის დადგენა, რა სამოხელეო აპარატი ემორჩილებოდათ საქართველოს ქალაქების მმართველებს, გარდა ზემოდასახელებული, საკუთრივ თბილისისათვის დამოწმებული თანამდებობის პირებისა. ვერაფერს ვიტყვით ქუთაისის "მეგერგიელების" კონკრეტულ ფუნქციებზე. გარდა იმისა, რომ მათ ადმინისტრაციულ-ფისკალური პოვალელობები უნდა ეკისრებოდეთ. კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით კერძო მფლობელობაში გადაცემულიქალაქების ადმინისტრაციაზე.

საქალაქო ადმინისტრაციის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო "არიფი", რომელიც "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით გვაქვს დამოწმებული.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს ქალაქების მმართველობა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო ადმინისტრაციაზე და რეგლამენტაციაზე. ჩვენში არ წარმოშობილა "თავისუფალი ქალაქი" და ამასთან დაკავშირებით არჩეითი მაგისტრატები, როგორც დასავლეთ ევროპაში. ეს იმით აიხსნება, რომ ქალაქის სოციალური სტრუქტურა არ მოწყვეტია აგრარულ ეკონომიკურ სტრუქტურას, არ ჰქონია ადგილი ქალაქისა და სოფლის თვისობრივ

დაპირისპირებას, რაშიც გამოვლინდა ევროპული შუა საუკუნეების მსოფლიო-ისტორიული არსი. ქალაქი არ დაპირისპირებია ფეოდალურ გარემოს ანტიფეოდალური ძალის სახით. ამაში თავისი როლი შეასრულა საქართველოს წამყვანი ქალაქების ეთნიკურმა სიჭრელემაც, რაც დიდად უარყოფით ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. ყოველივე ამის გამო ქართულმა შუასაუკუნეობრივმა ქალაქმა ვერ მოახერხა აქტიური ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოების სოციალურ პროგრესზე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი..... 3
პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი. საქართველოს მეფე..... 5
მ ე ო რ ე თ ა ვ ი. სასახლე..... 16
1. სასახლე-ცენტრალური მმართველობის ორგანო. "დარბაზის ერი"..... 16
2. სასახლის დაწესებულებები..... 25
საწოლი-საღარო..... 25
საჭურჭლე..... 33
საკინიბო-ზარადხანა. 39
საგანმგეო..... 41
სააჯო კარი..... 45
3. უმაღლესი მოხელეები..... 51
მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი..... 52
მანდატურთუხუცესი..... 65
ამირსპასალარი. ათაბაგი..... 66
მეჯურჭლეთუხუცესი..... 73
მსახურთუხუცესი.. 74
4. "წესი სახლისა სახელმწიფოსა" 75
სახელმწიფო საბჭო..... 75
სასახლის ცერემონიალი..... 80
მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი. "გარეთული მოხელენი" 87
1. ერისთავი და საერისთავო..... 87
2. სამეფო მამულის ადგილობრივი მმართველობა..... 98
3. საქალაქო მმართველობა..... 106

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხ ა ნ ჯ ა ღ ა ძ ე
მხატვარი გ. ღ ო მ ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 10.01.1991: ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.01 1991:
ქაღალდის ზომა 60 x 90 1/16: ქაღალდი ოფსეტის: ბეჭდვა ოფსეტური:
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.13: პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7.0:

ფასი 5 მან

ტირაჟი 10 000 შეკვეთა № 53

გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19
საქ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი გ. ა ფ რ ა ს ი ძ ე
ისტორიის მეცნ. კანდიდატი მ. დ უ მ ბ ა ძ ე